საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

# საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
13 – 19 აპრილი, 2011
№13 (104)
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# ვაშინგტონმა სააკაშვილს «ყვითელი» აუნთო 4



ქართულმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ ყოველივე ეს არა მხოლოდ 2010 წელს, არამედ 2008-2009-ში და უფრო ადრეც ხდებოდა, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებები მაშინ გაცილებით რბილი იყო. საუბარი „გარკვეულ პროგრესზე" მოხსენებაში დღესაც არის, თუმცა უარყოფითი მომენტები გაცილებით უფრო გამოკვეთილი გახდა. თანაც, ჯონ ბასის კომენტარში აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ის საელჩომ 9 აპრილს გაავრცელა, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ფრიად ავისმომასწავებელი ნოტები გაისმა.

# სიმართლე ერთადერთ ეგზემპლარში

## საიდუმლოდ | ქვეყნდება პირველად

### 1989 წლის 8 აპრილის დახურული სხდომის საიდუმლო ოქმი 18



Протокол

Секретно
экз.№1

Заседания Совета Обороны ГССР от 8-го апреля 1989 г.

Члены Совета Обороны ГССР по состоянию на 8-ое апреля 1989 г.

1. Патиашвили Д.И. – первый секретарь ЦК КП Грузии
2. Никольский Б.В. – второй секретарь ЦК КП Грузии
3. Черкезия О.Е. – Председатель Президиума Верховного Совета ГССР
4. Чхеидзе З.А. – Председатель СМ ГССР
5. Гумбаридзе Г.Гр. – Председатель КГБ ГССР
6. Шарашенидзе – Военком ГССР

секретарь СО – Георгадзе П.И. – помощник первого секретаря ЦК КП Грузии

На заседании СО ГССР присутствовали:

члены СО – Патиашвили Д.И., Никольский Б.В., Черкезия О.Е., Чхеидзе З.А., Гумбаридзе Г.Гр.
секретарь Совета Обороны ГССР – Георгадзе П.И.

другие: – Кочетов К.А. – генерал армии – Зам. МО
Родионов И.Н.– генерал-полковник – Ком.Зак.ВО,
Новиков Ак.Н. – генерал-лейтенант – чл.ВС ЗакВО,
Горгодзе Ш.В. – Мин.ВД ГССР
Каранадзе А.Г. – Пред.Верх.суда ГССР
Шарашенидзе В.А. – Мин.Юст. ГССР
Шошиташвили Н.ХВ. – Первый зам.прокур.ГССР

**ო. ე. ჩერქეზია** –
წინადადება შემოაქვს, შემოღებულ იქნას განსაკუთრებული მდგომარეობა, ღამის საათებში მოახდინონ მთავრობის სახლისა და ტელე-რადიოს დებლოკირება. ლიდერები დააპატიმრონ.

**გ. გ. გუმბარიძე** –
დაამატა, რომ ავრცელებენ ხმებს, თითქოს 14 აპრილს არაფორმალები აპირებენ, გაუსწორდნენ კომუნისტებს.

**ზ. ა. ჩხეიძე** –
ჯ.ი. პატიაშვილს ურჩია, არ გამოვიდეს მომიტინგეთა წინაშე, ეს უშედეგო იქნება, მას არავინ მოუსმენს, ხოლო ამის შემდგომ მოედნის გასაწმენდად ძალის გამოყენება აღქმული იქნება, როგორც მთავრობისა და პირველი მდივნის მხრიდან შურისძიება.

**შ. გ. გორგოძე** –
განაცხადა, რომ, თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ღონისძიებები წესრიგის დასამყარებლად, შემდეგ დაგვიანდება და მომავალში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ დაგვიანებას არ აპატიებენ. წამოაყენა წინადადება მომიტინგეთა ლიდერების დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. ყველასი თუ არა, მას სიაში 30 ასეთი ჰყავს ჩაწერილი, თუნდაც, — 9-10 ადამიანისა.

«დემოკრატიის შუქურის» გარშემო სიკვდილის აჩრდილი დაძრწის 8

ნასვამმა პოლიციელებმა XI კლასელი ალაზნის ხიდიდან გადააგდეს 7

290 ჰექტარი ქართული მიწა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 10

მთავრობამ ანაკლიის მკვიდრს 40 ჰექტარი მიწა წაართვა 11

გულბაათ რცხილაძე: სად მიორბი თარგამაძე და სად... ქრისტიანობა ან დემოკრატია?! 13

14 აბაშის ექსპერი-მენტიდან ტრანსვესტიტ ძროხებამდე

მიუმადლებელი ტელეარხების მრუშმადლებელი ეთერი 16

როგორ დამალა ამერიკამ საკუთარი რევოლუცია 29

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„რეკლამა გამოვიდა „FINANCIAL TIMES“-ის ევროპულ და ბრიტანულ გამოცემებში. გაზეთის გლობალურ გამოცემაში რეკლამის განთავსება მის ფასს 135 ათას 500 ფუნტ სტერლინგამდე გაზრდიდა (387 ათასი ლარი). იგივე რეკლამა გამოქვეყნდა „WALL STREET JOURNAL“-ის მე-7 გვერდზე 28 იანვარს, სადაც, ფასების პრეისკურანტის მიხედვით, რეკლამის მთელ გვერდზე განთავსება 345 ათას 662 ამერიკული დოლარი (614 ათასი ლარი) ჯდება, და, ასევე, „ECONOMIST“-ში — 90 ათას 900 ფუნტი სტერლინგი (260 ათასი ლარი)“**

# ალბათ, აშშ-ის სახელმწიფო

# მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მთავრობის დაკვეთით დაბეჭდილი რეკლამა «Financial Times»-ის შეფასებად გაასაღა

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავრობაში კორუფციის პრობლემაა. ანგარიშში ერთ დროს „დემოკრატიის შუქურად“ სახელდებული საქართველო ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც მკვეთრადაა გაკრიტიკებული. საქართველოს ხელისუფლება კი საგარეო საქმეთა მინისტრის — ნინო კალანდაძის პირით აცხადებს, რომ ანგარიშის ნაწილს ქართული მხარე არ ეთანხმება...**
**არადა, სააკაშვილის ხელისუფლება უმალ დაეთანხმა იმ „რეიტინგებსა“ და „შეფასებებს“, რომელთა თანახმადაც საქართველო კორუფციასთან მებრძოლ ნომერ პირველ ქვეყნად და, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული.**
**კალანდაძის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ის სარეიტინგო კომპანიები, რომლებიც მაღალ ქულებს გვანიჭებენ, გაცილებით კომპეტენტურნი არიან, ვიდრე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი...**
**მსგავსი მიდგომა პარანოის აშკარა ნიშნებს შეიცავს.**



სინამდვილეში ვითარება გაცილებით მძიმეა. ალბათ, გახსოვთ, წლეულს პარლამენტში მოხსენებით გამოსვლისას პრეზიდენტი სააკაშვილი დეპუტატ ჩახვაძეს რომ შეეკითხა: **„თქვენს გამოსვლაში ელიტარული კორუფცია შვიდჯერ ახსენეთ და, იქნებ, ფაქტებით ისაუბროთ. აქ არიან პარლამენტარები, მინისტრები და მაჩვენეთ რომელია კორუმპირებული?“**

ჩახვაძეს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, სამაგიეროდ ეს **პასუხი აღმოაჩნდა სახელმწიფო დეპარტამენტს და მიუთითა კიდეც სააკაშვილს, კორუმპირებულები საქართველოს მთავრობაში სხედანო.**

სამწუხაროდ, არაადეკვატურობით განთქმულ ჩვენს პრეზიდენტს ამ მითითებიდანაც არაადეკვატური დასკვნები გამოაქვს და მიაჩნია, რომ პიარით და ბიუჯეტიდან დაფინანსებული სარეკლამო წერილებით ამჯერადაც ადვილად გავა ფონს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა გადაამოწმა და მათიას ჰუტერის წერილი გამოაქვეყნა (17.02.2011): **პრეზიდენტმა სააკაშვილმა 11 თებერვალს, პარლამენტში გამოსვლისას, თავის ყოველწლიურ მიმართვაში აღნიშნა, რომ „Financial Times“-მა საქართველო კორუფციასთან მებრძოლ ნომერ პირველ ქვეყნად გამოაცხადა. ჩვენ შევამოწმეთ „Financial Times“-ის როგორც ონლაინ, ისე ბეჭდვითი გამოცემების არქივი და ვერ მოვძებნეთ პრეზიდენტის განცხადების დამადასტურებელი სტატია. პრეზიდენტი, სავარაუდოდ, გულისხმობდა „FINANCIAL TIMES“-ში დაბეჭდილ რეკლამას, რომლის საფასურიც საქართველოს მთავრობამ გადაიხადა და რაც მიზნად უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ისახავდა.**

## რეიტინგი?! არა, — რეკლამა!

2011 წლის 28 იანვარს „Financial Times“-მა თავისი გამოცემის მე-7 გვერდი მთლიანად დაუთმო ზემოხსენებულ რეკლამას. „კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველო — მსოფლიოში №1-ია, “ — აცხადებს რეკლამა. რეკლამის ფასი, „Financial Times“-ის ფასების პრეისკურანტის თანახმად, სავარაუდოდ, 99 ათას 600 ფუნტი სტერლინგია, რაც დაახლოებით 282 ათასი ლარია.

**რეკლამა გამოვიდა „FINANCIAL TIMES“-ის ევროპულ და ბრიტანულ გამოცემებში. გაზეთის გლობალურ გამოცემაში რეკლამის განთავსება მის ფასს 135 ათას 500 ფუნტ სტერლინგამდე გაზრდიდა (387 ათასი ლარი). იგივე რეკლამა გამოქვეყნდა „WALL STREET JOURNAL“-ის მე-7 გვერდზე 28 იანვარს, სადაც, ფასების პრეისკურანტის მიხედვით, რეკლამის მთელ გვერდზე განთავსება 345 ათას 662 ამერიკული დოლარი (614 ათასი ლარი) ჯდება, და, ასევე, „ECONOMIST“-ში (90 ათას 900 ფუნტი სტერლინგი, 260 ათასი ლარი).“**

„საქართველო და მსოფლიოს“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, დეპუტატი **ვახტანგ ბალავაძე** ესაუბრა.

**— ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტმა საპარლამენტო მოხსენებაში განაცხადა, რომ გაზეთ „Financial Times“-ში გამოქვეყნებულ მასალაში, საქართველო კორუფციასთან ბრძოლაში N1 ქვეყნად არის დასახელებული, ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო“ გადაამოწმა ეს ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ამ გაზეთს აქვს დაბეჭდილი მხოლოდ სარეკლამო მასალა, სადაც ამაზე საუბრობს.**

— ანუ №1 არ არის კორუფციასთან ბრძოლაში?

**— ანუ სააკაშვილმა არგუმენტად ჩვენი სარეკლამო მასალა მოიყვანა და არა — ამ გაზეთის პოზიცია.**

— ეს ცალმხრივი განცხადებაა. მოხსენებაში საუბარი იყო, რომ საქართველო არის კორუფციასთან მებრძოლი №1 ქვეყანა და ამის მაგალითად მოიყვანა ამ გაზეთში დაბეჭდილი სტატია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის, კარგი იქნება, თუ წარმოადგენს ამ მასალას და ვნახავთ.

**— ამ ორგანიზაციამ სწორედ ეს გაზეთი გადაათვალიერა და ამოიღო მასალა; ასევე — ფასები, თუ რა ღირს ამ გაზეთში სარეკლამო ფართი და ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა თავის ბლოგში (მათიას ჰუტერის სტატიაა ამასთან დაკავშირებით).**

— არ მინახავს. რომ ვნახავ, უფრო კვალიფიციურად გეტყვით პასუხს, მაგრამ ერთი, მთავარი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მასალაში, რომელზეც პრეზიდენტი საუბრობდა, იყო დაბეჭდილი კვლევებიც, სადაც გამოკითხული იყო საქართველოს მოსახლეობა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონიათ თუ არა ქრთამთან შეხება. გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობდა, რომ არ ჰქონია. არა მგონია, ესეც რეკლამა ყოფილიყო. მნიშვნელოვანია, რა ხდება ამ მხრივ ქვეყანაში და არა ის, რა მაგალითი იქნა მოყვანილი, ანუ ჩვენთვის მთავარია — არის თუ არა კორუფციასთან ბრძოლის მხრივ საქართველო №1 და აფასებს თუ არა მას ასე მსოფლიო. გამოკითხვამ აჩვენა, რომ არის. მგონი, ყველა ვხედავთ, რომ საქართველოში სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებებში ქრთამის გადახდა არ ხდება.

**— დიახ, დაბალ რგოლებში ეს ნამდვილად არ ხდება, მაგრამ საუბარია...**

— ...ახალმოგონილ ელიტარულ კორუფციაზე. ეს ახალი ცნებაა. ძალიან მარტივია ამაზე პასუხი. რთულია დაბალ დონეზე კორუფციის დადგენა, მაგრამ მაღალ დონეზე, ვთქვათ, ელიტარული კორუფციის დადგენა, ძალიან ადვილია, თუნდაც იმიტომ, რომ ცოტა ადამიანია და უფრო ადვილი გამოსავლენია ფაქტები. რაც შეეხება იმას, რაც მაგალითისთვის მოიყვანეთ, კიდევ ვიმეორებ, არ წამიკითხავს და ამიტომ კონკრეტული კომენტარის გაკეთება მიჭირს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ იყო „Financial Times“-ის სტატია იმაზე, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში კორუფციის დაძლევის კუთხით; შეფასებებიც იყო გაკეთებული. ისინი რომელ სტატიაზე საუბრობენ, არ ვიცი.

**— ბატონო ვახტანგ, მსოფლიო ბანკზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ახალი ანგარიში, რომ საქართველოში კორუფცია არსებობს.**

— არ მინახავს და არც მგონია, სიმართლეს შეესაბამებოდეს.

**— აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს ვგულისხმობ.**

**— აშშ-შიც არსებობს კორუფცია, ევროპაშიც და ყველგან. ქვეყანა, სადაც კორუფციის დონე ნულია, არ არსებობს. თუ ამას გულისხმობთ, დაგეთანხმებით. გააჩნია დონეს.** ბოლო ექვსი თვის მონაცემებს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, ჩვენდა საუბედუროდ, დაკავებულია ქრთამის აღებისთვის. მთავარია ხელისუფლების პოლიტიკა, თორემ ცალკეულმა სახელმწიფო მოხელეებმა შეიძლება აიღონ კიდეც ქრთამი.

**„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორს ეკა გიგაურს.**

**— ქალბატონო ეკა, თქვენმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საპარლამენტო მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, რომ „Financial Times“-ში საქართველო კორუფციასთან ბრძოლის მხრივ №1 ქვეყნად დასახელდა, იყო სარეკლამო მასალა და არა — ამ გაზეთის მოსაზრება.**

— ჩვენ გამოვაქვეყნეთ გლობალური კორუფციის ბარომეტრის შედეგები გასული წლის დეკემბერში, სადაც გარკვეულ სფეროებში საქართველოს მთავრობას ძალიან დიდი მიღწევები აქვს ბიუროკრატიის დაბალ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანუ ქრთამის მიცემა არ ხდება ბიუროკრატიის დაბალ დონეზე. საუბარი იყო, რომ ამ მიმართულებით პოლიციამ და სხვადასხვა უწყებებმა ძალიან კარგი შედეგი აჩვენეს, მაგრამ ეს იყო კვლევა მხოლოდ და მხოლოდ ბიუროკრატიის დაბალ დონეზე კორუფციის მაჩვენებლებთან დაკავშირებით. როდესაც ეს გამოქვეყნდა, საქართველოს მთავრობამ ჩვენი და ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მოამზადა სარეკლამო მასალა, რომელიც განათავსა „Financial Times“-ში. ტექსტი შეთანხმებული იყო ჩვენთან, მასში მოცემული იყო კვლევისას გამოვლენილი შედეგები და მონაცემები. **იმისთვის, რომ ეს მასალა განთავსებულიყო „FINANCIAL TIMES“-ში, სახელმწიფომ ფული გადაიხადა, ანუ ეს არ იყო უფასოდ განთავსებული მასალა. ზუსტად მასზე დაყრდნობით საუბრობდა პრეზიდენტი პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.**

**— ანუ თქვენ მიერ ჩატარებული კვლევები იყო ერთი ნაწილი, რომელიც მოხვდა ამ მასალაში?**

— დიახ, იქ სხვა ორგანიზაციების კვლევებიც იქნა მოხსენიებული. ჩვენი ორგანიზაციის კვლევის გამოყენება მასალის ტექსტში ჩვენთან შეთანხმებული იყო და ეს არ არის პრობლემა. პრობლემა არის ის, რომ ეს არ ყოფილა „Financial Times“-ის ჟურნალისტის მიერ მომზადებული, ეს იყო სარეკლამო მასალა, რომლის განთავსებაშიც საქართველოს მთავრობამ გადაიხადა გარკვეული თანხა.

**სოფო გელაშვილი**

## საგაზეთო რეკლამაში ქვეყნის მთავრობამ მილიონ ხუთას ორმოცდასამი ათასი (1.543.000) ლარი გადაიხადა

**P.S.** კიდევ ერთ საინტერესო დეტალს მინდა მივაქციო **მკითხველის ყურადღება: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე, საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა გაავრცელა ვიდეომიმართვა, რომელშიც ქართული საზოგადოებისთვის ანგარიშში მოყვანილი ფაქტები განმარტა და მათ სწორედ ის ინტერპრეტაცია გაუკეთა, რასაც ვაშინგტონი გულისხმობდა. ვიდეომიმართვას, რომელიც ინგლისურ ენაზე ჩაიწერა, დართული ჰქონდა თარგმანი ქართული ტიტრებით. ტიტრების დადება ამერიკელ დიპლომატს, როგორც ჩანს, იმისთვის დასჭირდა, რომ მინაშვილის, „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და სხვა მიშმადიდებელი ელემენტებისგან მისი სიტყვების არასწორი განმარტებისგან თავი დაეზღვია. რაც მთავარია, ჯონ ბასმა თავისი ვიდეომიმართვა რატომღაც არაბული რევოლუციებითა და კადაფის რეჟიმთან სააკაშვილის ხელისუფლების ლამის პირდაპირი შედარებით დაასრულა.**

**ალექსანდრე ყუფარაძე:**
**მოსამართლე დალი მეტრეველმა გვითხრა, ერთადერთი შვილის პატრონები ხართ და როგორ იტანთ ასეთ რამეს, თუ გაბრალებთ და მართლები ხართ, მოკალითო, მე თქვენ ადგილზე მოვკლავდიო. პროცესი დახურული იყო და ჩვენ გარდა არავინ ესწრებოდა. გვანცა შეეპასუხა, მე ხომ აქ ვზივარ და ჩემი მშობლებიც, გინდათ, აქ ჩასვათო? ჩვენი პროვოცირება სურდათ.**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დეპარტამენტისთვის უცნობია

# 14 წლის გვანცა ყუფარაძე 18 თვე მარტო ამყოფეს საკანში, მაგრამ ცრუ ჩვენება მაინც ვერ მიაცემინეს

**განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაპატიმრებული 14 წლის გვანცა ყუფარაძის საქმე საქართველოს მართლმსაჯულებისთვის რეზონანსული აღმოჩნდა. ქართველი თუ უცხოელი უფლებადამცველების მცდელობის მიუხედავად, გოგონას ციხიდან დახსნა ვერ მოხერხდა. გვანცა ყუფარაძეს 10 წელი მიუსაჯეს — 5 წლით პატიმრობა და 5 წლით პირობითი. იგი, უკვე მეხუთე წელია, სასჯელს იხდის. გვანცა ყუფარაძის საქმეში დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა და ურთიერთგამომრიცხავი გარემოებები არსებობს, თუმცა ეს სასამართლოს რატომღაც არ გაუთვალისწინებია. გამოძიებას არ დაუსაბუთებია, როგორ მოახერხა 14 წლის გოგონამ თანატოლის ორი ბასრი საგნის მეშვეობით დაჭრა ისე, რომ მას ოდნავი დაზიანებაც არ მიუღია. ასევე, გაურკვეველია, რატომ იქცა მართლმსაჯულებისთვის ფრიადოსანი მოსწავლე ერთ დღეში საზოგადოებისთვის საშიშ და დაუნდობელ მკვლელად. ვინაა დაინტერესებული გვანცა ყუფარაძის პატიმრობით და რა ახალი გარემოებები და დარღვევები აღმოჩნდა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს" გვანცას მამა — ალექსანდრე ყუფარაძე ესაუბრა.**



## სტრასბურგის სასამართლოში ყუფარაძის საქმეს 25 თანამდებობის პირი შეეწირება

**— მიუხედავად იმისა, რომ გვანცა ყუფარაძე ერთი შეხედვით ყველა შესაბამის კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, რატომ უთხრა მას უარი კომისიამ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე?**

— პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებულების მიხედვი; თუ პატიმარი დადებითად ხასიათდება და აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, მისი ვადამდე გათავისუფლებაც შესაძლებელია. მაგრამ, რატომღაც ასე არ მოხდა გვანცას შემთხვევაში. არადა, გვანცას სანიმუშო დახასიათება და ყველა პირობა აქვს ვადაზე ადრე გასათავისუფლებლად. მას ყველა ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და კარგი ქცევისა და სანიმუშო სწავლისთვის დამატებითი ოთხი პაემნის უფლებაც კი მიანიჭეს. არ ვიცი, ოჯახური პირობების შეფასებაში მინუსქულა რატომ დაუწერეს. მყავს მეუღლე, ერთადერთი შვილი გვანცა და პირველი ჯგუფის ინვალიდი, უსინათლო, 85 წლის დედა და ეს თუ არის ნაკლი, არ ვიცი. ადმინისტრაციის მიმართ ზრდილობიანი მოქცევაც თურმე მინუსად ფასდება. რადგან ნაკლი ვერ უპოვეს, ჩაწერეს, თითქოს მშობლებთან ხშირი კონტაქტი არ აქვს და რისკის ფაქტორიდან გამომდინარე, ვუწერთ მინუს ერთ ქულასო. არ მესმის, ეს რას ნიშნავს. მონაცემები სპეციალურად გააყალბეს. კანონით, გვანცა უკვე თავისუფალი უნდა იყოს, ვინაიდან, მან საპატიმრო სასჯელის ორი მესამედი უკვე მოიხადა, მაგრამ, მაინც არ გაათავისუფლეს.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კიდევ გასაგებია ასეთი საქციელი, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ოქმს ხელს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ზვიად დევდარიანიც აწერდა, რომელმაც ჟურნალისტის დასმულ შეკითხვაზე გვანცას სახელიც კი ვერ გაიხსენა. ის ამბობს, არ შევკრებილვართ და არ განგვიხილავს ეს საკითხი, არ ვიცნობ ამ საქმესო.

**სწორედ აქ აღმოვაჩინე სერიოზული დარღვევა, მინისტრის ბრძანებულება ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლს. პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, პატიმრის გათავისუფლება ევალება ადგილობრივ საბჭოს, ამ კომისიის წევრებს უნდა ემოქმედათ ადმინისტრაციული წესით, ზეპირი მოსმენით. მინისტრის დებულება კი, კანონის გვერდის ავლით, კომისიას დამატებით ფუნქციას ანიჭებს და საბჭოს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშეც შეუძლია. ეს სერიოზული დარღვევა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხია, რადგან გამოდის, ისინი ყალბ დოკუმენტზე აწერენ ხელს. მინისტრი კანონზე მაღლა აყენებს თავს. უახლოეს დღეებში, მე მივმართავ სასამართლოს დებულების ამ ნაწილის გასასაჩივრებლად.**

**— როგორ ფიქრობთ, ვინაა დაინტერესებული გვანცას პატიმრობით?**

— უნდოდათ, გვანცას ეღიარებინა ის, რაც არ მომხდარა. 14 წლის არასრულწლოვანი 18 თვე მარტო ამყოფეს საკანში და მაინც ვერ გატეხეს. ტყუილი არ თქვა და პედაგოგების ბრძანება, ნუ ამბობ სიმართლეს, სკოლის პრესტიჟი შეილახება, არ გაითვალისწინა. მაინც სიმართლე თქვა, ფანჯრიდან კი არ გადმოვარდა თორნიკე ტყემალაძე, როგორც თქვენ ამბობთ, არამედ დაჭრესო.

ხელისუფლებას არ შეუძლია საკუთარი შეცდომის აღიარება. თუ ვინმე გაუმართლებიათ, ციხის კედლებში მოხვედრამდე, რადგან ციხიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უკანონო პატიმრობის გამო, პატიმარს უკვე კომპენსაცია ეკუთვნის, რაც ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არ აწყობს.

**— საზოგადოებაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, საქმეში ფიგურირებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პავლე კუბლაშვილის გვარი...**

— ამის შესახებ მეც მსმენია, თუმცა **მე არ მაქვს კონკრეტულად კუბლაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი ფაქტები. როდესაც პავლე კუბლაშვილი გამოვიდა და განაცხადა, მე ეს საქმე შევისწავლე და დაზარალებულ ტყემალაძეს 7 ჭრილობა აქვს მიყენებულიო, საზოგადოებაში ეჭვი სწორედ აქედან გაჩნდა, რადგან დაზარალებულს რეალურად 33 ჭრილობა აქვს.**

ახალგაზრდული მოძრაობა „არას" წევრები იკვლევდნენ ამ საქმეს და აღმოაჩინეს, რომ ჩხუბში ერთ-ერთი მონაწილის ახლო ნათესავია „სოდის" ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად კი უშიშროების თანამშრომელი ვინმე ბეჟიტაშვილი, რომლის მეუღლე ნანა ბეჟიტაშვილიც მოსამართლეა და ისინი მეგობრობენ ძმებ კუბლაშვილებთან. „არას" წევრი ოთო ბექაური, სამინისტროს წინ აქციაზე დაიჭირეს, რადგან კუბლაშვილები პირველად სწორედ მან დაადანაშაულა.

მოძრაობა „არას" წევრები აცხადებენ, რომ აქვთ დამნაშავეების ფოტოები და, თუ გამოძიებას დააინტერესებს, მზად ვართ, ინფორმაცია მივაწოდოთო. მაგრამ ეს ფაქტი არც ხელისუფლებისთვის და არც გამოძიებისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა.

**— როგორ მოხვდა დანაშაულის ადგილზე გვანცა?**

— გვანცა შემთხვევით შეესწრო თორნიკე ტყემალაძის დაჭრის ფაქტს, რომელშიც 4 პირი მონაწილობდა. მე ამ დამნაშავეებთან საქმე არ მაქვს, ამ ადამიანებით გამოძიება უნდა დაინტერესდეს. მათ ჩემი შვილისთვის არაფერი დაუშავებიათ.

თავიდან გვანცას სახელი საერთოდ არ ფიგურირებდა ამ საქმეში. არსებული ვერსიის თანახმად, ტყემალაძის დაჭრა ამავე სკოლელის, ხატია ბედოიძის სახელს უკავშირდებოდა. სწორედ ამ გოგონას დეიდაშვილი იყო ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე. ვინაიდან ტყემალაძემ ამ გოგონას ტელეფონი ჩააბარა ლომბარდში, იგი შურისძიების მიზნით დაჭრეს, მაგრამ ის გოგო საქმიდან მალე საერთოდ გააქრეს. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ორმა პედაგოგმა, რომლებმაც სისხლის კვალიც წაშალეს.

**— რატომ წაშალეს კვალი, რა დაინტერესება ჰქონდა სკოლის ადმინისტრაციას?**

**— წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლის დირექციის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა, კანონში პირდაპირ წერია, რომ სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების ყოფნის გამო, პასუხისმგებლობა სკოლის დირექციას ეკისრება. მნიშვნელოვანი იყო ასევე სკოლის პრესტიჟის საკითხიც. 1 საათზე მოხდა დანაშაული და პოლიცია დანაშაულის ადგილზე საღამოს 8-9 საათზე მივიდა.**

**— თუ გვანცამ დაჭრა თანატოლი ბიჭი, ბუნებრივია, წინააღმდეგობის გაწევის მომენტში მსუბუქი დაზიანება მასაც უნდა მიეღო. ამასთან, ისიც საინტერესოა, აღმოჩნდა თუ არა სისხლის კვალი გვანცას ტანისამოსზე?**

**— წარმოიდგინეთ, 33 ჭრილობას რომ მიაყენებ ადამიანს, ერთი წვეთი სისხლი მაინც მოგეცხება. გვანცა პირველივე დაკითხვაზე თავად მივიყვანე, მაშინ მოწმის სახით დაიკითხა. მეორე თუ მესამე დღეს კიდევ მიმაყვანინეს და გვანცას ტანისამოსზე, „შპრიცით" სისხლის კვალის დატოვებას ცდილობდნენ.**

**— დაზარალებულმა თორნიკე ტყემალაძემ რამდენიმეჯერ შეცვალა ჩვენება, რატომ დაადანაშაულა გვანცა, რა შეიძლებოდა მას გვანცას საწინააღმდეგო ჰქონოდა?**

— პოლიციაში თორნიკე ტყემალაძეს დაემუქრნენ და შეაშინეს. მას უნდა დაესახელებინა, ვინ დაჭრა და გვანცა დამნაშავეების ამოსაცნობად უნდა მისულიყო, მაგრამ რატომღაც ეს პროცესი ჩაიშალა. არანაირი პროცესუალური ნორმები არ ჩატარებულა. მხოლოდ მიდიოდნენ და სთხოვდნენ, გვანცა, იქნება დანაშაული აღიაროო.

**— რა დასახელდა დანაშაულის ჩადენის მოტივად?**

— საქმეც ეგაა, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივიც არ არსებობს. ამას გარდა, დანაშაულის თვითმხილველიც არ არსებობს.

**— მართლა გითხრათ მოსამართლემ, თქვენს ადგილზე მოვკლავდი თორნიკე ტყემალაძესო?**

**— მოსამართლე დალი მეტრეველმა გვითხრა, ერთადერთი შვილის პატრონები ხართ და როგორ იტანთ ასეთ რამეს, თუ გაბრალებთ და მართლები ხართ, მოკალითო, მე თქვენ ადგილზე მოვკლავდიო. პროცესი დახურული იყო და ჩვენ გარდა, არავინ ესწრებოდა. გვანცა შეეპასუხა, მე ხომ აქ ვზივარ და ჩემი მშობლებიც, გინდათ, აქ ჩასვათო? ჩვენი პროვოცირება სურდათ.**

4 წელია, სამართლებრივი გზით ვიბრძვი და მომავალშიც ასე გავაგრძელებ. უფლისთვის მიმინდვია დამნაშავეებისთვის სამაგიეროს გადახდა. სამართლებრივად კი ბოლომდე ვიბრძოლებ და არაფერს დავთმობ.

**— გვანცამ სიცრუის დეტექტორზე გამოცდა მოითხოვა, რა პასუხი მიიღო?**

— გვანცა ითხოვდა, მეც და თორნიკეც სიცრუის დეტექტორზე გამოგვცადონო, მაგრამ სიცრუის დეტექტორი არ გვაქვსო, ასე უპასუხეს.

**— სარჩელი გაგზავნილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, როდის განიხილავს ევროსასამართლო გვანცა ყუფარაძის საქმეს?**

— გვანცას საქმე ევროსასამართლოშია გაგზავნილი და, როდესაც სიმართლე გაირკვევა, 25 კაცი, რომელთა შორის ზოგიერთი ხელისუფლების წარმომადგენელიცაა, საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ქართულმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ ყოველივე ეს არა მხოლოდ 2010 წელს, არამედ 2008-2009-ში და უფრო ადრეც ხდებოდა, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებები მაშინ გაცილებით რბილი იყო. საუბარი „გარკვეულ პროგრესზე“ მოხსენებაში დღესაც არის, თუმცა უარყოფითი მომენტები გაცილებით უფრო გამოკვეთილი გახდა. თანაც, ჯონ ბასის კომენტარში აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ის საელჩომ 9 აპრილს გაავრცელა, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ფრიად ავისმომასწავებელი ნოტები გაისმა.**

## ბაჟუნებული



**ილია მეორე,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

ცხოვრებაში არ არსებობს ჩიხი, რადგან ჩიხიდან ყოველთვის არის გამოსავალი. ძლიერი და მტკიცე სულის წყალობით, ქართველ ერს მძიმე პერიოდი არაერთხელ გადაულახავს.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:

საცურაო აუზები ცივილიზაციის ნიშანია. მართალია, ოჯახებს ჯერ კიდევ უჭირთ, მაგრამ, როდესაც ბავშვებს ისეთი სკოლა აქვთ, როგორიცაა ჰოლანდიასა და გერმანიაში, როდესაც ისეთი აუზი აქვთ, როგორიცაა შვედეთსა და დანიაში, მათი მომავალი გარანტირებულია.

*president.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე,** საქართველოს ექს-პრეზიდენტი:

მე რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიყო, ნებაც რომ არ მქონდეს დართული და დაპატიმრების საშიშროებაც არსებობდეს, ჩავფრინდებოდი მოსკოვში და იქიდან ფეხს არ მოვიცვლიდი, სანამ პუტინს ან მედვედევს არ შევხვდებოდი.

*„ასავალ-დასავალი“*



**ელიზბარ ჯაველიძე,** აკადემიკოსი:

აჭარის ზღვისპირეთში ქართველებს მიწებს ართმევენ და არაბ შეიხებს აძლევენ! მეტსაც გეტყვით: ამ რეჟიმმა სამეგრელოში უზარმაზარი ფართობები გამოუყო სამხრეთაფრიკელ ბურებს! არ არის ეს საქართველოს მტრობა?!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოზარ სუბარი,** ქართული პარტიის თავმჯდომარე:

ტყუილი მოლოდინის შექმნას არ ვაპირებთ და აქტიურ ქმედებებზე მხოლოდ მას შემდეგ გადავალთ, რაც სიტუაცია მომწიფდება და შესაფერისი ვითარება შეიქმნება. ხალხს იმედი არ უნდა გავუცრუოთ და თარიღები წინასწარ არ გამოვკიდოთ. ვიჩქაროთ ნელა.

*„პირველი“*

# ვაშინგტონმა მიხეილ სააკაშვილს «ყვითელი» აუნთო



**ობამას ადმინისტრაციამ სააკაშვილის ხელისუფლებას ყური აუწია და თავგასული ბავშვივით კუთხეში დააყენა. თუ ზედმეტ დიპლომატიურობას თავს დავანებებთ, ალბათ, სწორედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის „საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ“ და აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის შემდგომი ვიდეომიმართვის მოკლე შინაარსი. რატომ გააკეთა ეს ვაშინგტონმა? მას, ვინც მიიჩნევს, რომ მის ერთადერთ მიზანს საქართველოში ჰარმონიის დამკვიდრება წარმოადგენს, შეუძლია მომდევნო ტექსტის წაკითხვისგან თავი შეიკავოს. ჩვენ კი შევეცადოთ, დავადგინოთ, თუ რატომ გაუჯავრდა ვაშინგტონი თავის „საყვარელ მოწაფეს“.**

## აშშ საქართველოში ხელისუფლების გადაფორმატებას აპირებს, რათა ქვეყანაზე კონტროლი ვაშინგტონზე ორიენტირებულმა ძალებმა შეინარჩუნონ

### დაჯექი, ორიანი!

ის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საშინელი მდგომარეობაა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ასეთ კონცენტრირებულ ნეგატივს აშშ-ის ხელისუფლების შეფასებებში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. რამდენიმე ციტატა:

**„დანაშაულებს, რომლებშიც, სავარაუდოდ, სახელისუფლო ჩინოვნიკები ან მათი მომხრეები იყვნენ ჩართული, ნელა იძიებდნენ და გამოუძიებელი რჩებოდა. იმ დანაშაულებს კი, რომლებშიც, სავარაუდოდ, ოპოზიციასთან დაკავშირებული ადამიანები ან ორგანიზაციები მონაწილეობდნენ, სწრაფად იძიებდნენ და სასამართლოში კანონის მთელი სიმკაცრით განიხილავდნენ“;**

**„იყო სარწმუნო ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მას მმართველი პარტიისთვის შემოწირულობა მიეცა“;**

**„იყო სარწმუნო ცნობები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება ზღუდავდა სიტყვისა და პრესის თავისუფლებას“;**

**„ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მტკიცებით, ხელისუფლების წარმომადგენლები დაუსჯელად არიან ჩართული მაღალი რანგის კორუფციაში. მსოფლიო მთავრობების შესახებ „მსოფლიო ბანკის“ მონაცემებში აისახა, რომ კორუფცია პრობლემაა“;**

**„შეშფოთების საგანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლებები და ელიტარული კორუფცია“.**

ანგარიშში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ადგილი თვითნებურ დაპატიმრებებსა და პატიმრების უფლებების დარღვევებს ჰქონდა; ნეგატიური შეფასებები სხვა თემებთან დაკავშირებითაც გაკეთდა.

**ქართულმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ ყოველივე ეს არა მხოლოდ 2010 წელს, არამედ 2008-2009-ში და უფრო ადრეც ხდებოდა, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებები მაშინ გაცილებით რბილი იყო. საუბარი „გარკვეულ პროგრესზე“ მოხსენებაში დღესაც არის, თუმცა უარყოფითი მომენტები გაცილებით უფრო გამოკვეთილი გახდა. თანაც, ჯონ ბასის კომენტარში აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ის საელჩომ 9 აპრილს გაავრცელა, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ფრიად ავისმომასწავებელი ნოტები გაისმა.**

თუმცა, ვიდრე ამერიკელი დიპლომატის ვიდეომიმართვის განხილვას შევუდგებით, ალბათ, ურიგო არ იქნება, ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციოთ: მისმა გამოსვლამ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია, მედიასა და სოციალურ ქსელებში კი მას უამრავი კომენტარი მიეძღვნა. ჯონ ბასის ზოგიერთ ფრაზასთან, ცალკეულ სიტყვებთან დაკავშირებით ვრცელი და ცხარე დებატები გაიმართა, რადგან, როგორც ხელისუფლების მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები მათ მიღმა ფარულ ქვეტექსტს ეძებდნენ, რომელიც საქართველოს მომავლისთვის მნიშვნელოვან, ლამის საკრალურ, ინფორმაციას შეიცავდა. ეს ხდებოდა 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად ოცი წლის თავზე და რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, მთლიანობაში ეს სიტუაცია ძალიან სამარცხვინოდ გამოიყურებოდა. **როდესაც უცხო ქვეყნის წარმომადგენლის სიტყვებს (ან მის უკან მდგომი სახელმწიფოს პოზიციას) ასეთი დიდი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, შეუძლებელია ქვეყანას დამოუკიდებელი, ხოლო საზოგადოებას თავისუფალი ეწოდოს. ეს, ალბათ, თავისუფლების საპირისპირო მდგომარეობა, ბანალური მონობაა.**

თუმცა, ვინაიდან ვაშინგტონის სიტყვას ჩვენი პოლიტიკური ელიტისთვის მართლაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს და ჯონ ბასის გამოსვლა, ახლო პერსპექტივაში, ნამდვილად მოახდენს გავლენას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მის ანალიზს გვერდს მაინც ვერ ავუვლით.

### ჯონ ბასის მასტერ-კლასი

ჯონ ბასის გზავნილი №1: **„მიგვაჩნია, რომ უფრო ძლიერი ქართული დემოკრატია საჭიროებს მაქსიმალურად კონკურენტულ გარემოს 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ამიტომ საქართველოსთვის ჩვენი დახმარების დიდი ნაწილი (მათ შორის წელს ახალ ინვესტიციებად გამოყოფილი 60 მილიონი დოლარი) მიმართულია საარჩევნო რეფორმისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების დამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერისკენ. აშშ-ის მაღალი რანგის ოფიციალური პირები, ვიცე-პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის ჩათვლით, საუბრობდნენ და კვლავ გააგრძელებენ საუბარს საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ საქართველოში“.**

ეს არის სავსებით ნათელი პოზიცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თუმცა, შესაძლოა, ამ პასაჟის მიღმა იდგეს მოწოდება პროდასავლურად განწყობილი ოპოზიციური ჯგუფებისადმი — უფრო აქტიურად იმოქმედონ იმ პირობებში, როდესაც აშშ-ის ფინანსური დახმარება და პირადი უსაფრთხოების „ქოლგა“ მათ გარანტირებული ექნებათ. **ეს, სავარაუდოდ, უნდა დასრულდეს ხელისუფლების ისეთი გადაფორმატებით, როდესაც ქვეყანაზე კონტროლს ვაშინგტონზე ორიენტირებული** ►

## მოკლედ

### მინსკის ტერაქტთან დაკავშირებით რამდენიმე პირი დააკავეს



**მინსკის მეტროში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით რამდენიმე პირი დააკავეს.** ბელარუსის გენერალური პროკურორის მოადგილე ანდრეი შვედი არ აკონკრეტებს, არიან თუ არა ისინი ეჭვმიტანილები მეტრო „ოკტიაბრსკაიაში“ ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებაში. მინსკში, მეტრო „ოკტიაბრსკაიაში“ 11 აპრილს მომხდარი აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 149 – დაშავდა. აფეთქების სიმძლავრემ 5-7 კილოგრამი ტროტილის ექვივალენტი შეადგინა. სამართალდამცავებმა მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცეს.

### ეგვიპტელ ადვოკატებს ექსპრეზიდენტის დაცვა არ სურთ

**ეგვიპტელი ადვოკატები ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის — ჰოსნი მუბარაქის დაცვაზე უარს აცხადებენ.** მუბარაქის უფლებებს ქაიროს სასამართლოში ხუთი ბრიტანელი ადვოკატი დაიცავს. ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს ბრალი ედება ქვეყანაში მიმდინარე არეულობის დროს მომიტინგეებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემის გამო და მისი და მისი ოჯახის მიერ ქვეყნის სიმდიდრეების მითვისების გამო.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ის, რომ პოლიტიკური სიტუაცია დინამიურობას შეიძენს, როგორც მინიმუმ, გულისხმობს იმას, რომ ამ არჩევანის წინაშე მდგომმა ძალებმა ჯერ უნდა სცადონ, ფეხი აუბან პროცესებს, შემდეგ მათი კორექტირება მოახდინონ, ბოლოს კი გააკონტროლონ. მარტივად რომ ვთქვათ, ისარგებლონ ოპოზიციაში მყოფი პროამერიკული ჯგუფებით, როგორც ყინულმჭრელით, ხოლო შემდეგ ეს ყინულმჭრელი ჩაძირონ. ძნელი სათქმელია, აწყობენ თუ არა ოპოზიციური ლიდერები ამასთან დაკავშირებით სტრატეგიულ გეგმებს, თუმცა, ალბათ, მათ უნდა სცადონ, მაქსიმალურად ისარგებლონ ხელისუფლების დეფრაგმენტაციის პროცესით, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან მალე დაიწყება.**



# ჯონ ბასმა საუბარი რატომღაც ჩრდილოეთ აფრიკის ხსენებით დაასრულა

◀ **ძალები შეინარჩუნებენ, მაგრამ ოდიოზური ფიგურები სააკაშვილის გარემოცვიდან** (ბოლოს კი თავად სააკაშვილი) **ავანსცენას თანდათან დატოვებენ.**

ამ ჰიპოტეტურ სქემაში ხელისუფლება ემსგავსება ტიკს, რომელსაც ორი ნახვრეტი აქვს: ერთში ახალ ღვინოს ასხამენ, მეორედან კი ძველი ღვინო იღვრება. ცხადია, გაცილებით მომგებიანია, თუ ყოველივე ლეგიტიმურად, არჩევნების გზით მოხდება. მაგრამ **ჯონ ბასმა, სავარაუდოდ, მიანიშნა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემა არც სხვა გზით წასვლა იქნება.**

**საუბარი მან რატომღაც ჩრდილოეთ აფრიკის ხსენებით დაასრულა** და გამორიცხული არაა, რომ ამ მომენტში სააკაშვილის ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა სევდიანად დახედა ჩემოდანს ან კიდევ ვალიდოლის ძებნა დაიწყო.

ჯონ ბასის გზავნილი №2: **„მსურს, დავასრულო ჩემი მიმართვა ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენებით. როგორც პრეზიდენტმა ობამამ აღნიშნა ლიბიის მოვლენების განხილვისას, შეერთებული შტატები უნდა დადგეს მათთან, ვისაც სჯერა იმავე პრინციპების, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით მრავალი ქარტეხილის დროს: ჩვენი წინააღმდეგობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოვლენილი ძალადობის მიმართ; ჩვენი მხარდაჭერა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების მიმართ, მათ შორის ხალხის ნების გამოხატვისა და საკუთარი ლიდერების არჩევის თავისუფლება; ჩვენი მხარდაჭერა იმ მთავრობების მიმართ, რომლებიც საკუთარი ხალხის მისწრაფებებს გამოხატავენ. მჯერა, რომ საქართველოში მრავლად არიან ისეთი ადამიანები (როგორც მთავრობაში, ისე საზოგადოებაში), რომლებიც ხელმძღვანელობენ იმავე პრინციპებით“.**

შესაძლოა, ჯონ ბასის გამოსვლის ეს მონაკვეთი პირდაპირ მიანიშნებს აკრძალვაზე — სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ოპოზიციის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს. ცხადია, ასეთ პირობებში სააკაშვილს და მის გარემოცვას, რეალურ დათმობებზე წასვლის გარდა, სხვა გზა არ დარჩება, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ ხელისუფლების თანდათანობით გადაფორმატებამდე მიგვიყვანს. ასევე საკმაოდ საგულისხმო იყო მინიშნება იმ ადამიანებზე, რომლებიც ამჟამად „მთავრობაში არიან“ და „იმავე პრინციპებით“ ხელმძღვანელობენ (ეს პრინციპები, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ვაშინგტონის მორჩილი ერთგულება). **როგორც ცნობილია, ე.წ. ლიბერალების ჯგუფი** (და არა მარტო ის) **მალე ოპოზიციაში გადასვლას და სააკაშვილის მწვავედ გაკრიტიკებას გეგმავს. სავარაუდოდ, ამერიკელები მას მოსალოდნელი ცვლილებების განუყოფელ ნაწილად, ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად მოიაზრებენ;**

ეს ჯგუფი, როგორც ჩანს, ასევე აქტიურად უნდა ამოქმედდეს, ხოლო სხვა პროამერიკულმა ოპოზიციურმა ძალებმა მასთან უნდა ითანამშრომლონ.

საინტერესო სიტუაციაა: წარმოვიდგინოთ სარდალი, რომელიც ბრძოლის წინ იღებს წერილს, რომ მოწინააღმდეგის ერთ-ერთი რაზმი მის მხარეზე გადასვლას აპირებს. გონიერი სარდალი ბრძოლის გეგმას, ალბათ, მაინც ისე ააწყობს, რომ გამარჯვებას მიაღწიოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რაზმი მის მხარეს არ გადავა. ეს რთულია, ფიქრს და გამბედაობას მოითხოვს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გაცილებით მომგებიანია. უგუნური სარდალი კი მთელ თავის გეგმას სწორედ ამ გარემოებას დაუქვემდებარებს და გარე ფაქტორზე დამოკიდებული გახდება. გონიერი „სარდლები“ ჩვენს ოპოზიციაში ჯერჯერობით არ ჩანან და ვაშინგტონის დამსახურება ამაში, ალბათ, არცთუ მცირეა.

**არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი — როგორ უნდა იმოქმედონ ამ ვითარებაში იმ ძალებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების სათავეში მკვეთრად პროამერიკული ძალების ყოფნა ქვეყნისთვის საშიშია: ა)** შორიდან უყურონ, თუ როგორ ჩაანაცვლებს ერთი პროამერიკული ჯგუფი მეორეს და პროცესებში არ ჩაერიონ? **ბ)** ხელი შეუწყონ ვაშინგტონზე ორიენტირებულ ძალებს, რომლებმაც სააკაშვილი უნდა ჩაანაცვლონ? **გ)** პარადოქსულად, მხარი სააკაშვილს დაუჭირონ და მისი საშუალებით კონკურენტების ნეიტრალიზებას ხელი შეუწყონ? **დ)** დამოუკიდებელი, პროაქტიური სტრატეგია აირჩიონ, რომელიც ამ გარემოებებს განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ მიანიჭებს, თუ, რა თქმა უნდა, ამის თავი აქვთ?

**ის, რომ პოლიტიკური სიტუაცია დინამიურობას შეიძენს, როგორც მინიმუმ, გულისხმობს იმას, რომ ამ არჩევანის წინაშე მდგომმა ძალებმა ჯერ უნდა სცადონ, ფეხი აუბან პროცესებს, შემდეგ მათი კორექტირება მოახდინონ, ბოლოს კი გააკონტროლონ.** მარტივად რომ ვთქვათ, **ისარგებლონ ოპოზიციაში მყოფი პროამერიკული ჯგუფებით, როგორც ყინულმჭრელით, ხოლო შემდეგ ეს ყინულმჭრელი ჩაძირონ.** ძნელი სათქმელია, აწყობენ თუ არა ოპოზიციური ლიდერები ამასთან დაკავშირებით სტრატეგიულ გეგმებს, თუმცა, ალბათ, მათ უნდა სცადონ, მაქსიმალურად ისარგებლონ ხელისუფლების დეფრაგმენტაციის პროცესით, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან მალე დაიწყება.

## რატომ გაცოფდა ძია სემი?

**თეთრი სახლი სააკაშვილს გაუწყრა** (თუ საქმე ილუზიის მიზანმიმართულ შექმნასთან არ გვაქვს, ალბათ, არც ამის შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ), **და ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ის თავისი პოლიტიკით გამუდმებით აჩრავლებს საფრთხეებს, რაც აშშ-ს საქართველოს გაკონტროლებას ურთულებს.**

**ობამას ადმინისტრაციამ მისცა სააკაშვილის ხელისუფლებას დრო და შანსი, რომ ის ახალი რეალობის ადეკვატური გამხდარიყო, თუმცა მან ამით, როგორც ჩანს, ვერ ისარგებლა.** ეს რომ ასე მოხდებოდა, არც ისე ძნელი გამოსაცნობი იყო. გასული წლის 25 ნოემბერს, როდესაც ბარაკ ობამამ სააკაშვილთან ნატოს ლისაბონის სამიტზე შეხვედრა ინება, „საქართველო და მსოფლიო“ წერდა: **„როდესაც ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საერთაშორისო არენაზე მისი მდგომარეობა სტაბილურია და აშშ-ის მხარდაჭერა აქვს, ის ქვეყნის შიგნით აიწყვეტს ხოლმე და მოუზომავ ნაბიჯებს დგამს. ეს კი, თავის მხრივ, ღრმა კრიზისითა და საერთაშორისო პოზიციების შერყევით სრულდება. შემდეგ ფარდობითი სიმშვიდისა და დასავლეთის ნდობის აღდგენის პერიოდი იწყება, რომლის ბოლოს ხელისუფლება ისევ თამამდება და ყველაფერი თავიდან იწყება. ამ თვალსაზრისით, ნატოს ლისაბონის სამიტი, რომლის შემდეგ ხელისუფლებამ თავი საეჭვოდ თავდაჯერებულად იგრძნო, ქვეყნისთვის კარგს არაფერს მოასწავებს.**

ეს რაღაცით პათოლოგიური ლოთის ქცევას ჰგავს: დათვრება, გარეთ გამოვარდება, იგინება და ქვებს ისვრის; გაღიზიანებული უბნელები ცემას უპირებენ, ხოლო ოჯახის წევრები ყვირილით კუდში დასდევენ. ბოლოს, სირცხვილნაჭამი სახლში ბრუნდება და გარკვეული დროის განმავლობაში არ ჩანს, მაგრამ, თუ გარეთ გასვლა მოუწევს, თავჩაქინდრული დადის და უაღრესად ზრდილობიანად იქცევა, შემდეგ კი თვრება და ყველაფერი მეორდება. საქართველოშიც მსგავსი რამ ხდება, ოღონდაც არყის როლს სააკაშვილის გუნდისთვის შეუზღუდავი ძალაუფლება და აშშ-ის მხარდაჭერა ასრულებს“.

ლისაბონის სამიტიდან განვლილ პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა კიდევ უფრო გაართულა ურთიერთობა რუსეთთან, რაც „გადატვირთვის“ სულისკვეთებას ნამდვილად არ შეესაბამება. ამასთან, მან ვაშინგტონის პოლიტიკის ტორპედირებაც დაიწყო. ამერიკელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი რაც შეიძლება მალე გახდეს, სააკაშვილი კი ამას, ფაქტობრივად, წინ აღუდგა (მოლაპარაკებებზე არარეალისტური პირობები წამოაყენა). ამავე დროს, ის დაჟინებით მოითხოვდა ვაშინგტონისგან მძიმე შეიარაღებას, რომლის გადაცემა აშშ-რუსეთის ურთიერთობებს ფრიად გაართულებდა. მან, ასევე, დაძაბა ურთიერთობა ისრაელთან (ფუქსისა და ფრენკელის საქმე), ხოლო ქვეყნის შიგნით მთელი რიგი მოუზომავი ნაბიჯებისა გადადგა, რამაც დესტაბილიზაციის საფრთხე გაზარდა. გამორიცხული არაა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ობამას ადმინისტრაციაში სააკაშვილთან დამშვიდობების გადაწყვეტილება მართლაც მომწიფდა.

**ის კომენტატორები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-ის ელჩის განცხადებამ ხელისუფლებას „წითელი“, ხოლო ოპოზიციას „მწვანე“ აუნთო, შესაძლოა, ჩქარობენ, რადგან ჯონ ბასმა, ალბათ, მაინც „ყვითელი“ აანთო, თუმცა ეს „ყვითელიც“ საკმაოდ მკაფიო სიგნალია იმისა, რომ ზოგიერთ მანქანას მალე გაჩერება მოუწევს, ზოგს კი, პირიქით, — ადგილიდან დაძვრა.**

**დიმიტრი მონიავა**

**ობამას ადმინისტრაციამ მისცა სააკაშვილის ხელისუფლებას დრო და შანსი, რომ ის ახალი რეალობის ადეკვატური გამხდარიყო, თუმცა მან ამით, როგორც ჩანს, ვერ ისარგებლა**

## გაფრაზებულნი

**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**



▼ ახლა მოუმზადებლად რაიმე მოქმედებების დაწყება საბოლოოდ მოკლავს ხალხის საპროტესტო მუხტს. არის პარტიები, რომლებიც წამოიწყებენ აქტიურ მოქმედებებს იმისათვის, რომ სააკაშვილმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს და ამით განიმუხტოს სიტუაცია!

*„ასავალ-დასავალი“*

**რეზო ამაშუკელი,**
**პოეტი:**



▼ მე ირაკლი აბაშიძის ნაჩუქარი პატარა ჭიქა მაქვს და მინდა, კაცი ვინც დარჩა ამ ქვეყანაზე, იმასთან ერთად ორი ჭიქა ღვინო დავლიო, პატრიარქი დავლოცო და ჩემს შვილიშვილებს ვუყურო. კისერი იტეხოს ოპოზიციამაც, პოზიციამაც, იმ მწერლობამაც, ამ მწერლობამაც, ყველამ კისერი იტეხოს ერთად!

*„კვირის ქრონიკა“*

**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**



▼ ჩვენ ამერიკასთან გვაქვს ურთიერთობა გასარკვევი და არა სააკაშვილთან!.. სწორად გამიგეთ, ამერიკის კოლონია ვართ... კაცმა რომ თქვას, კოლონიაც კი არ ვართ, რაღაც საექსპერიმენტო ლაბორატორია ვართ.

*„კვირის ქრონიკა“*

**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**მწვანეთა პარტიის ლიდერი:**



▼ ეს ამერიკული ინსტიტუტები იმდენს იზამენ, რომ საქართველოში ამერიკის ხსენებაზე ადამიანებს ხეებზე ჩამოკიდებენ!

*„ასავალ-დასავალი“*

**თამაზ წივწივაძე,**
**კრიტიკოსი:**



▼ რევოლუციის ბარიკადებზე მე ჩემი ხალხის გვერდით ვიქნები, ხოლო გაცილებით ნაკლებად მაინტერესებს ის ამბავი, თუ რომელი პარტიის ლიდერი სად მამიჩემის მამასთან იქნება!..

*„ასავალ-დასავალი“*

მოკლედ

## სირიაში 28 მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლეს

**სირიის პრეზიდენტის მხარდამჭერმა სამხედრო ძალებმა 28 მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლეს: 26 — ქალაქ დერაში, ხოლო 2 — ცენტრალურ პროვინცია ჰომსში.** მშვიდობიანი მანიფესტაციები სირიის სამართალდამცველმა უწყებებმა ძალის გამოყენებით დაარბიეს. დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რამაც მსხვერპლი გამოიწვია. შეგახსენებთ, დემონსტრანტები ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას მოითხოვენ. მართალია, პრეზიდენტ ასადის ხელისუფლება პოლიტიკური კურსის ცვლილებას დასთანხდა, მაგრამ რეფორმების რეალურად გატარებას იგი არ აპირებს.



## იაპონიაში მსხვერპლმა 13 ათასს მიაღწია

**ოფიციალური მონაცემებით, იაპონიაში მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 13 ათასს მიაღწია.** იაპონიის პოლიციის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 11 მარტს მომხდარი ცუნამის შედეგად დაღუპულია 12 985 ადამიანი. სტიქიური უბედურების დროს ყველაზე მეტი ადამიანი — 7 929 მოქალაქე — მიაგის პრეფექტურაში დაიღუპა, ივატეს პრეფექტურაში — 3 783, ხოლო ფუკუსიმაში — 1 211 ადამიანი. ამავე პრეფექტურებში უგზო-უკლოდ დაკარგულად 14 809 ადამიანი ითვლება, ხოლო დაზარალებულად — 4 646.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ნათელია, რომ, სანამ ნატოში გაწევრიანების ეფემერულ სურვილს ჯიუტად ვეპოტინებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ილუზორული საუბარიც კი ფუჭია. ერთი სიტყვით, მოჯადოებულ წრეში ვართ, ნატოში შესასვლელად თეორიული შანსი მაინც რომ გაგვიჩნდეს, საჭიროა, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრის დასაწყებად კი საჭიროა, უარი ვთქვათ ნატოში შესვლის აკვიატებაზე და „გავაცილოთ“ სააკაშვილის ხელისუფლება.

## გამოხმაურებანი



**ირაკლი ოქრუაშვილი,**
**ქართული პარტიის ლიდერი:**

ბურჯანაძეს ჰგონია, კაცობრიობა ვალშია მასთან, როგორც ყველა დროის საუკეთესო პოლიტიკოსთან. მისი ილუზიები, რომ მარტო შეუძლია მიშას გასტუმრება, 2 მაისს კიდევ ერთხელ გაიფანტება... ეგ და მაგის ქმარი თერჯოლის რაიკომის ჭრილიდან უყურებენ რეჟიმის შეცვლას და ვნახოთ, სადამდე მივლენ. აბა, ასე შეხედეთ: ვინც გაიძახოდა, ფარდის უკან დამაყენესო, იმ კაცმა როგორ უნდა ჩამოაგდოს ის, ვინც მას ფარდის უკან აყენებდა?.. ყველამ დაიმახსოვროს, უჩვენოდ მაგ რეჟიმს ვერავინ შეცვლის!

*„კვირის პალიტრა“*



**პაატა ჯიბლაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

საწვავის ბიზნესში სააკაშვილის საოჯახო კლანის გაზრდილი მადის დაკმაყოფილებას ქვეყნის სოფლის მეურნეობა ეწირება, ვინაიდან დიზელის საწვავზე არაადეკვატურად გაზრდილი ფასების პირობებში ისინი საგაზაფხულო სამუშაოებს ვერ ახორციელებენ, რაც გლეხების გაღატაკებასა და სოფლების დაცლას გამოიწვევს.

*„პირველი“*



**გია ცაგარეიშვილი,**
**პარლამენტის წევრი:**

ესენი ვერ გაეყოფიან ერთმანეთს, რადგან სისხლიანი კვალით არიან ერთმანეთზე გადაბმულები. ისინი ჰგვანან ალპინისტებს, რომლებიც ერთი ბაწრით გადაბმულები კლდეზე არიან დაკიდებულები... როგორ უნდა ჩაეხსნას ბოკერია მერაბიშვილს, მერაბიშვილი — ადეიშვილს, ადეიშვილი — სააკაშვილს, იქნებ, ვინმემ ეს ფორმულა ამიხსნას?..

*„კვირის ქრონიკა“*



**შალვა რამიშვილი,**
**ჟურნალისტი:**

უწმინდესი იმაზე თანამედროვედ აზროვნებს, ვიდრე ბევრი ის პირი, რომლებიც მოდერნისტული იდეების პროპაგანდისთვის ხელფასს იღებს. ვისაც უწმინდესისადმი ჩემი მოწიწების ეს მიზეზი არ აკმაყოფილებს და ყოველივეს მერკანტილურ ჭრილში უყურებს, მათ გასაგონად დავძენ, რომ პატრიარქი ჩემი ციხეში ყოფნის დროს ეხმარებოდა ჩემს ოჯახს სიტყვითაც და მატერიალურადაც.

*„კვირის პალიტრა“*

# მარჯვნივ წავალთ? — ვერ შევალთ, მარცხნივ წავალთ? — ვერ შევალთ, წინ წავალთ? — ნატოში მაინც ვერ შევალთ!

**საზოგადოების ნაწილი, დიდი ხანია, მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ძირეულად შესაცვლელია, რომ საჭიროა კონფლიქტების მოგვარების გონივრული სტრატეგიის შემუშავება და მეზობელთან ურთიერთობების დარეგულირება. საქართველოს ხელისუფლება კი კვლავ ჯიუტად თვლის, რომ ქვეყნის წინსვლისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ნატოში გაწევრიანებაა.**



**ნატოში საქართველოს შესაძლო გაწევრიანება თავიდანვე რომ ბლეფი იყო, არაერთმა მოვლენამ ცალსახად დაადასტურა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის ხელისუფლება დღემდე ამტკიცებს, რომ უახლოეს მომავალში ნატოში აუცილებლად მიგვიღებენ.**

ზერელე პრეზიდენტს, როგორც ჩანს, ავიწყდება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ნატო თავის რიგებში არ იღებს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, ანუ იმისათვის, რომ საქართველო ნატოში შევიდეს, სულ მცირე, საჭიროა ტერიტორიული პრობლემების მოგვარება. ამასთანავე, ნათელია, რომ, სანამ ნატოში გაწევრიანების ეფემერულ სურვილს ჯიუტად ვეპოტინებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ილუზორული საუბარიც კი ფუჭია. ერთი სიტყვით, მოჯადოებულ წრეში ვართ, ნატოში შესასვლელად თეორიული შანსი მაინც რომ გაგვიჩნდეს, საჭიროა, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრის დასაწყებად კი საჭიროა, უარი ვთქვათ ნატოში შესვლის აკვიატებაზე და „გავაცილოთ“ სააკაშვილის ხელისუფლება.**

ამ აშკარად გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, არათუ ნატოში გაწევრიანების მომხრე „ოპტიმისტი ინდივიდებისგან“, არამედ მაღალი თანამდებობის პირებისგანაც ხშირად მოისმენთ, რომ ნატოში ტერიტორიების გარეშეც შეგვიძლია შესვლა და რომ ეს ძალიან მალე მოხდება...

ნეტარ არიან მორწმუნენი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად სააკაშვილის გუნდი ყველაფერზეა წამსვლელი. ოპოზიციურ პარტიათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, მართალია, აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ „მნიშვნელოვან“ საკითხებში, როგორიცაა ნატოში გაწევრიანება და საგარეო პოლიტიკური კურსი, ბრმად უჭერს მას მხარს. ამდენად, საინტერესოა მათი მოსაზრება ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე გაწევრიანების „მოდელირებულ პერსპექტივაზე“.

**„საქართველო და მსოფლიომ“ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს სწორედ ამ საკითხის გასარკვევად მიმართა:**

**1) იზიარებთ თუ არა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს?**

**2) იმ შემთხვევაში, თუ ჰიპოთეტურად გაჩნდება შანსი საქართველოს ნატოში შესვლისა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, რამდენად დაუჭერთ მხარს ამ ინიციატივას და რას მოიმოქმედებს ხელისუფლება ამ შემთხვევაში?**

**გიორგი ლაღიძე, პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი:**

— საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კურსს ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ საქართველოს გზა არის გზა ევროპისკენ. ქვეყნის ინტეგრაცია უნდა მოხდეს ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში, თუმცა არც მე და არც ჩვენი პარტია **მხარს არასდროს დავუჭერთ ნატოში დაკარგული ტერიტორიების გარეშე შესვლას. საქართველო ნატოში უნდა შევიდეს დადგენილ და სუვერენულ საზღვრებში და არა — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე.** თუ საკითხი ასე დადგა, ვფიქრობ, ქვეყნის ხელისუფლებამ ნატოში შესვლის საკითხი საერთოდ უნდა მოხსნას დღის წესრიგიდან, რადგან აზრი არ აქვს დაკარგული ტერიტორიების გარეშე ნატოში შესვლას. თუ ხელისუფლებამ ასეთ სცენარს მხარი დაუჭირა, ეს იქნება ქვეყნის მიმართ კიდევ ერთი მოღალატეობრივი ნაბიჯის გადადგმა.

**ნოდარ გრიგალაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი:**

— საქართველოს პოლიტიკურ კურსს ვიზიარებ. ნატოში შესვლას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე, ძნელი ასახსნელია, მაგრამ მხარს არ დავუჭერ.

# «ეროვნული ფორუმი» და ირაკლი ალასანიას პარტია ერთი ბლოკის შექმნაზე ფიქრობენ

**ამ ორი პარტიის ერთ ბლოკში გაერთიანებაზე შიდა კონსულტაციები უკვე დაიწყო, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. სანამ ყველა დეტალზე არ შეთანხმდებიან, ორივე პარტია ამ თემაზე რაიმე სახის კომენტარს ერიდება.**







ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებში“ აცხადებენ, რომ რაიმე სახის ბლოკზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. კომენტარის გაკეთებაზე თავს იკავებენ „ეროვნულ ფორუმშიც“. თუმცა, ამ პარტიებიდან გამოჟონილი ინფორმაციებით, ორივეგან აქტიურად საუბრობენ გაერთიანებასა და არჩევნებში ერთი ბლოკით გამოსვლაზე.

**„ეროვნული ფორუმისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ დაახლოებაში ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი ისიც არის, რომ კახა შარტავა და ირაკლი ალასანია ნათესავები არიან. ეს კი ქართულ პოლიტიკაში ბევრს ნიშნავს.**

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე ბოლო დროს საკმაოდ ბევრს საუბრობს ოპოზიციის ერთიანობასა და ერთიან გეგმებზე. ამდენად, ამ ორი პარტიის ერთ ბლოკში ხილვა საკმაოდ რეალური პერსპექტივაა.

კიდევ ერთი პარტია, რომელიც „ეროვნულ ფორუმთან“ სიახლოვეში შეიმჩნევა, ზვიად ძიძიგურის „კონსერვატორებია“. მაგრამ რაში გადაიზრდება ეს სიახლოვე და დასრულდება თუ არა არჩევნებში მათი ერთად გამოსვლით, ამაზე საუბარი ჯერ ცოტა ნაადრევია.

ალასანია ვინმესთან გაერთიანებას არ ჩქარობს, რადგან მან ერთი მარცხი უკვე განიცადა. „რესპუბლიკელებთან“ და „ახალ მემარჯვენეებთან“ ერთ ბლოკში გამოსვლა ალასანიას ძვირად დაუჯდა. ამ შეცდომას ირაკლი ალასანია აღარ გაიმეორებს და ისეთ პარტნიორებს აღარ აირჩევს, ვისაც დაბალი რეიტინგი აქვს.

თავის დროზე, ირაკლი ალასანიასთან ერთად გამოსვლით „რესპუბლიკელებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ იხეირეს, რადგან ალასანია თავისი პარტიული ცხოვრების დასაწყისში „მითიურობის მანტიით“ იყო შემოსილი და საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ დაეცა.

საარჩევნო ბარიერის გადალახვის სურვილი „უზენაესი“ სურვილია, რაც პოლიტიკოსებს იმ ნაბიჯს ადგმევინებს, რომელსაც ერთიანი ბლოკი ჰქვია. ამ სურვილმა წარსულშიც არაერთი ლიდერი დროებით, მაგრამ მაინც, დააახლოვა.

ალასანიას მიმართ შეტევა უკვე დაიწყო. ისიც ცხადია, რომ ოპოზიციაში ერთმანეთის ჩაძირვა უფრო კარგად ეხერხებათ, ვიდრე ხელისუფლებასთან ბრძოლა.

საპარლამენტო არჩევნების წინ, ურთიერთბრალდებები და შეურაცხყოფა „სერიულ“ ხასიათს მიიღებს, თუმცა მოწყენილობა არც მანამდე იქნება. ისეთი პირი უჩანს, რომ ოპოზიცია მოსახლეობას გასართობს ხშირ-ხშირად დოზირებულად შესთავაზებს.

ძველმა მეტოქემ ირაკლი ალასანიას თავი ისევ შეახსენა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი არც ადრე გამოირჩეოდა ალასანიას მიმართ კეთილგანწყობით. წლების წინ ორი ირაკლის სერიოზული კამათის ამბავი თითქოს ისტორიას უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ „ოქრო“ ძველ წყენას იოლად არ ივიწყებს და ალასანიას არაპარიზული ეპითეტებით ამკობს.

საფრანგეთში მყოფმა ოქრუაშვილმა „ნაფტა-

ადგილობრივი ხელისუფლება შემთხვევის გასაიდუმლოებას საგულდაგულოდ ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელების ბარბაროსულ საქციელზე მთელი სოფლის მოსახლეობა საუბრობს, ღიად დაპირისპირებას ვერავინ ბედავს. პოლიციელების მხრიდან დაზარალებულების ოჯახებზე ზეწოლისა და მუქარის გამო, ისევ დაზარალებულები არჩევენ გაჩუმებას, რაც ძალაუნებურად გვაეჭვებს — შეიცვალა თუ არა რაიმე რეალურად ჩვენს რეფორმირებულ ქვეყანაში თუ ისევ იმ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ძალა, როგორც ყოველთვის, აღმართს ხნავს.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დავით საგანელიძე, „ახალი მემარჯვენეების“ წევრი:**

— ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ გაგცემთ. არის გარკვეული პოლიტიკა, მაგალითად, იმავე ნატოსთან, ევროკავშირთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რასაც მივესალმები. მაგრამ ნამდვილად არ ვიზიარებ იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს თავის მეზობლებთან. რაც ახლა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხდება, საგარეო პოლიტიკას ვერ დავარქმევ. საშინაო პოლიტიკაა, მაგრამ ამ სიტუაციაში ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები და, ასევე, რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკა მიუღებელია. ერთი „დიახ“ ან „არა“ სწორი არ იქნება. **ნამდვილად არ დავუჭერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლას მხარს. მიმაჩნია, რომ საქართველო ერთიანი ქვეყანა უნდა იყოს და, ამ ტერიტორიებზე უარის თქმის სანაცვლოდ, ნატოში შესვლაზე არ უნდა დავთანხმდეთ.** თუმცა შეიძლება შესვლა ამ მდგომარეობაშიც, თუ დამატებითი ვალდებულებები არ გვექნება. მართალია, დღეს ჩვენ არც სამაჩაბლო გვაქვს და არც აფხაზეთი, მაგრამ, თუ ოფიციალურად უარის თქმა მოგვიწევს ამ ტერიტორიებზე ნატოში შესვლის სანაცვლოდ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვიქნები. ჩემთვის ძალიან ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცევა ხელისუფლება, რადგან ამდენი წელია, ამ ხელისუფლების მიერ გადადგმული ლოგიკური ნაბიჯები არ დამინახავს. ემოციებზეა აწყობილი მთელი ეს პოლიტიკა. შესაძლოა, რაღაც მომენტში დასჭირდეს საკაშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა და გადადგას კიდეც. არ გამოვრიცხავ.

**ზურაბ ტყემალაძე, „მრეწველების“ ლიდერი:**

— საგარეო პოლიტიკას არ ვიზიარებ. **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლას მხარს არ დავუჭერ.** რაც შეეხება იმას, ხელისუფლება შევა თუ არა ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, ჩემი აზრით, ნორმალურმა ხელისუფლებამ ამაზე არც უნდა იყოყმანოს, ვერც უნდა გაბედოს თანხმობა.

**მანანა სალუქვაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:**

— საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს ნაწილობრივ ვიზიარებ. ერთი ხელის მოსმით ან „კი“-ს, ან „არა“-ს ვერ იტყვი. **ნატოში შესვლას მხარს დავუჭერ თუ არა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე? — რა თქმა უნდა, არა.** მაგრამ, რაც შეეხება ხელისუფლებას, ეჭვიც არ მეპარება, რომ შანსი თუ ექნება, ასეთ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მიიღებს.

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

— საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ. ხელისუფლება შევა თუ არა ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, ამას რა კითხვა უნდა?! შევა, აბა, რა! რაც შეეხება იმას, მე დავუჭერ თუ არა მხარს, ჩემი პასუხი უარყოფითია, თუმცა **ჰიპოთეტურად მსჯელობთ ახლა, რადგან, ვფიქრობ, რომ ქვეყანას ნატოში შესვლის პერსპექტივა არ აქვს.** შესაბამისად, ჰიპოთეტურად ამაზე ვერ ვიმსჯელებთ, ზერელე გამოგვივა.

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

ლინდაყრილი პოლიტიკოსებისთვის“ მოიცალა, რომლებიც „ზედაპირზე ამოტივტივდნენ“ და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე დაიწყეს საუბარი. ოქრუაშვილის მიერ პარიზიდან გაკეთებული განცხადებები აქამდეც ბევრს უშლიდა ნერვებს და ეს პროცესი ახლაც გრძელდება.

გაზაფხული, აქტიურობისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდია, რასაც ქართული პოლიტელიტა საკუთარ ზრახვების წარმოსაჩენად გამოიყენებს. ძირითადი ოპოზიციონერი ლიდერები საპროტესტო მუხტის აწევას სხვადასხვა კუთხით შეეცდებიან. ვინ რა მეთოდს გამოიყენებს და ვინ შეეცდება აკრძალული ილეთებით ბრძოლას, გზადაგზა გამოჩნდება.

ჯენტლმენურ შეთანხმებას პოლიტიკოსები ისე ხშირად არღვევენ, რომ მოსახლეობა მტყუან-მართალს კარგა ხანს არკვევს. ოპოზიციური სპექტრი ხვდება, რომ მათი საქმე მაინც და მაინც კარგად არ არის და, სანამ ყველა ცალ-ცალკე იბრძვის, არაფერი გამოვა. ვის ვის მიმართ გაუჩნდება პოლიტიკური სიმპათია, ვინ ვერ დაივიწყებს ძველ წყენას და ვინ შექმნის ერთ დიდ გაერთიანებას — ამის კონტურები სულ მალე გამოჩნდება.

**ნანა ნაცვლიშვილი**

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის დაუკავშირდა „ეროვნული ფორუმის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისებს და მათ უფლებამოსილ პირებს ესაუბრა.**

**ანი მიროტაძე, „ეროვნული ფორუმი“:** — თუ თქვენ გულისხმობთ იმას, რომ „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივით დაიწყო კონსულტაციები საერთო ოპოზიციური ბანაკის შესაქმნელად, ამას გიდასტურებთ, მაგრამ რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებთან“ გაერთიანებას, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე „ფორუმი“ არანაირ ბლოკში შესვლას არ აპირებს, და მსგავსი რამ არც იგეგმება; თუმცა ჩვენი ხედვები გარკვეულ საკითხებზე ერთმანეთს ემთხვევა და აქედან გამომდინარე ჩვენ, ბუნებრივია, აქტიურად ვთანამშრომლობთ ირაკლი ალასანიასთან.

**ვაკო ავალიანი, „თავისუფალი დემოკრატები“:** — „თავისუფალი დემოკრატები“ არც ერთ ბლოკში გაერთიანებას, ამ ეტაპზე, ნამდვილად არ განიხილავს. ამდენად, არ ვადასტურებ იმ ინფორმაციას, რომ „ფორუმი“ და ირაკლი ალასანია რაღაც ალიანსს ქმნიან.

# ნასვამმა პოლიციელებმა XI კლასელები ჯერ ქუჩაში სცემეს, მერე კი ერთი ბავშვი ალაზნის ხიდიდან მდინარეში ფეხით გადააკიდეს

**როდესაც საქართველოს ხელისუფლება რეფორმატორობით იწონებს თავს, როგორც წესი, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად სწორედ პოლიციაში განხორციელებული ცვლილებები სახელდება. თუმცა ფაქტი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში მოხდა, ხელისუფლების ესოდენ ნაქებ რეფორმას ნამდვილად ჩრდილს აყენებს. ალბათ, სწორედ ამიტომ აღნიშნული შემთხვევა ხელისუფლებას არ გაუხმაურებია.**



## ალაზანი დიდია, შიგ მოსწავლე კიდია...

8 მარტს ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის პოლიციელებმა სკოლის მოსწავლეები სასტიკად სცემეს, მაგრამ დამნაშავეები დღემდე არავის დაუსჯია. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება შემთხვევის გასაიდუმლოებას საგულდაგულოდ ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელების ბარბაროსულ საქციელზე მთელი სოფლის მოსახლეობა საუბრობს, ღიად დაპირისპირებას ვერავინ ბედავს. პოლიციელების მხრიდან დაზარალებულების ოჯახებზე ზეწოლისა და მუქარის გამო, ისევ დაზარალებულები არჩევენ გაჩუმებას, რაც ძალაუნებურად გვაეჭვებს — შეიცვალა თუ არა რაიმე რეალურად ჩვენს რეფორმირებულ ქვეყანაში თუ ისევ იმ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ძალა, როგორც ყოველთვის, აღმართს ხნავს.

როგორც მოწმეები ყვებიან, ყველაფერი ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქეიფის დროს დაიწყო. სკოლის მოსწავლეების ჩხუბში პოლიცია ჩაერია და, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, მათთვის „ჭკუა ესწავლებინა“, რაც მოსწავლეების არამარტო პოლიციის განყოფილებაში წაყვანით, არამედ მათი ცემითაც დასრულდა. სამი მოსწავლე სცემეს. როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, პოლიციელებისგან ყველაზე მეტად მექო ბილოიძე დაზარალდა, რომელიც შესაშინებლად ხიდიდან ფეხით გადაკიდეს და ისე სასტიკად სცემეს, რომ მოტეხილობებიც აღენიშნებოდა.

**როგორც პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ერეკლე ცოცანიძე** გვიყვება, მათ აღნიშნული ფაქტის შეტყობისთანავე საგანგებო ბრიფინგი გამართეს:

„ჩვენი ინფორმაციით, XI კლასელები 8 მარტს აღნიშნავდნენ, ხოლო XII კლასელები ცდილობდნენ მათთან შესვლას, მაგრამ რაკი არ შეუშვიათ, ამათ გარედან ქვების სროლა დაუწყიათ. მართალია, პოლიცია XI კლასელებს გამოუძახებიათ, მაგრამ პოლიციელებს, დამნაშავეების მაგივრად, XI კლასელები დაუჭერიათ და უცემიათ.

**სამი მოსწავლე იყო ნაცემი, ერთი — განსაკუთრებით, ნეკნებიც კი ჰქონდა ჩამტვრეული. როგორც შევიტყვეთ, მექო ბილოიძე ხიდიდან ფეხით გადაკიდეს პოლიცილებმა. ცემის მერე კი მოზარდები პილიციის განყოფილებაში წაიყვანეს და ახსნა-განმარტებითი ბარათები დააწერინეს.**

როდესაც მომხდარის შესახებ შევიტყვე, ჩვენი პარტიის ლიდერთან, კახა კუკავასთან ერთად მოვინახულე ბილოიძის ოჯახი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა, მაგრამ ოჯახებს არ სურთ სიტუაციის გართულება, ეშინიათ, ვინაიდან, როცა ეს ამბავი რაიონში გახმაურდა, პოლიციამ მიაკითხათ, ხომ არ ჩივიხართო. თუ დაზარალებული ოჯახები ხმას ამოიღებენ, სოფლის მოსახლეობა მზადაა, მათ გვერდით დაუდგეს. ისე კი, ჩვენ ვერაფერს ვიზამთო, ამბობენ.

როგორც ვიცი, დამნაშავე პოლიციელები არავის დაუსჯია, რადგან მათთვის არავის უჩივლია. იმ პერიოდში მოხსნეს ახმეტის პოლიციის უფროსი ზურაბ ფილაშვილი. მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ აღნიშნული ფაქტი იყო თუ სხვა რამ, ხელისუფლებას არ დაუკონკრეტებია.“

**პოლიციელების თავნებობის ფაქტს ადასტურებს კონსერვატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილიც:**

„8 მარტს, საღამოს 8-9 საათზე, პოლიციის მორიგე ჯგუფმა (ოთხმა თუ ხუთმა პოლიციელმა) სოფლებში შემოვლისას (მათ შორის იყვნენ როგორც კრიმინალური პოლიციის, ასევე უბნის ინსპექტორები) XI კლასის მოსწავლეებს ჯერ ქუჩაში სასტიკად სცემა, მერე კი ერთი ბავშვი ალაზნის ხიდიდან მდინარეში ფეხით დაკიდა, შემდეგ განყოფილებაში წაიყვანა და იქაც სცემა. დღესასწაული იყო და ეს პოლიციელებიც ნასვამები ყოფილან. თავიდან მეც გაზვიადებული მეგონა ეს ამბავი, მაგრამ, როცა მივედი ოჯახში, ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. **მექო ბილოიძეს ჰქონდა მნიშვნელოვანი დაზიანებები, აღენიშნებოდა მოტეხილობა. სხვები ნაკლებად იყვნენ ნაცემი. მშობლები პოლიციის მხრიდან მათი მისამართით განხორციელებული ტერორის გამო ამ ფაქტს ასაიდუმლოებენ.** ინფორმაცია მოგვაწოდეს იმავე სოფლის მცხოვრებლებმა და გვთხოვეს, ვინაობა არ გაგვემხილა“.

**დაზარალებული მექო ბილოიძის დედას, ხათუნა ბილოიძეს** დეტალებზე საუბარი არ სურს, თუმცა მომხდარს არ უარყოფს და ამბობს, რომ მისი შვილი გაუგებრობაში აღმოჩნდა და უდანაშაულოა:

„ამ ბავშვებმა არაფერი იციან, აზრზე არ არიან, რა მოხდა, იქ შემთხვევით მოხვდნენ. XI კლასელები იქ საერთოდ არ ყოფილან. კაფეში თავისთვის აღნიშნავდნენ 8 მარტს. ვეღარაფერს ვიტყვი.

**— როგორ აღმოჩნდა თქვენი შვილი პოლიციის განყოფილებაში?**

— ჩვენც არ ვიცით... შემთხვევით.

**— რატომ სცემეს პოლიციელებმა მექო ბილოიძე?**

— დამთავრდა უკვე ეს ამბავი და აღარ მინდა ამაზე საუბარი.

**— დამნაშავე პოლიციელები დასაჯეს?**

— არც ეგ არ ვიცით. სამი ბავშვი დააკავეს და არ იცოდნენ არაფერი. ეს ამბავი აღარც მაინტერესებს“.

**კომენტარისთვის ჩვენ ახმეტის რაიონის პოლიციასაც დავუკავშირდით. მაგრამ, როგორც ცნობილია, რეფორმირებული უწყების წარმომადგენლები, უკვე კარგა ხანია, მედიას აღარ სწყალობენ. გამონაკლისი არც ეს შემთხვევა აღმოჩნდა. ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემას პოლიციამ თავი აარიდა. მაგრამ, თუ პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ ჩვენთან შეხვედრის სურვილი გაუჩნდებათ, მზად ვართ, მათი კომენტარი დავბეჭდოთ.**

**შორენა ციჳქარაშვილი**

მსოფლიო

## ვაშინგტონის მერი დააკავეს

**პოლიციამ ვაშინგტონის მერი ვინსენტ გრეი საპროტესტო აქციაში მონაწილეობისას დააკავა. იგი აშშ-ის დედაქალაქის საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას აპროტესტებდა.** ამჟამად ვაშინგტონის მერი უკვე გათავისუფლებულია. მერთან ერთად ის 40 ადამიანიც გაათავისუფლეს, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ. აქციის ყველა მონაწილეს საგზაო მოძრაობის ბლოკირებაში დასდეს ბრალი, რის გამოც მათ 50-დოლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.



ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**კალმახელიძე დამნაშავეა და ის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ჯალათი და მწვალებელი პატიმრებისა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ყველა იმ უბედურების სათავე მე მაინც სხვა ადამიანი მგონია. მხედველობაში მყავს მიხეილ სააკაშვილი, კაცი, რომელიც ამაყობს იმით, რომ მისი მმართველობის პერიოდში ამდენი და ამდენი ციხე აშენდა, ამდენი ადამიანი პოლიციაში წავიდა და ა.შ.**

# «დემოკრატიის შუქურის» გარშემო სიკვდილის აჩრდილი დაძრწის

**საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.ombudsman.ge) გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა საზოგადოება შოკში ჩააგდო. 142 გარდაცვლილი მსჯავრდებული, — ასეთია იმ 700-გვერდიანი ანგარიშის მონაცემი, რომელიც, ადამიანის უფლებათა დაცულობის თვალსაზრისით, 2010 წელს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ასახავს და რომელშიც სამართალდამცავების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებია აღნუსხული. უკიდურესი სიმწვავისა და კრიტიკულობის მიუხედავად, თავისუფლების ნაინსტიტუტარი და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ერთხმად არჩეული ომბუდსმენის მოხსენებას საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც ეჭვის თვალით უყურებს და თვლის, რომ აღნიშნული მოხსენებით სახალხო დამცველი „ობიექტურობანას“ თამაშობს. თავის მხრივ, გიორგი ტუღუში აქცენტს პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე აკეთებს და კალმახელიძის უწყების მიმართ კრიტიკას არ იშურებს. „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რეალურად რა მდგომარეობაა დღესდღეობით საპყრობილეებში და იმის გასარკვევად, თუ რა პირობებში უწევთ მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა, აწ გარდაცვლილი პატიმრების — მერაბ დევნოზაძის მამას, ვლადიმერ დევნოზაძესა და ჯამბულ აბუსერიძის დას, მანანა აბუსერიძეს შეხვდა.**



გარდაიცვალა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — კაცი ციხეში შევიდა სრულიად ჯანმრთელი და ორწელიწად-ნახევარში იქიდან მკვდარი გამოვასვენე. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, არის თუ არა ეს მკვლელობა?.. მე ვამბობ, რომ შვილი მომიკლეს და, თუ ამ ქვეყანაზე სამართალი არსებობს, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

**— და ვინ მიგაჩნიათ დამნაშავედ?**

— ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა, ვისაც შეხება აქვს სასჯელაღსრულების სისტემასთან და ხელს აფარებს იმ საშინელებას, რაც ამ სისტემაში ხდება...

**— აკონკრეტოთ, ვის აბრალებთ თქვენი შვილის გარდაცვალებას?**

— უპირველესად, — პირადად პრეზიდენტს და მის ქვეშევრდომ მთავრობის წევრებს, ვისაც ევალებოდა, რომ წარედგინა ჩემი შვილი ვადაზე ადრე გასათავისუფლებლად. ასევე, ვაბრალებ ხათუნა კალმახელიძეს, სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებს და შემდეგ ყველა იმ მაღალ თუ დაბალჩინოსნებს, ვისაც რამე შეხება აქვს ამ ბნელით მოცული უწყების შიდა სამზარეულოსთან. ვიმეორებ, ყველა ეს ადამიანი დასაჭერი და ციხეში გამოსამწყვდევია...

## სახალხო დამცველს განცხადებით ჯერ კიდევ მაშინ მივმართე, როცა ჩემი შვილი საავადმყოფოში იწვა, და დახმარება ვთხოვე, მაგრამ მაპატიეთ და ფეხებზე დამიკიდა

**ვლადიმერ დევნოზაძე:**

— ჩემი შვილი, მერაბ დევნოზაძე, თავიდან სასჯელს გლდანის №8 საპყრობილეში იხდიდა, რამდენიმე მუხლით ერთდროულად გაასამართლეს და თვრამეტი წელი მიუსაჯეს. განაჩენის გამოტანამდე პროკურორმა საპროცესო შეთანხმება შემოგვთავაზა, ანუ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ჩემს შვილს სასჯელს შვიდ წლამდე შეუმსუბუქებდნენ, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ეს თანხა არ გვქონდა, შეთანხმება ვერ მოხერხდა.

ამის შემდეგ ჩემი შვილი გლდანის ციხიდან რუსთავის №2 დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ უკვე რა ხდებოდა და რა პირობებში იყვნენ პატიმრები, აღარ ვიცი, მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და ჩემი შვილი, მძიმე ავადმყოფი, ჯერ ქსნის ტუბზონაში, შემდეგ კი გლდანის №18 სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში აღმოჩნდა... თქვენ წარმოიდგინეთ, მოსანახულებლად რომ მივედი, ეს იყო 2010 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვები, იმდენად მძიმე მდგომარეობაში დამხვდა, რომ სიარული აღარ შეეძლო, ფეხზე ვერ დგებოდა; **კაცი ინვალიდის ეტლით ჩამომიყვანეს და თან გამაფრთხილეს, ამისთვის დიდხანს ჯდომა არ შეიძლება, ათ წუთზე მეტს ვერ გაგაჩერებთო. ეს რომ მითხრეს, გავგიჟდი, გადავირიე, რას ჰქვია, ვერ გამაჩერებთ, რა ხდება, რა უქენით ჩემს შვილს, პასუხი გამეცით-მეთქი, ვყვიროდი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყურიც არ შეიბერტყეს.**

ამის შემდეგ განცხადებით მივმართე ექიმს, რეანიმაციის განყოფილების უფროსს — იოსებ ჯალალიშვილს და ვთხოვე, აეხსნა, რაში იყო საქმე. პასუხი ასეთი მომივიდა: თქვენი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მკურნალობის პროცესი ნორმალურად მიდისო... რადგან ამას ექიმი მწერდა, მეც დავმშვიდდი. მაგრამ **გავიდა ორი თვე და ზუსტად 2 მარტს მირეკავენ და მეუბნებიან, თქვენი შვილი ხუდადოვის საავადმყოფოში გადაიყვანესო. იქ რომ მივედი, უკვე ცოცხალი აღარ დამხვდა. მკვდარიც არ მაჩვენეს. სასწრაფოდ ასათიანის საავადმყოფოში გადაუსვენებიათ ექსპერტიზისთვის, სიკვდილის მიზეზის დასადგენად...**

**— და რა დაადგინა ექსპერტიზამ, რა დასახელდა სიკვდილის მიზეზად?**

— მიზეზი ფილტვის ტუბერკულოზი იყო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. **მთავარი ისაა, რომ ადამიანი, რომელიც სრულიად ჯანმრთელი იყო, ისეთ ადგილას მოახვედრეს, რომ დაავადდა და მერე, სანამ უკიდურესობამდე არ მივიდა, სათანადო მკურნალობა არ ჩაუტარეს...**

**— ანუ გინდათ, თქვათ, რომ ციხეში მოხვედრამდე თქვენი შვილი ჯანმრთელი იყო?**

— **სრულიად ჯანმრთელი, ამიტომაც ვამბობ ხმამაღლა, რომ ის მოკლეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს შვილს სასიკვდილო არაფერი სჭირდა და საერთოდ, საკითხავია, ის საავადმყოფოში გარდაიცვალა თუ უკვე გარდაცვლილი იყო, როცა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მოგეხსენებათ, უამრავი პატიმარია ასე გარდაცვლილი და შემდეგ გაფორმებული, რომ თითქოს საავადმყოფოში მოკვდა...**

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ თქვენი შვილი ციხეში გარდაიცვალა?**

— მე დარწმუნებით არ ვიცი, ჩემი შვილი სად და რით

**— უპირველესად, ალბათ, კალმახელიძეს გულისხმობთ?**

— **კალმახელიძე დამნაშავეა და ის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ჯალათი და მწვალებელი პატიმრებისა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ყველა იმ უბედურების სათავე მე მაინც სხვა ადამიანი მგონია. მხედველობაში მყავს მიხეილ სააკაშვილი, კაცი, რომელიც ამაყობს იმით, რომ მისი მმართველობის პერიოდში ამდენი და ამდენი ციხე აშენდა, ამდენი ადამიანი პოლიციაში წავიდა და ა.შ. მთავარი დამნაშავე, მთავარი ჯალათი და მკვლელი მიხეილ სააკაშვილია. ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ეს ადამიანი უნდა ჩამოშორდეს ხელისუფლებას და დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს თუ ჩემი შვილი გახდა ამ პირსისხლიანი რეჟიმის მსხვერპლი, ხვალ და ზეგ იგივე მოელის ყველას, ვინც ციხეშია, და არა მარტო მათ...**

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, იქნებ, უფრო და-

**— სახალხო დამცველის ანგარიშზე რა აზრის ხართ, ამბობენ, მასში ყველა გარდაცვლილი მსჯავრდებულია შესულიო...**

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა წერია მაგ ანგარიშში. **სახალხო დამცველს განცხადებით ჯერ კიდევ მაშინ მივმართე, როცა ჩემი შვილი საავადმყოფოში იწვა და დახმარება ვთხოვე, მაგრამ მაპატიეთ და ფეხებზე დამიკიდა.**

ჩვენ მხოლოდ უდანაშაულოდ დაპატიმრებულ ადამიანებს ვეხმარებით, თქვენი შემთხვევა კი ჩვენს კომპეტენციას სცილდებაო, — ასე მომწერა მაშინ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელმა ვინმე ალექსანდრე დარახველიძემ და ეს იყო მთელი მათი ყურადღება. ახლა მითხარით, როგორ შეიძლება ვენდო ამ ადამიანებს?! ბლეფია ეს ყველაფერი. **ეს ე. წ. ანგარიშიც იმ მიზანს ემსახურება, რომ ხალხს აჩვენონ — აი, რა დემოკრატიაში ვცხოვრობთ, ომბუდსმენი ყველაფერზე დაუფარავად საუბრობს, ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებსო. ეგეც** ▶

**ვლადიმერ დევნოზაძე:**

**მთავარი დამნაშავე, მთავარი ჯალათი და მკვლელი მიხეილ სააკაშვილია!**

მსოფლიო

### აშშ-მა კადაფის თანამდებობა შეურჩია

**ტელეარხ CNN-ის კორესპონდენტი ნიკ რობერტსონი, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ყოფილი კონგრესმენის — კურტ უელდონის ტრიპოლიში ჩატანილ შეთავაზებათა პაკეტის დეტალები უკვე ცნობილია.** აშშ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ქალაქებიდან სახელისუფლო შეიარაღებული ძალების გაყვანასა და ლიბიის ყველა დასახლებულ პუნქტში ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაშვებას მოითხოვს. სანაცვლოდ კი ამბოხებულები საბრძოლო მოქმედებებს შეწყვეტენ. გარდა ამისა, აშშ კადაფს სთავაზობს, ლიბიის მმართველობაზე უარი თქვას და აფრიკის ქვეყნების კავშირის თავმჯდომარის საპატიო სავარძელი დაიკავოს.



### გაერო ნატოს მოუწოდებს, შეწყვიტოს ძალის გამოყენება

**გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი ნატოს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს განურჩეველი სამხედრო ძალის გამოყენება ლიბიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.** პან გი მუნი ასევე მოუწოდებს ლიბიის ხელისუფლებას, დაემორჩილოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცეცხლი, ძალადობა და შეიარაღებული შეტევა მშვიდობიან მოსახლეობაზე.



**უმთავრესი მაინც ამ ბრძოლაში საზოგადოების მხარდაჭერაა. ამიტომ ყველას, განსაკუთრებით მსჯავრდებულთა დედების, გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ახლა სირაქლემის პოზაში ყოფნის დრო აღარაა, კატასტროფა უკვე მომხდარია და, რაც უფრო ადრე ავიმაღლებთ ხმას, მით უფრო ნაკლები ადამიანის სიცოცხლე შეეწირება ამ ყველაფერს.**

# ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**◀ რომ არ იყოს, რა ძალა აქვს ამ ანგარიშს? ყველამ ვიცით, რომ რამდენიც უნდა იძახონ უფლებადამცველებმა, ციხეებში საშინელებები ხდებაო, რეალურად არაფერი შეიცვლება.**

**— აგერ უკვე თვეზე მეტი გავიდა, რაც თქვენი შვილი გარდაიცვალა. რას აპირებთ, რა ფორმით უნდა ებრძოლოთ უსამართლობას?**

— მე უკვე 74 წლის კაცი ვარ და ჩემთვის სულ ერთია, ერთი-ორი წლით ადრე მოვკვდები თუ გვიან. ასე რომ, ნებისმიერი ფორმითა და გზით ვიბრძოლებ ამ მკვლელების წინააღმდეგ; უკან არაფერზე დავიხევ, იმიტომ, რომ დასაკარგი იმაზე ძვირფასი არაფერი მაქვს, რაც უკვე დავკარგე... **ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ჩემი ერთადერთი ნატვრაა და უფალსაც ამას შევთხოვ, რომ როგორმე იმ პირსისხლიანი ჯალათების დამხობას და გადაგდებას მომასწროს, რომლებმაც შვილი მომიკლეს და გამაუბედურეს...**

**მანანა აბუსერიძე:**

— ჩემი ძმა, რომელიც 11 წელი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორის თანამშრომელი, 2005 წლის 16 თებერვლიდან, სასჯელს იხდიდა ჯერ ბათუმის ციხეში, შემდეგ — ავჭალის კოლონიაში და ბოლოს — ორთაჭალის №1 საპყრობილეში. სასამართლომ, რომელიც თავიდან ბოლომდე მიკერძოებულად ჩატარდა, არ გაითვალისწინა არანაირი გამამართლებელი გარემოებები და მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის გასაჩივრება არც გვიცდია, ვინაიდან ამას აზრი არ ჰქონდა; მაგრამ ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი ძმა უყურადღებოდ არ დამეტოვებინა და თითქმის ყოველ მეორე დღეს ციხის კარებთან ვიდექი. იქ საშინელებები ხდებოდა — **პატიმრებს აწამებდნენ, თოკით აბამდნენ და ისე სცემდნენ; საჭმელი მათ არ ჰქონდათ ნორმალური და სასმელი, ტანსაცმელსა და ჰიგიენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...**

**— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ საიდან იცით ეს ყველაფერი?**

— **ამას ჩემი ძმა მიყვებოდა. მისგან ვიცი, რომ საკანში, სადაც ის იჯდა, გაუსაძლისი პირობები იყო. წამებით ხომ აწამებდნენ, გაჭყავდათ და რაღაც ნემსებსაც უკეთებდნენ, ცემდნენ... მოკლედ, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ იქიდან ცოცხალი არ გამოსულიყო და მოკლეს კიდეც.**

**— მიცვალებულს ექსპერტიზა თუ ჩაუტარდა?**

— ექსპერტიზა საავადმყოფოშივე ჩაუტარეს და სიკვდილის მიზეზად თავის სიმსივნე დასახელდა. არადა, ჩემი ძმა სრულიად ჯანმრთელი იყო, ვარჯიშობდა და მთელი ცხოვრება ჯანსაღი წესით ცხოვრობდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, უამრავი ადამიანია, რომელთაც სიმსივნე აქვს და წლობით ცოცხლობს და ჩემს ძმას რა აღმოაჩნდა ასეთი, რომ ათ დღეში სული დალია?! არანაირი სიმსივნე მას არ ჰქონია, ვიმეორებ, ჩემი ძმა სრულიად ჯანმრთელი იყო, ის ციხეში ცემით მოკლეს. თვითონაც არაერთხელ აქვს ნათქვამი ჩემთვის, რომ აწამებდნენ, და მეც არაერთხელ მინახავს პაემანზე ხან თავგატეხილი, ხან — თვალებჩალურჯებული.

**— ბოლოს როდის ნახეთ და რა მდგომარეობაში იყო?**

— 17 დეკემბერს გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში შევხვდით; თავიდან არ უნდოდათ, რომ მენახა, და, მივედი თუ არა, საავადმყოფოს დირექტორის — მაიზერ გოჭიანის კაბინეტში შემიყვანეს და მითხრეს, თქვენს ძმას სიმსივნე აღმოაჩნდა, კომაშია და დღეს მას ვერ ნახავთო. **გავგიჟდი, რა სიმსივნე, რა გაუკეთეთ, სანამ ჩემს ძმას არ მანახებთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი. დირექტორი და მთავარი ექიმი მამშვიდებდნენ, მომავალ კვირას მოდით და შეგახვედრებთო, მაგრამ, რომ შეხედეს, ვერ დამითანხმებდნენ, რაღაც ერთმანეთში მოითათბირეს და დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ჩემი ძმა ეტლით ჩამოიყვანეს.**

**ჩვენი საუბარი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა და ჩემმა ძმამ საშინელებები მომიყვა — დამაბეს და ისე გამიკეთეს რაღაც ნემსებიო, მერე სისხლი გამიღეს და გონება დავკარგეო... მოკლედ სასტიკად უწამებიათ და საავადმყოფოშიც ამიტომ აღმოჩნდა...**

**— თვითონ თუ იცოდა, რომ სიმსივნე ჰქონდა და რას ფიქრობდა ამაზე?**

— არ ვიცი, იცოდა თუ არა, ჩვენ ამაზე არ გვისაუბრია, მაგრამ, რომ შევხვდი, პირველი, რაც მითხრა, ის იყო, მე აქედან ცოცხალი ვერ გამოვალო. შემდეგ, როგორც გითხარით, მომიყვა, თუ როგორ აწამებდნენ და რა პირობები ჰქონდა მას შექმნილი საკანში.

**— სახალხო დამცველს ან რომელიმე სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციას თუ მიმართეთ და აცნობეთ ამ ყველაფრის შესახებ?**

— ამ ექვსი წლის განმავლობაში, რაც ჩემი ძმა ციხეში იყო, არ დარჩენილა არც ერთი უწყება და ორგანიზაცია, მე რომ დახმარებისთვის არ მიმემართოს; ვინ დათვლის, რამდენი წერილი და განცხადება მაქვს დაწერილი, მაგრამ არანაირი რეაგირება არსაიდან არ ყოფილა.



## მანანა აბუსერიძე:
# ჩემი ძმა სრულიად ჯანმრთელი იყო და ციხეში ცემით მოკლეს!

რაც შეეხება სახალხო დამცველს, 10 იანვარს, ანუ ჩემი ძმის გარდაცვალებიდან 20 დღის შემდეგ, მე მას მივმართე განცხადებით, რომ გამოეძია ეს საქმე; ასევე მივმართე თხოვნით, რომ შემხვედროდა პირადად, მაგრამ არანაირი გამოხმაურება მისი მხრიდან არ ყოფილა; დარეკვითაც კი არ დაურეკავთ და არ უკითხავთ, ვინ ვარ და რა პრობლემები მაქვს. აი, ასე მოიქცა ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი სახალხო დამცველი და დღეს რომ ის რაღაც სქელტანიან ანგარიშებს აქვეყნებს, მაპატიეთ, მაგრამ მე პირადად ასეთი ანგარიშების არ მჯერა და არ მწამს... კაცი სანამ ცოცხალია, მანამ უნდა შველა, თორემ სიკვდილის მერე რომ იძახო, ამდენი პატიმარია გარდაცვლილიო, ამით მიცვალებულს ვერ გააცოცხლებ...

**— თქვენ თქვით, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში თითქმის ყველა შესაბამის უწყებას მიმართეთ დახმარების თხოვნით და ყურადღება არავინ მოგაქციათ. იმედია, ხელის ჩაქნევას არ აპირებთ.**

— არავითარ შემთხვევაში, **მე დაზარალებული ვარ, ძმა მომიკლეს და, თუნდაც სიცოცხლის ფასად, მივაღწევ იმას, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ. მხედველობაში მყავს ის ადამიანები, რომლებმაც პირადი ინტერესების გამო დალუპეს ჩემი ძმა.** ესენი არიან: აჭარის პროკურატურის თანამშრომელი რამაზ ხოზრევანიძე, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები — ფრიდონ ქარცივაძე, ავთანდილ კილაძე, პატრულის თანამშრომელი გივი ხოზრევანიძე და სხვები. ეს ადამიანები არიან მკვლელები, ბოროტმოქმედები და, ვიდრე ისინი თავისუფლად დადიან, არ მოვისვენებ.

**აქვე მინდა, მივმართო ყველა მსჯავრდებულის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც ხმის ამოღებას ვერ ბედავენ, რომ ნუ ხუჭავენ თვალს იმ საშინელებაზე, რაც დღეს საპყრობილეებში ხდება, თორემ ხვალ თუ ზეგ ყველა ჩემი ძმის ბედს გაიზიარებს. ამას ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ, ვინაიდან თავის დროზე მეც ვდუმდი, ხმას არ ვიღებდი და აი, რა მივიღე...** ვიდრე ყველა პატიმარი წამებით არ მოუკლავთ და ვიდრე ყველა მსჯავრდებულის ოჯახი არ გაუბედურებულა, გამოვიდეთ და ყველამ ერთად ხმა ავიმაღლოთ ამ უკანონობაზე, სადიზმსა და არაადამიანობაზე, რაც დღეს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული საქართველოში...

# სანამ ცოცხალია, მანამ უნდა შველა, თორემ სიკვდილის მერე რომ ანგარიშები წერო და იძახო, ამდენი პატიმარია გარდაცვლილიო, ამით მიცვალებულს ვერ გააცოცხლებ



## ქეთევან ადამია:
# სირაქლემის პოზაში ყოფნის დრო აღარაა

**მანანა აბუსერიძესთან საუბრის შემდეგ „საქართველო და მსოფლიო" საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, ქეთევან ადამიას შეხვდა და მსჯავრდებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა.**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ უკვე ნამდვილად საგანგაშო და დამაფიქრებელია ის მდგომარეობა, რაც დღეს საპყრობილეებშია — დღითიდღე ხშირდება წამების ფაქტები, იზრდება ავადმყოფთა და გარდაცვლილ მსჯავრდებულთა რაოდენობა. დღე ისე არ გავა, რომ რამდენიმე პატიმარი არ მოკვდეს და ამ ყველაფრის მიზეზი არის სწორედ ის, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზები, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებობს. უნდა თუ არა ხელისუფლებას ამის აღიარება, არაფერს ცვლის, რადგან, ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში რომ 142 პატიმარი გარდაიცვალა, ამას ყველა ხედავს.

რაც შეეხება გამოსავალს, ჩვენ, საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლები, ვაპირებთ, სარჩელი შევიტანოთ ევროსტრუქტურებში, უპირველესად კი — სტრასბურგის სასამართლოში. ასევე ვაპირებთ, სარჩელის გაგზავნას ბრიუსელში და ყველა იმ უფლებადამცველ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლებზეც ხელი მიგვიწვდება. მაგრამ **უმთავრესი მაინც ამ ბრძოლაში საზოგადოების მხარდაჭერაა. ამიტომ ყველას, განსაკუთრებით მსჯავრდებულთა დედების, გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ახლა სირაქლემის პოზაში ყოფნის დრო აღარაა, კატასტროფა უკვე მომხდარია და, რაც უფრო ადრე ავიმაღლებთ ხმას, მით უფრო ნაკლები ადამიანის სიცოცხლე შეეწირება ამ ყველაფერს.**

**ჯაბა ჟვანია**

## გაჟღერებული

**ზაზა ხატიაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:**



▼ საქართველოს პრეზიდენტი სასამართლოზე ზეწოლას ახდენს. მისი განცხადება — არავითარი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეში, სხვა არაფერია თუ არა სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა.

*obieqtivi.net*

**კახა შარტავა, „ეროვნული ფორუმის" ლიდერი:**



▼ თუკი პოლიტიკური „რვიანი" საარჩევნო გარემოს რეფორმირების აუცილებლობის ირგვლივ ხალხის მობილიზებას ვერ შეძლებს, ხალხი მიშას და სინგაპურიზაციის ამარა დარჩება.

*„პირველი"*

**ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი:**



▼ ჩვენ მას ყველა ფრონტიდან შევუტევთ, რათა სააკაშვილის უპასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნისადმი პასუხისმგებლობა დავუპირისპიროთ. დარწმუნებული ვარ, რომ ფართომასშტაბიანი აქციების ჩატარება რთული არ არის, რადგან ხალხში ეს მოსაზრება მომწიფდა.

*„ახალი თაობა"*

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე:**



▼ ხელისუფლების შესაცვლელად საპროტესტო მოქმედებების წამოწყებას საფუძვლიანი მომზადება სჭირდება, რადგან არც ერთ ოპოზიციურ პარტიას ამ კუთხით აქტიური სამუშაოები არ ჩაუტარებია და ამ ეტაპზე საჭირო პოლიტიკური მზადყოფნა არ გააჩნია.

*„პირველი"*

**ლადო პაპავა, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**



▼ ჩვენი განვითარება ერთობ წინააღმდეგობრივია — ფორმით ის ნეოლიბერალურს ჰგავს, მაგრამ შინაარსით ნეობოლშევიკურია. ამიტომ, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ ეკონომიკაში ევროპული სტანდარტებისგან.

*„ინტერპრესნიუსი"*

# რადიაციამ იაპონიის კიდევ ერთი სადგურიდან გაჟონა

**7 აპრილს იაპონიაში მიაგის პრეფექტურასთან მომხადრი 7,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მორიგი მიწისძვრის შედეგად ატომურ ელექტროსადგურ „ონაგავაზე" რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვა დაფიქსირდა.** დაბინძურებული წყალი დაზიანებული რეაქტორების პირველი და მეორე ბლოკებიდან ჟონავს. რადიაციის დონის მომატება სადგურის რაიონში არ შეინიშნება. მიწისძრის დროს 2 ადამიანი დაიღუპა, 130 კი მძიმედ დაშავდა.



# ევროპარლამენტი დიალოგის მომხრეა

**ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე არსებულ არაღიარებულ რესპუბლიკებს დიალოგისკენ მოუწოდებს.** რეზოლუციის 47-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ მაღალჩინოსნები, რომლებიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას კურირებენ, უნდა გააქტიურდნენ დნესტრისპირეთსა და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების კუთხით. იქვე წერია, რომ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, მათ შორის, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს.

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სოფელ ერისიმედში, სადაც 2010 წელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ მოკლა საქართველოს მოქალაქე, თექვსმეტი წლის ბიჭი, რომელმაც ისე, რომ არც კი იცოდა, საზღვარი გადაკვეთა და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ასევე ხშირია უკანონო დაპატიმრების, ცემის ფაქტები. ყველაფერ ამასთან ერთად ეს ადამიანები განიცდიან სერიოზულ ფინანსურ ზარალსაც; მაგალითად, ამას წინათ საზღვართან ახლოს მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის ცხრა სული საქონელი გავიდა მდინარის გაღმა და ამ ოჯახმა, ბუნებრივია, ეს საქონელი დაკარგა.**

# წყალწაღებული ქვეყანა

## ალაზნის კალაპოტის შეცვლის შედეგად 290 ჰექტარი ქართული მიწა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა

**მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობის ბელადმა" საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა სამარადისოდ დაარღვია და 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებლობის შარბათს აზიარა, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების პროცესი შეუქცევადი გახდა. საქმე ისაა, რომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო ზოლი, რომელიც მდინარე ალაზანზე გადის, ბუნებრივი პროცესების გამო, დღითიდღე იცვლება და ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელი ქვეყნის იურისდიქციაში გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას, ხელისუფლება პრობლემაზე სამარისებურად დუმს და ოფიციალურ განცხადებებს არ აკეთებს, აზერბაიჯანთან საზღვრის დელიმიტაცია — დემარკაციაზე მომუშავე კომისია კი, რომელიც, უკვე თორმეტი წელია, რაც არსებობს, აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და თავის საქმიანობას თითქმის საიდუმლოდ აწარმოებს.**
**რა ხდება დღეს რეალურად აზერბაიჯანის საზღვართან, რა ტერიტორიები აქვს ამ ეტაპზე საქართველოს დაკარგული და რამდენად შესაძლებელია, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდეს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის პროექტების კოორდინატორი, საზღვრის ტრანსფორმაციის შესახებ დასკვნის ავტორი რეზო გეთიაშვილი ესაუბრება.**



რეზო გეთიაშვილი:

## ჩვენი ტერიტორიები წყალს მიაქვს

**— ბატონო რეზო, დიდი ხანია, რაც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო ზოლის დადგენასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები არსებობს, რომ ამ პრობლემების გამო საქართველო ტერიტორიებს კარგავს. რა ხდება სინამდვილეში, რაზე ვერ ვუთანხმდებით მეზობელ სახელმწიფოს?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აქ საქმე ქვეყნებს შორის შეთანხმება-შეუთანხმებლობას არ ეხება, პრობლემა ისაა, რომ მდინარე ალაზანი, რომელზეც გადის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი, ხშირად იცვლის კალაპოტს, რასაც ჩვენთვის არცთუ სახარბიელო შედეგები მოაქვს. მხედველობაში მაქვს ის, რომ კალაპოტის შეცვლის შედეგად სასაზღვრო ზოლი ტრანსფორმირდება, რის გამოც საქართველოს მიწები აზერბაიჯანის იურისდიქციაში ექცევა. ეს ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებს ჩვენ უკვე ვეღარ ვაკონტროლებთ და, შესაბამისად, დღეს ის ჩვენთვის რეალურად დაკარგულია...

**— ამ ეტაპზე რა მდგომარეობა გვაქვს, ჩვენი ტერიტორიების რა ნაწილია აზერბაიჯანის იურისდიქციაში მოქცეული?**

— ჩვენი გამოთვლებით, **მდინარე ალაზნის სასაზღვრო ზოლზე ტერიტორიული ცვლილების სამოცდაათამდე შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან ორმოცზე მეტ შემთხვევაში საზღვარი გადმოწეულია ჩვენს მხარეს და, ჯამში, ტერიტორიული დანაკარგი დაახლოებით ორას ოთხმოცდაათ ჰექტარს შეადგენს,** ანუ ლაპარაკია საკმაოდ დიდ ფართობზე. რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება, მდინარის კალაპოტი მუდმივად იცვლება და ეს ნიშნავს, რომ საქართველო დღითიდღე გარკვეულ ტერიტორიებს კარგავს...

**— თქვენი აზრით, მომავალში კიდევ რა ტერიტორიები შეიძლება დაკარგოს საქართველომ?**

— ამის ასე ზეპირად გამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ზოგადად ალაზნის ტენდენცია და მისი ჰიდროგეოლოგიური რეჟიმი ისეთია, რომ მდინარე მუდმივად იჩენს კლაკნილებს, სამეცნიერო ენაზე რომ ვთქვათ, მეანდრებს, რომლის ყელიც დროთა განმავლობაში ირეცხება, ვიწროვდება და საბოლოოდ ეს მეანდრები, ანუ გარკვეული მიწის ფართობი, აღმოჩნდება ხოლმე მდინარის შუაგულში ან სულაც გაღმა. ზუსტად ასე მოხდა 70-იან წლებში ერისიმედის შემთხვევაში, როცა შეიქმნა საფრთხე, რომ სოფლის დიდი ნაწილი მოწყვეტოდა საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ მაშინ პრობლემა იმით მოგვარდა, რომ ხიდი გაიდო. დღეს ანალოგიური საფრთხის ქვეშაა რამდენიმე მეანდრა, მათ შორის კაკლისყურეც, რომლის ფართობიც ორას ჰექტარს შეადგენს და რომელიც არის ბუნების ძეგლი, მაგრამ რატომღაც არავინ ამაზე ხმას არ იღებს. პირიქით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც ევალებათ, მოაგვარონ სადემარკაციო ზოლთან დაკავშირებული პრობლემები მეზობელ სახელმწიფოსთან, ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავენ და არ გვაწვდიან ინფორმაციას, თუ რა კეთდება ან იგეგმება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

**— საზღვრის დემარკაციაზე მომუშავე სახელმწიფო კომისიაზე რა აზრის ხართ? რამდენად ეფექტიანია მისი მოქმედება?**

— ეს კომისია თორმეტი წლის წინათ შეიქმნა და მთელი ამ ხნის განმავლობაში იმდენად გაუმჭირვალედ, გასაიდუმლოებულად საქმიანობდა, რომ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის დღეს ნამდვილად უცნობია, რას მიაღწია მან დღემდე და რა ნაბიჯებს უნდა ველოდეთ მისგან მომავალში. ერთი რამ კი ფაქტია: საქართველო-აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო ზოლის 35%-ზე შეთანხმება დღემდე არ შემდგარა და ეს ქმნის უამრავ გაუგებრობას. არაფერს ვამბობ იმ პრობლემებსა და საფრთხეებზე, რომლებიც ამ გაუგებრობის გამო ექმნება საზღვართან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას...

**— რა საფრთხეებს გულისხმობთ?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადგილობრივებმა არ იციან, რეალურად სად გადის ორ ქვეყანას შორის საზღვარი, ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა საქართველოს მოქალაქე, უცებ, აღმოჩნდება ხოლმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რასაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის დაკავება მოჰყვება. ამ მხრივ **განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სოფელ ერისიმედში, სადაც 2010 წელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ მოკლა საქართველოს მოქალაქე, თექვსმეტი წლის ბიჭი, რომელმაც ისე, რომ არც კი იცოდა, საზღვარი გადაკვეთა და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ასევე ხშირია უკანონო დაპატიმრების, ცემის ფაქტები. ყველაფერ ამასთან ერთად ეს ადამიანები განიცდიან სერიოზულ ფინანსურ ზარალსაც; მაგალითად, ამას წინათ საზღვართან ახლოს მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის ცხრა სული საქონელი გავიდა მდინარის გაღმა და ამ ოჯახმა, ბუნებრივია, ეს საქონელი დაკარგა.** სად არ იყვნენ, ვის არ მიმართეს, მაგრამ ვერავინ მათი დახმარება ვერ შეძლო... მოკლედ, როგორც გითხარით, ასეთი ფაქტები იქ თითქმის ყოველდღე ხდება, ჩვენს სასაზღვრო პოლიციას კი აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთან არ აქვს ისეთი ურთიერთობა, რომ ერთობლივად მოაგვარონ საზღვართან დაკავშირებული პრობლემები...

**— თქვენ თქვით, რომ საზღვრის დემარკაციაზე მომუშავე სახელმწიფო კომისია თავის საქმიანობას ასაიდუმლოებს. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს გასაიდუმლოება და, თქვენი აზრით, რას უმალავენ ისინი საზოგადოებას?**

— თავის დროზე, როცა ჩვენ დავიწყეთ მუშაობა იმაზე, თუ რა ტერიტორიული დანაკარგები ჰქონდა საქართველოს მდინარე ალაზნის გადმოწევის შედეგად, მივმართეთ ყველა შესაბამის უწყებას, უპირველესად კი — საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც კურირებს საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებს და მოვითხოვეთ რუკები. ეს რუკები აქვს სახელმწიფოს და, წესით, იგი ჩვენთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვითხრეს, რომ ვერ გადმოგვცემდნენ, ვინაიდან ეს რუკები გასაიდუმლოებულიაო. რატომ და რა მიზნითაა გასაიდუმლოებული, ჩვენთვის არ აუხსნიათ; ამის შემდეგ რამდენიმეჯერ მივმართეთ საზღვრის სადემარკაციო კომისიას თხოვნით, რომ გაეცნო ჩვენთვის, თუ რა ეტაპზეა ამჟამად მოლაპარაკებები აზერბაიჯანულ მხარესთან, რა კეთდება იმისთვის, რომ საზღვარმა კიდევ არ გადმოიწიოს ჩვენსკენ და არ დავკარგოთ ტერიტორიები, მაგრამ არანაირი პასუხი მათი მხრიდან არ მიგვიღია. მოკლედ, ყველანაირად ცდილობენ, კვლევის პროცესში ხელი შეგვიშალონ, მოსახლეობა კი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს კომისია თავის საქმიანობას ასაიდუმლოებს. **მეტიც, ყველა პრობლემა, რომელიც დღეს საზღვართან მცხოვრებ ადამიანებს ექმნებათ და ის მკვლელობა, რომელიც 2010 წლის აპრილში მოხდა სოფელ ერისიმედში, ამ კომისიის კისერზეა, ვინაიდან რომ არა ის გაუმჭვირვალობა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელსაც ეს კომისია შექმნის დღიდან იჩენდა საქმისადმი, მოსახლეობას ეცოდინებოდა, სად გადის ორ ქვეყანას შორის საზღვარი და, შესაბამისად, ამდენ გაუგებრობასა და პრობლემასაც ადგილი არ ექნებოდა...**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, რისი გაკეთება შეუძლია ქართულ მხარეს, რომ საზღვარი ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს?**

— არსებობს საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ, რომლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია სახელმწიფო საზღვრის დადგენის წესი. იქ პირდაპირ წერია, რომ, თუ საზღვარი გადის მდინარეზე, ტბაზე და ა.შ. და ეს მდინარე ან ტბა იცვლის კალაპოტს, საზღვარი რჩება ადგილზე. მორჩა და გათავდა, ეს არის კანონი, მაგრამ გამოდის, რომ დღეს საქართველოში კანონი არავის აინტერესებს. სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან, რომლის მეგობრადაც მოგვაქვს თავი, XXI საუკუნეში საზღვარი მდინარეზე გაგვიდის, ზოგან კიდევ ეს საზღვარი საერთოდ არ გვაქვს დადგენილი და სრულ გაურკვევლობაში ვართ...

**— თავის მხრივ, აზერბაიჯანული მხარე რას აკეთებს საზღვრების დასადგენად? ისინიც ჩვენსავით სრულ უინტერესობას იჩენენ ამ საკითხისადმი თუ საქმეს სერიოზულად უდგებიან?**

— ჩვენგან განსხვავებით, აზერბაიჯანის ხელისუფლება თავის ტერიტორიებს მტკიცედ იცავს — ატარებენ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, აგებენ ჯებირებს... მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ, რომ პრობლემები არ შეექმნათ. შედეგიც სახეზეა — **აზერბაიჯანს ერთი მტკაველი მიწაც არ დაუკარგავს, ჩვენი ტერიტორიები კი წყალს მიაქვს. სამწუხაროა, მაგრამ ეს არის ის მდგომარეობა, რომელიც დღეს რეალურად გვაქვს აზერბაიჯანის საზღვართან, ამიტომ, დავხუჭავთ თვალს თუ არა ამ პრობლემებზე, ამით არაფერი შეიცვლება; პირიქით, ხვალ და ზეგ შეიძლება და დარწმუნებულიც ვარ, ძალიან ძვირი დაუჯდება საქართველოს იმ ტერიტორიების დაბრუნება, რომელთაც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენივე გულგრილობის გამო კარგავს ქვეყანა და რაზეც რატომღაც ხმას არ იღებს არავინ, უპირველესად კი — ხელისუფლება...**

**— თვითონ საზღვრისპირა მოსახლეობა რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით?**

— მოსახლეობა, ბუნებრივია, შეშფოთებულია, ვინაიდან დღემდე არავინ მათთან არ ჩასულა და ელემენტარული კონსულტაციაც კი არ ჩაუტარებია იმასთან დაკავშირებით, თუ სად და რომელ ტერიტორიაზეა უსაფრთხო გადაადგილება და სად — საფრთხისშემცველი. არაფერს ვამბობ ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებაზე, რაც, წესით, რა თქმა უნდა, ასევე უნდა იყოს ამ ტერიტორიებზე.

ერთი სიტყვით, ამ რეგიონის მიმართ ხელისუფლების სრულ უინტერესობას ეწირება როგორც ქვეყნის ტერიტორიები, ისე მოსახლეობის ინტერესებიც; და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს ყველაფერი საფრთხეში აგდებს ადამიანების სიცოცხლეს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ პრობლემები მეზობელ სახელმწიფოსთან მომავალში აუცილებლად მოიტანს თავის უმძიმეს შედეგებს.

**ესაუბრა**
**ჯაბა ჟვანია**

ანაკლიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე იყო ის, რომ პირს, რომელსაც დარეგისტრირებული ჰქონდა 40 ჰექტარი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში, ეწერა, რომ ამ მიწის ნაკვეთის საზღვრები იყო დაზუსტებული. ყველა პროცედურა, რაც კანონით იყო განსაზღვრული იმისთვის, რომ პირი გამხდარიყო რეალური მესაკუთრე, მას ჰქონდა... მაგრამ მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტროს დაურეგისტრირებია თავის სახელზე და შემდეგ მიუყიდია სხვა პირისთვის.

გაქურდაქება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ეკონომიკის სამინისტრომ ანაკლიის მკვიდრს 40 ჰექტარი მიწა წაართვა

**საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტების შესწავლა და მოსახლეობის უფლებების დაცვაზე მუშაობა ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიწყო. აჭარის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მწვავე ანგარიში უკვე მოამზადეს. აჭარაში ადგილობრივ მოსახლეობას საკუთრებას იმის გამო ართმევენ, რომ მათი მიწები „შეიხების“ ტერიტორიის მიმდებარეა. კონკრეტულ ფაქტებზე — თუ რა დარღვევები გამოვლინდა საკუთრების უფლების დაცვის კუთხით საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, როგორ აღმოაჩინა ანაკლიის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომ ეკონომიკის სამინისტრომ მას 40 ჰექტარი მიწის ნაკვეთი წაართვა — გვესაუბრება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი კახა კოჟორიძე.**



## 276 მოქალაქეს წინასაარჩევნოდ დაკანონებული მიწის ნაკვეთები «შეიხის ტერიტორიის» სასარგებლოდ, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, ჩამოართვეს

— ჩვენ წარმოვადგინეთ ანგარიში გონიოში საკუთრების უფლების დარღვევებზე, როცა საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 276 მოქალაქეს, სოფელ გონიოს მცხოვრებთ, გაუუქმა საკუთრების მოწმობები, რომელთა დიდი ნაწილი 2007-2008 წლებში სწორედ ამ კომისიის მიერ იყო გაცემული. **ქონება ისე ჩამოართვეს, რომ საუბარი საერთოდ არ ყოფილა ზარალის ანაზღაურებაზე ან რაიმე სახის კომპენსაციაზე. ასევე არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იყო აუცილებელი და გარდაუვალი ამ მოქალაქეებისთვის საკუთრების ჩამორთმევა.**

საგულისხმოა, რომ ამ ტერიტორიაზე საკუთრების მოწმობები, ძირითადად, წინასაარჩევნო პერიოდში გაიცა. საინტერესოა, მაშინ, როდესაც კომისია გასცემდა ამ მოწმობებს, ეს გარემოება რატომ არ გაითვალისწინეს ან, თუ მაშინ ასეთი მნიშვნელოვანი მიწები გასხვისდა, ამაზე რატომ არავინ რეაგირებს? პროკურატურას ვგულისხმობ. როგორც მინიმუმ, გამოძიება უნდა დაიწყოს, როცა ასეთ მნიშვნელოვან სამართალდარღვევებზეა საუბარი.

ჩვენ, ასევე, გახლდით მესტიაში, სადაც სერიოზული პრობლემებია საკუთრების უფლების დარღვევის კუთხით. არანაკლებ რთული სიტუაციაა ანაკლიაშიც.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მიწების ჩამორთმევისთვის ხელისუფლებამ იმით, რომ თითქოს ეს მნიშვნელოვანი ტერიტორია იყო, ალიბი შეიქმნა?**

— დიახ, საკუთრების უფლების მოწმობების გაუქმების გადაწყვეტილების საბაბი იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის წერილი, რომელიც ამ კომისიას 2010 წლის 8 ნოემბერს გაეგზავნა. წერილში ნათქვამი იყო, რომ, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის ცნობილია, 2007 წლიდან მიმდინარეობს იმ მიწის ნაკვეთების გასხვისება, რომლებიც გონიოს არქეოლოგიური დაცვის ზონაშია და, რომ არ მოხდეს მნიშვნელოვანი ინტერესების შელახვა, იქნებ, შეისწავლოთ, რამდენად კანონიერად გაეცით მაშინ მიწები და გადაიხედოს მათი კანონიერების საკითხიო. კომისიამაც „შეისწავლა“ (ხაზს ვუსვამ), მაგრამ რეალურად არაფერი შეუსწავლიათ. ამდენ ადამიანს ხელის ერთი მოსმით გაუუქმეს საკუთრების უფლება.

**— სხვა რეგიონებს რაც შეეხება, მესტიაში, სიღნაღსა და ანაკლიაშიც მოხდა ასეთი ფაქტები. იქ რა მოტივით ართმევენ ხალხს საკუთრებას?**

— მესტიაში მოქალაქეებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით უქმნიან პრობლემებს. ხდება ისეც, რომ მოქალაქის მიერ უკვე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ეკონომიკის განვითარების სამინისტრო არეგისტრირებს საკუთრების უფლებას. მოქალაქეები რომ წარადგენენ ელექტრონულ ნახაზს, გაუგებარი მოტივებით, ადგილობრივი სარეგისტრაციო სამსახური უარს ეუბნება რეგისტრაციაზე. ხშირ შემთხვევაში განცხადებას საერთოდ არ იბარებენ, არც მოთხოვნას იბარებს ადგილობრივი სარეგისტრაციო სამსახური. უამრავ ადამიანს ეუბნებიან უარს უაზრო მოტივით: რომ წყალგალმა ტერიტორიაზე ნახაზის გაკეთება არის შეუძლებელი (ელექტრონულ ნახაზს გულისხმობენ) და ამიტომ არ არეგისტრირებენ, მაშინ, როდესაც იმავე ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უკვე დარეგისტრირებული აქვს სხვისი ნაკვეთი. მეტიც, **მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის ერთმა თანამშრომელმა თვითონ დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სახელმწიფოსგან სოლიდური კომპენსაციაც მიიღო მერე, როცა უკვე დარეგისტრირებული ნაკვეთი დაუთმო სახელმწიფოს აეროპორტის მშენებლობის დროს.**

ცალსახაა, რომ არათანასწორი დამოკიდებულებაა ადამიანებთან დაკავშირებით. ვინც რომელიმე უწყებაში მუშაობს, მას უპირატესობას ანიჭებენ, სხვებს კი დაუსაბუთებლად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, უარს ეუბნებიან. ბევრი შემთხვევაა, როცა რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრის ადგილობრივი სამსახური უარს ეუბნება მოქალაქეს და კონკრეტულ მოტივს კი არ უთითებს, ამბობს, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევის გამო არ გიკანონებთ მიწის ნაკვეთსო. რა არის ეს „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევა“, რას გულისხმობს, ამას არავინ განმარტავს. პრობლემაა ისიც, რომ **არსებობს საკუთრების აღიარების კომისია, რომელიც არ განიხილავს იმ საქმეებს, რაც კანონით ევალება და, ფაქტობრივად, უფუნქციოდ არის.**

ანაკლიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე იყო ის, რომ პირს, რომელსაც დარეგისტრირებული ჰქონდა 40 ჰექტარი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში, ეწერა, რომ ამ მიწის ნაკვეთის საზღვრები იყო დაზუსტებული. ყველა პროცედურა, რაც კანონით იყო განსაზღვრული იმისთვის, რომ პირი გამხდარიყო რეალური მესაკუთრე, მას ჰქონდა და, შესაბამისად, არანაირი პრობლემა არ უნდა შექმნოდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. მაგრამ ერთ დღესაც აღმოაჩინა, რომ მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტროს დაურეგისტრირებია თავის სახელზე და შემდეგ მიუყიდია სხვა პირისთვის. ჩვენი ორგანიზაცია ეხმარებოდა ამ ადამიანს სასამართლოში, თავისი უფლებები რომ დაეცვა. პირველმა ორმა ინსტანციამ, სამწუხაროდ, გაუგებარი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები გამოიტანა. უზენაესმა სასამართლომ კი დაუშვებლად ცნო ჩვენი საჩივარი, რაც იმას ნიშნავს, რომ არც კი განიხილა საქმე. ალბათ, ჩვენ ამ ადამიანს დავეხმარებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში სარჩელის შეტანაში.

**— ამ ფაქტების გათვალისწინებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამინისტრო ინვესტორების სასარგებლოდ ართმევს მოსახლეობას სახელმწიფო ქონებას?**

— ვის სასარგებლოდ ართმევს, ალბათ, ნაკლებად საინტერესოა. მთავარი და მტკივნეული საკითხია ის, რომ ამ ადამიანების ინტერესების აბსოლუტური უგულებელყოფით ხდება ეს. **თუ რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება და რაღაც კარგი ხდება, ამით უნდა ისარგებლოს მოსახლეობამ და პირველი სარგებელი, სიკეთე და შემოსავალი სწორედ ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს. მაგრამ აქ არათუ სარგებელზეა საუბარი, არამედ პირიქით, — ამ ხალხს მდგომარეობა უუარესდება.** გონიოსთან დაკავშირებით თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, ერთ მაგალითს გეტყვით: საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ ეს მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტიულ ზოლს, მდებარეობს შეიხების ტერიტორიის მოსაზღვრედ (რაღაც ამგვარი გაუგებარი ფრაზაა — რომელიმე შეიხმა იყიდა ის ტერიტორია თუ რასთან გვაქვს საქმე, გაუგებარია). ამას ჭორის დონეზე ნათქვამს კი არ ვამბობ, გეუბნებით, რაც წერია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებაში. ჯერ, რას ნიშნავს ინფრასტრუქტურის ზოლი, გაუგებარია; ეს ხომ ადმინისტრაციული აქტით უნდა იყოს მინიჭებული. ზეპირად ხომ არ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი ზოლია. აქ ასეთი აქტი არ არსებობს და მითუმეტეს გაუგებარია, რას ნიშნავს „შეიხების ტერიტორია“.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## გაჟღერებული



**ალექსანდრე ხეთაგური, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი:**

იმის მიუხედავად, რომ რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური თვალსაზრისით დაძაბული მდგომარეობაა და ამ ქვეყანას საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, ეკონომიკური კუთხით ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის ჯანსაღი ურთიერთობები არსებობს.

*„პირველი“*



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტის წევრი:**

სახალხო დამცველმა რამდენიმე ისეთი განცხადება გააკეთა, რაც სხვა შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნებოდა ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის დასაყენებლად. მან სიტყვასიტყვით გაიმეორა ჩემი ნათქვამი, რომ რეზინის ტყვიების გამოყენება კანონით დაუშვებელია. ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს თუნდაც იმიტომ, რომ მან დახარჯა ფული უკანონო იარაღის შეძენაზე.

*„ყველა სიახლე“*



**გიორგი შენგელაია, რეჟისორი:**

გიორგი არველაძემ, რომლის რეპუტაცია საყოველთაოდ ცნობილია, მაშინ, როცა ეკონომიკის მინისტრი იყო, კინოსტუდია ხელში ჩაუგდო გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანებს, რომლებმაც მთელი კინოსტუდია გაძარცვეს... ის ფული, რაც კინოსტუდიიდან მოიპარეს, ეკონომიკის სამინისტროშიც წავიდა და ზედა ეშელონებშიც.

*„ყველა სიახლე“*



**დავით ბაქრაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:**

9 აპრილი არის ეროვნული გამოღვიძების დღე, როდესაც რეალურად დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. ყოველი ადამიანის ვალია, რომ ყოველ წელს გაიხსენოს 9 აპრილს დაღუპული გმირები და გაიაზროს ის პასუხისმგებლობა, რაც ყველა ადამიანს სახელმწიფოს წინაშე აკისრია.

*„ექსპრესნიუსი“*

## ერდოღანმა მშვიდობა დაგეგმა

**თურქეთის პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო თანამეგობრობას ლიბიაში მშვიდობის დამყარების გეგმა წარუდგინა.** რეჯეპ ტაეპ ერდოღანი მუამარ კადაფის მხარდამჭერი ძალების მიერ ალყაში მყოფი ქალაქებიდან ჯარების გამოყვანას, ჰუმანიტარული კორიდორების შექმნასა და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას ითხოვს. ამ წინადადებებს ყატარში მომავალ კვირაში ლიბიის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი საკონტაქტო ჯგუფი განიხილავს. ჯგუფში შედის ევროკავშირის ქვეყნები, აშშ და ახლო აღმოსავლეთში მათი მოკავშირეები, ასევე, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია.



## ევროპელი ლიდერების ხელფასები

**დიდ ბრიტანეთში ჩინოვნიკების ხელფასებთან დაკავშირებით სკანდალი აგორდა.** აღმოჩნდა, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონზე მაღალი ხელფასი მერიის 100-მდე თანამშრომელს აქვს. დევიდ კემერონის შემოსავალი თვეში 13.6 ათასი ევროა, ბავშვთა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის, პიტერ ლუისის კი — 27 ათასი. ყველაზე მდიდარი ევროპელი ლიდერი სილვიო ბერლუსკონია, ხოლო ყველაზე დაბალანაზღაურებადი — უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი.

პერსპექტივა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**საერთოდ, „განათლებული ავტორიტარიზმი“, ალბათ, იგივეა, რაც „ლამაზი სიკვდილი“. მაღალფარდოვანი სიტყვების მიუხედავად, ავტორიტარიზმი ავტორიტარიზმად რჩება, ხოლო სიკვდილი — სიკვდილად. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა მოტივები ამოძრავებს სააკაშვილს. ფაქტი ისაა, რომ ის ეძებს „სინგაპურის სასწაულის საიდუმლოს“, როგორც ბურატინო — ოქროს გასაღებს და, სავარაუდოდ, ძალიან მალე გაიგებს, თუ რა ღერძის გარშემო ტრიალებს მთელი ეს ისტორია. მეტიც, გამორიცხული არაა, ამ გამოცდილების გადმოტანა საქართველოში სცადოს.**

# ბურების შემდეგ გურკჰები გვესტუმრებიან?

**ის, რომ მიხეილ სააკაშვილის მშფოთვარე წარმოსახვაში სინგაპურმა მყარი და არაპროპორციულად დიდი ადგილი დაიმკვიდრა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ მის გამუდმებულ, თუმცაღა უილბლო, მცდელობაში — საქართველო სინგაპურს დაამსგავსოს, საინტერესო შემდგომი ნაბიჯის გამოცნობა იქნება.**



ინგლისური ენის ფორსირებულ გავრცელებას, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ამდენ ძალისხმევას ახმარს, ადგილი სინგაპურში გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჰქონდა. ინგლისური ყველა სკოლაში სავალდებულო გახდა, შემდეგ კი უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ ინგლისურ ენაზე გახდა შესაძლებელი. **„სინგაპური, თავისი არსით, ვაჭართა საერთაშორისო თანამეგობრობა იყო და ვერ გადარჩებოდა, თუ მისი მცხოვრებლები მალაიურ, ჩინურ ან ტამილურ ენებს გამოიყენებდნენ. ინგლისური ენის გამოყენება კი არც ერთი ეროვნების წარმომადგენლებს უპირატესობას არ მიანიჭებდა“,** — წერს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, სახელოვანი რეფორმატორი ლი კუან იუ, რომელმაც, სხვათა შორის, აგვისტოს ომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს შემდეგი დახასიათება მისცა: **„საქართველოში თქვენ საქმე გაქვთ უკიდურესად ავანტიურისტულ ლიდერთან, რომელიც ძალზე არაგონივრულად მოიქცა. ეს ენითაუწერელი სისულელე იყო. რა აზრი ჰქონდა ამას? რის მიღწევა სურდა?“**

საქართველო, ცხადია, არ არის „ვაჭართა საერთაშორისო თანამეგობრობა“ და ასევე (იმედია) არასოდეს იქცევა. სახელმწიფო ენის არჩევის პრობლემა, ეთნიკური ჯგუფების გავლენის დაბალანსების აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ასე არ დგას. თუმცა ლი კუან იუს აზრმა, რომ ინგლისურმა ენამ „სინგაპურის კონკურენტუნარიანობა აამაღლა“ და ინვესტორების მოზიდვას ხელი შეუწყო, როგორც ჩანს, ისე იმოქმედა მიხეილ სააკაშვილზე, რომ ცდილობს, სინგაპურის მმართველის ყველა ნაბიჯი გაიმეოროს, იქნება ეს ტელევიზიით ინგლისურენოვანი ფილმების გაშვება თუ აბიტურიენტებისგან ინგლისური ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნა; მაგრამ მას, როგორც ჩანს, ლი კუან იუს მემუარებში ერთი მოკლე ფრაზა გამორჩა: **„თუ მთავრობა გამოაცხადებდა, რომ სინგაპურის ყველა მცხოვრებმა ინგლისური ენა უნდა ისწავლოს, ეს კატასტროფით დასრულდებოდა“. სინგაპურის წინდახედული პრემიერი ამ მიმართულებით ოციოდე წლის განმავლობაში წინ ფრთხილად მიდიოდა და „უკიდურესად ავანტიურისტული ლიდერივით“ (გვარს არ დავასახელებთ) ორ წელიწადში ყველაფრის შეცვლა ნამდვილად არ უცდია.**

რა იქნება სააკაშვილის მორიგი ნაბიჯი? სინგაპურის ეკონომიკური სასწაულის გამეორების არანაირი შანსი არ ჩანს (სასტარტო პირობები დიამეტრალურად განსხვავებულია), თუმცა სააკაშვილი ჯიუტად განაგრძობს იმ საიდუმლოს ძებნას, რომელმაც სინგაპური ეკონომიკურ გიგანტად აქცია. შესაძლოა, ვინმე გულწრფელად თვლის, რომ მას საქართველოს აყვავება სურს, მაგრამ ბევრი მიიჩნევს, რომ აზიური გამოცდილების აპელირებით ის მხოლოდ და მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმის არსებობის გამართლებას ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურულ „განათლებულ ავტორიტარიზმამდე“, თუნდაც განათლებულობის მწვავე დეფიციტის გამო, მის ხელისუფლებას ძალიან გრძელი გზა აქვს გასავლელი. საერთოდ, „განათლებული ავტორიტარიზმი“, ალბათ, იგივეა, რაც „ლამაზი სიკვდილი“. **მაღალფარდოვანი სიტყვების მიუხედავად, ავტორიტარიზმი ავტორიტარიზმად რჩება, ხოლო სიკვდილი — სიკვდილად. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა მოტივები ამოძრავებს სააკაშვილს. ფაქტი ისაა, რომ ის ეძებს „სინგაპურის სასწაულის საიდუმლოს“, როგორც ბურატინო — ოქროს გასაღებს და, სავარაუდოდ, ძალიან მალე გაიგებს, თუ რა ღერძის გარშემო ტრიალებს მთელი ეს ისტორია. მეტიც, გამორიცხული არაა, ამ გამოცდილების გადმოტანა საქართველოში სცადოს.**

სიმართლე სინგაპურის შესახებ ძალიან მწარეა. მასზე არაფერს წერს ლი კუან იუ და მისი რეფორმებით აღტაცებული ავტორები. ალბათ, იმიტომ, რომ ეს სიმართლე ფრიად სამარცხვინოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სიმართლეა.

**მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ბრიტანეთის იმპერიის დაშლის წინ ლონდონმა „გურკჰების კონტინგენტი“ შექმნა.** ნეპალში მცხოვრები გურკჰები კარგი მეომრები არიან. ამასთან, იმის გამო, რომ ნეპალის მოსახლეობის 60% დღეში ერთ, 25% კი 2 ფუნტ სტერლინგზე ცხოვრობს, ხოლო „გურკჰების კონტინგენტში“ ხელფასი თვეში 1000 ფუნტია (15-წლიანი სამსახურის შემდეგ ინიშნება პენსია 450 ფუნტის ოდენობით), ახალგაზრდა გურკჰები ბრიტანელების სამსახურში არნახული ენთუზიაზმით შედიან. ბრიტანელები მათ იქვე, ნეპალში მდებარე პოკჰარას ბანაკში, წვრთნიან.

**1949 წელს ლონდონმა ეს ქვედანაყოფები კოლონიებში გააგზავნა, მათ შორის 142 გურკჰი — სინგაპურში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სინგაპურმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რეფორმები ჩაატარა და ა.შ. მაგრამ გურკჰების კონტინგენტი არსად წასულა. მეტიც, ის 2000 კაცამდე გაიზარდა; მას ბრიტანელი ოფიცერი (ამჟამად როს ფორმანი) ხელმძღვანელობს.**

ფორმალურად, ისინი სინგაპურის ძალოვანი უწყებების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ, თუმცა, ფაქტობრივად, მათზე მაღლა დგანან. 60-იან წლებში გურკჰები სასტიკად გაუსწორდნენ სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების აქტივისტებს, 70-80-იან წლებში კი — პროფკავშირების წარმომადგენლებს, რომლებმაც გაბედეს და რატომღაც საკუთარი უფლებების დაცვა მოითხოვეს.

**გურკჰების რეკრუტირებას, გაწვრთნასა და სინგაპურში განთავსებას ნეპალის, დიდი ბრიტანეთისა და სინგაპურის მთავრობებს შორის არანაირი ფორმალური შეთანხმება არ არეგულირებს, მიუხედავად ამისა, ისინი იქ იმყოფებიან და თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ.**

გურკჰები ადგილობრივებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ და მათთან ზედმეტი კონტაქტი ეკრძალებათ. ისინი იცავენ ადგილობრივ სამინისტროებს, ცენტრალურ ბანკს, აეროპორტს, ნავთობგადამამუშავებელ კომპლექსს და, რაღა თქმა უნდა, ციხეს, სადაც პოლიტპატიმრები იმყოფებიან. **ამასთანავე, გურკჰები უზრუნველყოფენ წესრიგს არჩევნების დროს, რომელსაც მუდამ მმართველი პარტია იგებს.**

დასაცავი ობიექტი, როგორც ჩანს, იმდენია, რომ სინგაპურის ხელისუფლება გურკჰების კონტინგენტის 2200 კაცამდე გაზრდას ითხოვს. ისინი, აგრეთვე, ადგილობრივ მაღალჩინოსნებს იცავენ, მაგალითად, ლი კუან იუს 24 გურკჰი იცავდა, მის შვილ ლის კი — 11.

**საინტერესო სიტუაციაა, როდესაც მცველისთვის მთავარი არა დაცვის ობიექტის, არამედ მისი ხელმძღვანელის, კონკრეტულ შემთხვევაში, ბრიტანელი ოფიცრის სიტყვაა; დაცვის ობიექტი ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, მძევალს ემსგავსება.**

ერთი შეხედვით, სინგაპური დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა იმპერიის უხილავი ხელი მას კვლავინდებურად აკონტროლებს. ლონდონში რომ იტყვიან, **„ნუთუ ვინმეს მართლა ეგონა, ჯენტლმენებო, რომ ამხელა ფულის დატრიალებას ვინმე აბორიგენებს მიანდობდა? რა თქმა უნდა, ისინი ხალისიანნი და შრომისმოყვარენი არიან, მაგრამ გვირგვინის ინტერესები მოითხოვს...“** სხვათა შორის, კონტროლსა და გარანტიებს არა მხოლოდ გვირგვინის, არამედ იმ ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები მოითხოვს, რომლებიც სინგაპურში მუშაობს, მათ კი „ტუზემცების“ თვითშემოქმედებაზე ცოტა უფრო წონადი გარანტიები სჭირდებათ.

**ალბათ, სწორედ ეს არის სინგაპურის მთავარი საიდუმლო: უცხოელი მეომრების გამოყენება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და ფარდობითი, უაღესად საეჭვო დამოუკიდებლობა.**

სინგაპურელებმა თავიანთი საქმის უკეთ იციან, საქართველო კი ამ გზით, ცხადია, ვერ ივლის.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ შსს-მ და „საქართველოს ბანკმა“ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რომელიც სამინისტროს თანამშრომლებისთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობას ითვალისწინებს. ბანკი პოლიციელებს ათი წლის ვადით 10%-იან კრედიტს გამოუყოფს. საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას არ ითვალისწინებს; **ამ კრედიტის აღების შემთხვევაში, პოლიციელები უფრო მეტად დამოკიდებულნი გახდებიან თავიანთ ხელმძღვანელებზე. ზოგმა შეიძლება ამის მიღმა გრძელვადიანი გეგმაც დაინახოს: პოლიციელების შეძლებისდაგვარი მოწყვეტა ძველი საზოგადოებრივი გარემოსგან და მათ შორის სოციალური კავშირების გამყარება** (ერთ კორპუსებში და მიკრორაიონებში ჩასახლება), **ერთგვარი „პოლიციური სამყაროს“ შექმნა, თუმცა ეს უკვე კონსპიროლოგიაა.**

თეორიულად, ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება კონკრეტულ სეგმენტში ხელისუფლების პოზიციები გაამყაროს, მაგრამ ეს მიხეილ სააკაშვილს მის წინაშე არსებულ პრობლემებს ნამდვილად ვერ გადაუჭრის. რაც უფრო გაძლიერდება და შეკრული გახდება ესა თუ ის ძალოვანი უწყება, მით უფრო დამოკიდებული გახდება ხელისუფლების მეთაური მასზე და რაღაც მომენტში შეიძლება ძალოვანთა ჯგუფის მძევლად, მანიპულირების ობიექტადაც იქცეს. ამასთანავე, ადგილობრივი ძალოვანები, როგორც არ უნდა შეეცადონ, საზოგადოებას მოწყვიტონ, მასთან კავშირს ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებენ და გარკვეულ სიტუაციაში მის წინააღმდეგ წასვლაზე შეიძლება უარიც თქვან. **ავტორიტარული მმართველისთვის გაცილებით მოსახერხებელია, როდესაც განკარგულებაში „გურკჰების კონტინგენტის“ მსგავსი ძალა ჰყავს,** რომელიც ადგილობრივი საზოგადოებისა და ელიტის წინაშე ყოველგვარი ვალდებულებებისგან და პოლიტიკური ამბიციებისგან თავისუფალია და, მარტივად რომ ვთქვათ, შეუძლია, ნებისმიერს გადაუაროს.

გამორიცხული არაა, რომ დაჟინებულმა ფიქრმა სინგაპურზე მიხეილ სააკაშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ მას სწორედ ასეთი ძალა სჭირდება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მის გარემოცვაში „ღალატის“ ალბათობა, სავარაუდოდ, მკვეთრად გაიზარდა. დღეს ეს წარმოუდგენელი ჩანს, მაგრამ, თუ ორიოდე წლის წინათ ვინმე იტყოდა, რომ საქართველოში ბურების ჩამოყვანაზე სერიოზულად იმსჯელებდნენ, მას, უბრალოდ, დასცინებდნენ, დღეს კი ეს სავსებით აქტუალური თემაა.

**გასული წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მიხეილ სააკაშვილისგან აბსოლუტურად ყველაფერია მოსალოდნელი და, ალბათ, არც „გურკჰების კონტინგენტის“ მსგავსი სტრუქტურის ჩამოყალიბების შესაძლებლობა (ან მცდელობა) უნდა გამოვრიცხოთ.**

**დიმიტრი მონიავა**





**დღეს „ქრისტიან-დემოკრატებს“ წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც განსვენებულმა ბადრი პატარკაციშვილმა გამოკვება, ჩააცვა, „მაკიაჟი“ გაუკეთა და „სახეებად“ აქცია, მაგრამ როგორ დაუფასეს ამაგი? — ღალატით! მთელი მაუწყებლობა ხელოვნურად შეაჩერეს, ეს მათ სინდისზეა და ღმერთი არ აპატიებს. აღნიშნული ქმედება არა მარტო ბადრი პატარკაციშვილის, არამედ მთელი საქართველოს ღალატი იყო.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

გულბაათ რცხილაძე:

# სად გიორგი თარგამაძე და სად... ქრისტიანობა ან დემოკრატია?!

**ლიბიის მოვლენებს ქართული საზოგადოება აქამდე მხოლოდ მაყურებლის თვალით უმზერდა, მაგრამ შექმნილი ვითარების ფონზე, შესაძლოა, ლიბიაში ნატომ სახმელეთო ოპერაცია წამოიწყოს და გამორიცხული არ არის, რომ ქართველები ამ მოვლენების უშუალო მონაწილენი გახდნენ. უფრო მეტიც, შესაძლოა, ქართველების სისხლი ამჯერად ლიბიის ქვიშაზეც დაიღვაროს. რამდენად მოსალოდნელია ერაყისა და ავღანეთის შემდეგ ამჯერად ქართველები კადაფის პირისპირ ლიბიაში აღმოჩნდნენ? ამ თემაზე გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე.**





**— ბატონო გულბაათ, ქართველ ექსპერტებს შორის თქვენ, მგონი, ერთადერთი ხართ, ვინც სრულიად განსხვავებული კუთხით აფასებთ ლიბიის მოვლენებს. სინამდვილეში რატომ აუმხედრდა ლიბიის მოსახლეობა მუამარ კადაფის?**

— ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს ინფორმაციები ყალბია. ლიბიის მოსახლეობის ძირითადი მასა კადაფის მართლაც რომ ამხედრებოდა, დღეს იგი დიდი ხნის დამარცხებული იქნებოდა, მაგრამ ამის აღიარება დასავლეთს არ აწყობს. მას რატომღაც ეგონა, მიმდინარე დაბომბვების ფონზე, კადაფს ჯერ სამხედრო ძალა განუდგებოდა, შემდეგ კი — მინისტრთა კაბინეტი, მაგრამ ამერიკის მოლოდინი, როგორც ხედავთ, არ გამართლდა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კადაფი ხალხის მასების თვალში მაინც ავტორიტეტულ ფიგურად რჩება, იგი საკმაოდ პოპულარულია და დღემდე აქვს საზოგადოების მხარდაჭერა.

ლიბია საკმაოდ რთული ქვეყანაა და ანალიზის გაკეთებისას კლანური და ტომობრივი ფაქტორებიც გასათვალისწინებელია, რაზეც ქართველ ექსპერტებს საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ. **საქართველოში მხოლოდ არაბული ზმნის წარმოშობას განიხილავენ და ამას არაბისტიკას უწოდებენ. ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკა ქართველი საზოგადოებისთვის და ვითომ ექსპერტებისთვის დღემდე უცხო ხილად რჩება. ამიტომაცაა ლიბიის მოვლენებზე საქართველოში მცდარი შეხედულებები. მთავრობის დაქირავებულ ე. წ. პოლიტოლოგებს პირი მოუღიათ და, აზრზეც არ არიან, ისეთ დასკვნებს აკეთებენ. სჯობს, „სიენენსა“ და „ევრო-ნიუსზე“ გადმოცემული დეზინფორმაციით კვებას თავი დაანებონ და პრობლემა რეალურად შეისწავლონ, თუ დასკვნების დადების მცირეოდენი ამბიაცია მართლა გააჩნიათ.**

არ შემიძლია აქვე ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ შევეხო — თუ რატომ გახდა დასავლეთისთვის აუცილებელი კადაფის მოშორება. კადაფი მხოლოდ 8-10 წლის წინათ დაუახლოვდა დასავლეთს. ეს იყო შერიგების საწყისი ეტაპი, რომელსაც მათ შორის ნავთობთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაც მოჰყვა. ამ გზით დასავლეთის კომპანიების ნაწილი ლიბიაში შევიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კადაფის თავიდან მოშორება მაინც ხელსაყრელი იყო დასავლეთისთვის. ის ხომ, მუბარაქის მსგავსად, „დასავლეთის კაცი“ არ იყო და არც დასავლეთის ინტერესებს გაატარებდა ლიბიაში. სხვათა შორის, მუბარაქზე დასავლურმა პრესამ მხოლოდ მას შემდეგ ატეხა მთელი ისტერია — მუბარაქი დიქტატორიაო, როცა მიხვდა, რომ მისი შენარჩუნება უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ აღნიშნული რევოლუციების ტალღაში ამერიკამ ლიბია ხელოვნურად მოახვედრა.

**— მაგრამ კადაფის დამარცხება ჯერჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა...**

— დღეს არსებული ტენდენციით თუ ვიმსჯელებთ, კადაფის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ლიბია ერთიანად დაიბომბება და მიწასთან გასწორდება, ანდა იქ სახმელეთო სპეცოპერაციის განხორციელება დაიწყება.

**— რამდენად შესაძლებელია საჰაერო და საზღვაო სპეცოპერაციების სახმელეთო ოპერაციით ჩანაცვლება?**

## ლიბიაში ქართული ჯარის შესაძლო გამოყენებას საქართველოსთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვება

— სხვათა შორის, სწორედ საამისო სიტუაცია მწიფდება, თუმცა დასავლეთს ამით თავის შეწუხება ამ ეტაპზე არ სურს. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები ლიბიის პროცესებში მონაწილეობას აღარ გააგრძელებს, მაგრამ საბრძოლო მზადყოფნაში მაინც არის. ობამას ადმინისტრაციას კიდევ ერთი, ახალი პრობლემის დამატება ნამდვილად არ სურს, მაშინ, როცა იგი სხვა პრობლემების წინაშე დგას, ყოველ შემთხვევაში, გარისკვას ჯერჯერობით ვერ ბედავს. დასავლეთს კადაფის იოლად მოცილება ჰქონდა ჩაფიქრებული და, რადგან ლიბიას მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა არ გააჩნდა, ეგონა, რომ სუსტ მოწინააღმდეგეზე ძალის დემონსტრირებას განახორციელებდა, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა.

**— ამერიკა „პასიურობს“, თუმცა ამ პროცესებში ნატოს როლი გაიზარდა. მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, იგი საკუთარ თავზე სახმელეთო ოპერაციის ორგანიზებას იღებს...**

— მას ეს მისია ამერიკამ გადააბარა, რათა საკუთარი პრობლემების გამო, ლიბიის პროცესებში მისი მონაწილეობა არ დაფიქსირდეს. მისია, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს დაევალა. ნატო ის სუბიექტი არ არის, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში, ალიანსის კონსენსუსის გარეშე, გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს; მითუმეტეს, უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, თუ ვინ დგას რეალურად მის უკან. აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამერიკა და ნატო ღიად დგანან ერთ პოზიციაზე. მათი რიტორიკის თანახმად, დიქტატორ კადაფისგან მშვიდობიანი ხალხი უნდა „იხსნან“.

**— თუკი სახმელეთო ოპერაცია განხორციელდა, ამერიკა კი შეიარაღებული ძალის გამოყენებაზე უარს აცხადებს, ნატოს დამატებითი სახმელეთო ძალები დასჭირდება. ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია, რომ ქართული ჯარი ლიბიაში კადაფის წინააღმდეგაც გამოიყენონ?**

— საქართველოს ნატოში გაწევრიანება უკვე წარსულს ჩაბარდა. მიკვირს, ამაზე საუბარი როგორ არ რცხვენია ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ეგეც არ იყოს, რომელი ჯარით უნდა დაეხმაროს საქართველო ნატოს? რა ჯარი ეს არის, რომ ლიბიაში მოწინააღმდეგეები შეაშინოს?!

ხომ ხედავთ, **წლების მანძილზე ნატო ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში ხოცავს, მაგრამ ნატოს წევრობაზე საუბარიც ზედმეტია. ყოველგვარი წევრობის გარეშე იყენებენ საქართველოს თავიანთი ინტერესების გამო.** საქართველოს ნადვილად არ შეუძლია ნატოსთან რაიმე ვაჭრობა დაიწყოს, რადგან ისედაც მთლიანად დასავლეთის სტრატეგიასაა დამორჩილებული. ასე რომ, მათთვის საქართველოს ალიანსში გაწევრიანება არანაირ პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

**— ანუ საქართველოს ჯარს ლიბიის პროცესებში ჩართვა არ ემუქრება?**

— საამისოდ გაეროს მანდატი იქნება საჭირო, ასევე — ნატოს წევრ ქვეყნებში კონსენსუსის მიღწევა. საერთოდ, ამ სახის მანდატი ძალიან იშვიათად გაიცემა. თუ რაღაც სიტუაციაში ქართული ჯარი ლიბიაში მაინც გამოიყენეს, ეს მოხდება საერთაშორისო ნორმების დარღვევით და აგრესორი ძალების — სარკოზისა და კამერონის ჩარევით. სხვანაირად ამის შეფასება არ შეიძლება. ყოველივე ამას კი უმძიმესი შედეგი მოჰყვება საქართველოსთვის, ისევე, როგორც — ავღანეთის შემთხვევაში. **ადრე ქართული ჯარი მონღოლების დროს იხოცებოდა უაზროდ, ამ ბოლოს — ერაყის მოვლენებისას; იმედია, ლიბიაც ჩვენი „მისახედი“ არ გახდება.** გარდა ამისა, ქართველებისთვის ლიბიის მიწას არანაირი პრიორიტეტი არ ექნება.

**— ბატონო გულბაათ, როგორია „ენდიაის“ რეიტინგების სანდოობაზე თქვენი მოსაზრება?**

— „ენდიაის“ ეს კვლევა არის მორიგი პროვოკაცია. ეს არის პირდაპირ ამერიკული ინსტიტუტები, რომლებსაც გინდა კოლონა დაარქვით და გინდა — საოკუპაციო ძალები. ალბათ, გახსოვთ, რა როლი შეასრულა 2008 წლის ვადამდელ არჩევნებში ანალოგიურმა ორგანიზაცია „აირაიმ“. იმავე პოლიტიკას აწარმოებს ეს „ენდიაიც“. მათ ყოველთვის ორი-ორი სახის მონაცემი გააჩნიათ: ერთი — ის, რაც ხალხს უნდა აჩვენონ, და მეორე — ის რეალური შედეგები, მათ მიერვე დაფარული, რომელთაც მერე შიდა საქმიანობისთვის იყენებენ. საკითხს რომ რეალურად შევხედოთ, დავინახავთ, რომ ამ ორგანიზაციებს, უბრალოდ, თავიანთი გათვლები აქვს და არც ერთი მათგანი სულაც არ იკლავს ჩვენი სიყვარულით თავს, რომ მზამზარეული ციფრები დაგვილაგონ წინ. ნუთუ საქართველოში ერთი ქართული ორგანიზაცია არ მოიძებნა ამ კვლევების ობიექტურად ჩასატარებლად?! მაგრამ რას ვიზამთ, დღეს ამათი გრიალისა და ჭიხვინის დროა. მათ ხელშია მთელი საზოგადოების აზრის „კვლევაც“. საბოლოოდ კი ისეთ სავალალო შედეგებს ვიღებთ, როგორიცაა საზოგადოების დაშინება და ნიჰილიზმი.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების რეიტინგს, ამას სულაც არ სჭირდებოდა „ენდიაი“, ხალხმა ისედაც იცის, ვინ ვინაა. მაგრამ ხალხის დაშინებულია ხელისუფლების მიერ. ქუჩაში ნებისმიერი გამვლელი რომ გააჩეროთ და გამოჰკითხოთ ან, თუნდაც (როგორ ოპოზიციას ჩვევია) პრიმიტიულიად, ოჯახებში ანკეტებით დაადგეთ, არავინ გეტყვით სიმართლეს. უმეტესობა თავს აგარიდებს ან ხელისუფლების „ოპოზიციად“ თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიულ“ უსახურ პარტიას დაგისახელებს. ეშინიათ, თორემ სად თარგამაძე, სად ქრისტიანობა და სად დემოკრატია?! პირადად ჩემთვის **აბსოლუტურად მიუღებელია ისეთი პარტია, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი. დღეს „ქრისტიან-დემოკრატებს“ წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც განსვენებულმა ბადრი პატარკაციშვილმა გამოკვება, ჩააცვა, „მაკიაჟი“ გაუკეთა და „სახეებად“ აქცია, მაგრამ როგორ დაუფასეს ამაგი? — ღალატით! მთელი მაუწყებლობა ხელოვნურად შეაჩერეს, ეს მათ სინდისზეა და ღმერთი არ აპატიებს. აღნიშნული ქმედება არა მარტო ბადრი პატარკაციშვილის, არამედ მთელი საქართველოს ღალატი იყო.**

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

# დასავლეთი კადაფის სახმელეთო ოპერაციის გარეშე ვერ დაამარცხებს



ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




**მარტო საკვებს ვინ ჩივის, ხედავთ, რა ხდება ქუჩებში? ადრე ქუჩაში მხოლოდ სმისგან გაუბედურებულ გაბურძგნულ კაცს თუ ნახავდით, მათხოვრებიც ძირითადად „ციგნები" იყვნენ. ახლა ნახეთ, როგორი ხალხი დგას მოწყალების სათხოვნელად. ზოგს გასათენებელი ადგილიც არ აქვს. რაიმე თავშესაფარი უნდა არსებობდეს, სადაც ასეთ ხალხს აცხოვრებს მთავრობა.**

# გარშემო ყველაფერი რომ ჩამოინგრეს,

## ანუ აბაშის ექსპერიმენტიდან ტრანსვესტიტ ძროხებამდე

**„მამალ ძროხებზე" მოგახსენებთ, რომლებიც, სოფლის მეურნეობის ჩვენს განსწავლულ მინისტრს ყურს თუ დავუგდებთ, ისეთსავე მოწინავე პოზიციებს იკავებენ ჩვენი ქვეყნის აღმავლობის საქმეში, როგორც მამათმავლები — ელიტარულ ქართულ ფეშენბაზარში.**

**მაგრამ „ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება", რადგან ორივე „ერთ ბედ ქვეშა ვართ", და მნიშვნელობა არა აქვს, პირუტყვთა თუ მეტყველთა პოპულაციას განვეკუთვნებით. აბა, სხვაგვარად რომელ თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი?!** თანასწორობაზე, რომელიც ძმობასთან და ერთობასთან ერთად რევოლუციას მოაქვს. ხოლო საქართველო რევოლუციების ქვეყანაა, გინდა ლინგვისტურის, გინდა — მენტალურის, გინდა — სიმინდის არნახული მოსავლის მოყვანის, რომელსაც დასთეს, მაგრამ არ იცი, მოსავალს გახუთმაგებულს მოიმკი, თუ მორიგი წინასაარჩევნო დაპირება შეგრჩება ხელში 2015 წლისთვის.



ჰოდა, იჯდა 4 აპრილს გუთნის დედა დაღლილი ტრაქტორის საჭეს დაყრდნობილი და მონოლოგის რეჟიმში ებაასებოდა ყურადღებადქცეულ ადგილობრივ ინვესტორ დავით თოფურიას (ალბათ, ის იყო, იმავე ტრაქტორის კაბინაში თუ კაბინის კართან რომ იჯდა).

ესაუბრებოდა და დანარჩენი საქართველო, ანუ უშრომ-უზრუნველი ცხოვრებით ბედნიერი მისი მოქალაქენი საკუთარი თვალით ვხედავდით აბაშის რაიონის ანჯელის მასივის მწვანედ აჯეჯილების მიზნით პირველი სვრელის გავლებას, როცა ბელტზე გადმოწვენილ ბელტს მიხეილ სააკაშვილის შრომის ოფლი უხვად ეწვიმებოდა.

მძიმეა უღელი მისი.

უმძიმესი, რადგან არ გინდა, დაამტკიცო, რომ ანჯელის მასივში მეცხოველეობისა და მესიმინდეობის ფერადი რევოლუციის გამარჯვება ძირფესვიანად შეცვლის ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას?!

უკეთესობისკენ, რა თქმა უნდა.

ტრაქტორის ძრავი გამორთულია, ხოლო დანარჩენი ტრაქტორები, როგორც საბჭოთა „დღის ქრონიკის" კადრებში, კინოსეანსების წინ რომ ატრიალებდნენ, მწყობრ რიგად მიუყვებიან ჰორიზონტამდე გადაშლილ მშობლიურ მიწას, რომელიც იქ, შორს უერთდება არანაკლებ მშობლიურ ზეცას და ამ ორი სტიქიონის შეხების სწორხაზოვნებაში ამონათდება „20 მილიონის ინვესტიცია", რომლის წყალობითაც აქ „დასაქმდება 100-ზე მეტი ადგილობრივი სპეციალისტი", „გზების გაკეთებასთან და ტექნიკის შემოსვლასთან ერთად იწმინდება სარწყავი არხები და კომპლექსურად წესრიგდება ყველაფერი". ხოლო **„მომავალ წელს გარშემო ყველაფერი რომ ჩამოინგრეს, საქართველოს საკმარისი საკვები უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ საკუთარი ხალხიც გამოკვებოს და შემოსავალიც მიიღოს. ჯერჯერობით ყველაზე კარგი მდგომარეობა ამ მხრივ დასავლეთშია".**

ნუ მიაქცევთ ყურადღებას დაწყევლის მსგავს პროგნოზს — **„გარშემო ყველაფერი რომ ჩამოინგრეს",** რადგან ამ ადგილის გარშემო დანარჩენი საქართველოა, რომელიც ისედაც ჩამონგრეულია და დამატებითი წყევლა-კრულვა ვეღარაფერს დააკლებს.

შეიძლება ისიც ვერ გაარკვიოთ, რომელ დასავლეთშია **„ჯერჯერობით ყველაზე კარგი მდგომარეობა"**, რადგან დასავლეთ საქართველოში რომ მდგომარეობაა, ისეთი — მტრისას! შარშან აქ გვალვამ მთელი მოსავალი გადაწვა და გაანადგურა.

იმასაც ნუ გამოეკიდებით, რომ 20 მილიონი ლარის ინვესტირების შედეგად აქ მხოლოდ 100 ადგილობრივი სპეციალისტი დასაქმდება.

დანარჩენს რა? (გლეხობაზე ვლაპარაკობ). არც არაფერი! მაგრამ ასი არაფერზე მეტია.

თუმცა იმაზე მეტი მაინც არ არის, რაც მიხეილ სააკაშვილმა მოწყალების გაღებასავით მოიხსენია: **„აბაშაში ადრეც ატარებდნენ ექსპერიმენტებს".**

დიაღაც, ატარებდნენ, მაგრამ **ის ექსპერიმენტები ერთი ინვესტორის საკეთილდღეოდ კი არ ხორციელდებოდა, არამედ თითოეული გლეხური მეურნეობისთვის, რის წყალობითაც ყველა გამრჯე კაცი ისეთ შემოსავალს იღებდა, როგორიც რეკლამირებულ „100 ადგილობრივ სპეციალისტს" არც დაესიზმრება.**

იყო მეცხოველეობის არაერთი კომპლექსიც ასობით საქონლით, ანუ ნორმალური ორიენტაციის ძროხებით სავსე; გზაც იყო და კიდევ ბევრი რამ, რასაც დღეს სამომავლო სიკეთედ უსახავენ ლარიბების გარეშე დარჩენილ საქართველოს. მოსავალი კი ანჯელის ველზე ისეთი არ მოდიოდა, მიხეილ სააკაშვილმა რომ შემოგვაპარა: **„ადრე აქ 1,5-2 ტონა მოდიოდა".** გეკითხათ, პატივცემულო, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იმ „ადრე" პერიოდში აქ მუშაობდნენ და გადარჩებოდით ტყუილის უხერხულობას. სიმართლე კი ისაა, რომ აბაშის ექსპერიმენტის წლებში ანჯელის მასივში 5-6 ტონა სიმინდის მარცვალი მოჰყავდათ, ასილოსებდნენ კიდეც და ერთი ღეროც არ რჩებოდა გამოუყენებელი.

მოკლედ — აი, ასე იყო, თაყაო...

არ გამოუვიდა დავით აღმაშენებლობა და ახლა გურამ მგელაძეს, აბაშის განხორციელებული და მრავალმხრივ შედეგიანი ექსპერიმენტის თავკაცს შეუტია თავის გამოსაჩენად.

ამბიციურობის პატრუქს დაუწია შუქურამ, მაგრამ გურამ მგელაძე იოლად გადასაყლაპი ლუკმა არ არის და, შეიძლება, ყელში გაეჩხიროს ამის გაკეთების მსურველს.

**მორალი: დღევანდელ საქართველოში ყველაფერი „პირველად კეთდება" და ვინ სულელი იტყვის, რომ ის, რასაც სოფლის მეურნეობის რეფორმად წარმოგვიდგენენ, უკვე იყო. არ ამბობ? ესე იგი, პლაგიატობ, ანუ ქურდობ, იპარავ, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „ამერიკული თეთრით" ვოლუნტარისტ მმართველთა გაგიჟების პერიოდი 6 წელიწადია.**

**ნიკიტა ხრუშჩოვი აშშ-ის აიოვას შტატის სიმინდის ყანებით 1959 წელს გადაირია. ხელისუფლების სათავეში 1953 წელს მოვიდა. მათ შორის — 6 წელიწადია.**

**მიხეილ სააკაშვილს სიმინდომანია 2010 წელს დაეწყო; 2004 წელს პრეზიდენტად დაჯდომის მეექვსე წელიწადს.**

**გაგახსენებთ: ნიკიტას წამოწყებულმა სოფლის მეურნეობის „რეფორმამ" თავის დროზე კარგ ხასიათზე დააყენა დიდი ბრიტანეთის უკვე ხანდაზმული პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი: სიბერე კი არ მომკლავს, სიცილისგან მოვკვდებიო. შენც გეცინება, ლაბა?**

**ა.ს.**

# ნუგეშნაცემნი

## ქართველი პენსიონერების უმრავლესობამ ხორცი რაციონიდან იძულების წესით ამოიღო!

**პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასები იზრდება და არც სამომავლო პროგნოზია დამაიმედებელი. ინფლაციის 80-პროცენტიანი წილი სწორედ სურსათის ფასებზე მოდის. ასევე ძვირდება საწვავი, შესაბამისად — სატრანსპორტო დანახარჯები; გაიზარდა კომუნალური გადასახადებიც. მაგრამ ფასები ამ ნიშნულზე არ გაჩერდება. სულ უფრო იზრდება რიგები „ნუგეშის" სავაჭრო ობიექტებთან.**



**შეგახსენებთ, რომ ეს სავაჭრო ქსელი ნოემბერში ამოქმედდა. 40-მდე ჯიხურში პროდუქტები იაფად თავიდან მხოლოდ სოციალურად დაუცველთათვის, მხოლოდ პლასტიკური ბარათებით გაიცემოდა, ახლა კი ქსელით სარგებლობა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მაგრამ რიგში კვლავაც პენსიონერები და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები ჭარბობენ.**

სამომხმარებლო კალათა დღეს (სასურსათო კალათა) 149 ლარს შეადგენს. აქ იმ პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც ადამიანმა არსებობისთვის ყოველდღიურად უნდა მიიღოს. აღნიშნულ ჩამონათვალში 40-მდე დასახელების პროდუქტია: პური, შაქარი, ზეთი, რძის ნაწარმი, ხორცეული, ხილბოსტნეული და ა.შ. „ნუგეშის" სავაჭრო ობიექტებთან ჩატარებულმა ჩვენმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას არც კი ახსოვს, ბოლოს როდის შეიძინა ხორცი.

### გულიკო მაქაცარია: გუშინ დიაბეტიანი ქმარი კომაში ჩამივარდა და საშაქრიდან ერთი კოვზი შაქარი ძლივს გამოვფხიკე

**გულიკო მაქაცარია, პენსიონერი:**

— ხორცი? ხორცის საყიდელი ფული სად მაქვს?! 10 ლარი მაქვს სულ და არ ვიცი, რა უნდა ვიყიდო ამით. პენსიამდე ეს ფული უნდა მეყოს. შაქარს ვიყიდი, ალბათ, ზეთს და პურს. სახლში დიაბეტიანი ქმარი მიწევს. გუშინ კომაში ჩამივარდა და საშაქრიდან ძლივს გამოვფხიკე შაქარი. მეშინია შიმშილით არ დავიხოცოთ.

სანამ აქ მოვიდოდი, რუსთაველზე ვიყავი. თეატრალურ უნივერსიტეტთან მზესუმზირას და სიგარეტებს ვყიდი ხოლმე, ისიც შიშით. ხომ იცით, გარევაჭრობა აკრძალულია. მაგრამ რა ვქნა, არ მყოფნის პენსია. წამლებიც ხომ უნდა ვიყიდო. ვიჯექი და მოვიდა პატრული. ვერ მოვასწარი დამალვა. ამიყირავეს ყუთი. სიგარეტები წაიღეს. არადა, მთელი ჩემი დანაზოგი ამაში ჩავდე. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ტირილი დავიწყე. ალბათ, ისეთი საცოდავი სანახავი ვიყავი, ვიღაც ახალგაზრდა გოგონას შევეცოდე და ძალით ჩამიდო ჯიბეში ათლარიანი. ძალიან შემრცხვა. **არ მეგონა, ცხოვრებაში ასე თუ გამიჭირდებოდა. ბაღის მასწავლებელი ვიყავი, ხელფასი მქონდა. მასობრივი შემცირებები რომ წავიდა, გამომიშვეს. ნაგვის ურნაში ხომ არ დავიწყებ ქექვას? მაგრამ უკიდურესად რომ გამიჭირდება, ალბათ, ამ ზომამდეც მივალ.**

ამას წინათ ჩემი ბაღის ერთ-ერთმა აღზრდილმა დამინახა, ქუჩაში მზესუმზირას რომ ვყიდდი და ტირილი დაიწყო, ჩემი მასწავლებელიო. საღამოობით გავდივარ ხოლმე, ცოტა ხნით ვივაჭრებ, სახლში პური მაინც რომ მივიტანო, და ამის საშუალებასაც არ მაძლევენ. **მითხარით, თავი რამით ხომ უნდა გავიტანო? რა გავაკეთო? ფიზიკურად ძალა არ მაქვს, რომ უფრო მძიმე სამუშაო შევასრულო. დამლაგებლად მინდოდა მუშაობა და მითხრეს, უცხო ენა და კომპიუტერი უნდა იცოდეო. თან შემომხედეს და, ალბათ, იფიქრეს, რომ ამ სამუშაოსთვის ზედმეტად მოხუცი ვიყავი.**

ჩემი ქმრის გარდა, არავინ მყავს. ორმეტრიანი კაცი მიწევს სახლში. არაფერი შეუძლია. შევარდნაძის დრო როგორ უნდა ვინატრო, მაგრამ მენატრება — სამსახურები მაინც გვქონდა. ახლა ვითომ ვაუჩერებს და დახმარებებს გვაძლევენ, მაგრამ, თუ გვყოფნის, იმას არ კითხულობენ. თვითონ კი არიან თბილად, რა უჭირთ. ჩემ გარშემო ყველას ძალიან უჭირს. ამათ რომ ჰკითხო, ყველაფერი კარგადაა თურმე. ხალხი შიმშილით ვიხოცებით და ესენი აქეთ-იქით „დაგულაობენ". რა ენაღვლებათ რა, საკუთარი თავის იქით ვერავის ხედავენ.

### ელზა კორინთელი: ახალი წლის შემდეგ ხორცი არც მიყიდია და არც მიჭამია

**ელზა კორინთელი, პენსიონერი:**

— ხორცი, შვილო, მგონი, ახალ წელს ვჭამე. ნახევარი კილო ქათმის ბარკლები ვიყიდე. ინდაურს ვერ შევწვდი, ისეთი ძვირი იყო, და ქათმის ბაჟე გავაკეთე. საქონლის ხორცს რაც შეეხება, მაგაზე უკვე ოცნება თუ შემიძლია. ძალიან გაძვირდა ყველაფერი, მარტო ხორცი კი არა. გახსოვთ, რჩეული ანტონოვკა ვაშლი 50 თეთრი რომ ღირდა, საზამთროს 10 თეთრად რომ იყიდდი? აზერბაიჯანელი ბაჯები ვედრო პომიდორს ლარად ატარებდნენ ნავთლუღში. ყურძენი 20 თეთრი ღირდა. ახლა ხილზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება.

**მარტო საკვებს ვინ ჩივის, ხედავთ, რა ხდება ქუჩებში? ადრე ქუჩაში მხოლოდ სმისგან გაუბედურებულ გაბურძგნულ კაცს თუ ნახავდით, მათხოვრებიც ძირითადად „ციგნები" იყვნენ. ახლა ნახეთ, როგორი ხალხი დგას მოწყალების სათხოვნელად. ზოგს გასათენებელი ადგილიც არ აქვს. რაიმე თავშესაფარი უნდა არსებობდეს, სადაც ასეთ ხალხს აცხოვრებს მთავრობა.** არ შეიძლება ყველამ მოვთხოვოთ სახელმწიფოს, რომ დაგვეხმაროს? საშინელებაა! გული მისკდება, აღარ ვიცი, რა ვქნა, როცა ქუჩაში ვხედავ, ნაგავში როგორ იქექება ხალხი. შეიძლება აუცილებელია ქვეყნისთვის მომღერლების ჩამოყვანა, მაგრამ ასეთ ადამიანებს რა ვუყოთ, გადავყაროთ?

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

ექსპერტების თქმით, საქართველოს ათეულობით წელი დასჭირდება, რომ ქართული ღვინის ექსპორტმა იმ დონეს მიაღწიოს, რომელიც რუსეთის ემბარგომდე არსებობდა. როგორც ჩანს, ჩვენი პრეზიდენტი რუსეთის წინაშე იხტიბარს არ იტეხს და რუსეთისთვის მისაყიდი ღვინის არქონის თაობაზე სიცრუით წარუმატებლობის დამალვას ცდილობს.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# განხეთქილების ვაზი

**პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს რუსეთისთვის მისაყიდი ღვინო არ ჰქონია. ამ სიცრუის გამო მას არამარტო პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლები სდებენ ბრალს, არამედ თავად მევენახეებიც. ისინი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სააკაშვილის განცხადების საწინააღმდეგო რეალურ არგუმენტებს აწვდიან; მეტიც, სახელმწიფოს ღვინის ფალსიფიკაციის დაკონონებაშიც ადანაშაულებენ.**

## მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ არ გვაქვს ზედმეტი, რუსებისთვის მისაყიდი ღვინო



## მუხრან გიორბელიძე: დეგენერატია, ვინც იძახის, საქართველოს მეზობელი ქვეყნის ბაზარზე გასატანი ღვინო არ გააჩნიაო...

**მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართულ ღვინოებზე ემბარგო გამოაცხადა, გაყიდვები რამდენიმეჯერ შემცირდა, ქარხნებს კი გაუყიდავი ღვინო დაუგროვდა. მაგალითად, 2005 წელს საქართველოდან ექსპორტზე 300 მილიონამდე ბოთლი ქართული ღვინო გავიდა, 2010 წელს კი — მსოფლიოს 46 ქვეყანაში მხოლოდ 14,6 მლნ ბოთლი, აქედან ექსპორტის ნახევარი — 7,4 მლნ ბოთლი — უკრაინაზე მოდის.**

ფაქტია, ქართულმა ღვინომ აშშ-ის, ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე საკუთარი ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ღვინის კომპანიებისავე მონაცემებით, ევროპის ბაზარზე საერთო წარმოების მოცულობიდან „საფერავის“ – 75%, „რქაწითელის“ (კუპაჟითა და ვარიაციებითურთ) — 20%, „ხვანჭკარის“, „უსახელოურისა“ და სხვა ღვინოების 5% გავიდა. ღვინის საექსპორტო ორიენტაციის შეცვლამ რუსული ბაზრის დაკარგვით გამოწვეული ზარალის კომპენსირება ვერ მოახდინა. ასე რომ, ბოლო წლების მანძილზე ქარხნებს იმდენი ღვინის მარაგი დაუგროვდათ რომ მათი უმეტესობა ყურძნის ჩაბარებაზე უარს აცხადებს, ზოგ მათგანს კი ახალი ღვინისა და ყურძნის დასაბინავებლად ცარიელი ჭურჭელიც არ მოეპოვება. ღვინის კომპანიათა ნაწილი კი ყურძნის მინიმალურ რაოდენობას იბარებს, ისიც სახელმწიფო სტრუქტურებიდან ძალდატანების საფუძველზე, რაც არაერთხელ გაჟღერებულა პრესაში.

**ექსპერტების თქმით, საქართველოს ათეულობით წელი დასჭირდება, რომ ქართული ღვინის ექსპორტმა იმ დონეს მიაღწიოს, რომელიც რუსეთის ემბარგომდე არსებობდა.**

როგორც ჩანს, ჩვენი პრეზიდენტი რუსეთის წინაშე იხტიბარს არ იტეხს და რუსეთისთვის მისაყიდი ღვინის არქონის თაობაზე სიცრუით წარუმატებლობის დამალვას ცდილობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის განცხადებით კი, თურქეთის სახელმწიფოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს თურქეთში მილიონი ლიტრი ღვინის იმპორტის განახორციელება შეუძლია, თუმცა, ამის მიუხედავად, რეალურად ქართველი იმპორტიორები თურქეთში საშუალოდ 40 ათას ლიტრი, მაქსიმუმ კი 60 ათასი ლიტრი ღვინის იმპორტს ახორციელებენ.

ავიღოთ თუნდაც „თბილღვინო“, რომელიც საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელია. იგი 40 დასახელების ღვინოს უშვებს და მისი ნაწარმი ექსპორტზე 25 ქვეყანაში გადის, თუმცა ახალი საექსპორტო ბაზრის დაპყრობაში დიდ ვერაფერ შედეგს მიაღწია. 2010 წლიდან იგი ჩინეთში, ირლანდიაში, შვედეთსა და ფინეთში შევიდა, თუმცა მისი გაყიდვების 75% მაინც დსთ-ს 5 ქვეყანაზე — ყაზახეთზე, უკრაინაზე, ბელარუსზე, ლიტვასა და ლატვიაზე მოდის.

**ნიკა ლალიაშვილი, პარლამენტის წევრი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან“:**

— საიდან დაასკვნა სააკაშვილმა, რომ საქართველოს რუსეთის ბაზარზე გასატანი ღვინო არ მოეპოვება?! გაუგებარია, რას ემსახურა ეს სიცრუე. **რუსეთის ემბარგოს შემდეგ ქართულ ღვინის ქარხნებს სერიოზული პრობლემები შეექმნა, ზოგი დაიხურა, ზოგიც სულს ღაფავს, რადგან მცირე მათგანს თუ აქვს კონტრაქტები ღვინის სხვა ბაზარზე გასატანად.** შესაბამისად, კომპანიებისთვის დღეს პრობლემას წარმოადგენს, თუ სად წაიღონ შარშანდელი და შარშანწინდელი გაუყიდავი ღვინოები. ისინი ღვინის ასეთი ჭარბი რაოდენობის რეალიზაციას ვეღარ ახერხებენ და ყურძნის შეძენაზეც უარს ამბობენ, რამაც რთველის ორგანიზება გაართულა. რისთვის მოიყვანოს გლეხმა მოსავალი თუ არ გაყიდა? მითუმეტეს, როცა დღეს ვენახის შეწამლა გაორმაგებულ თანხებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება საქართველოში ღვინის ფალსიფიკაციას, ეს არა რომელიმე კომპანიის, არამედ ხელისუფლების დანაშაულია. ფალსიფიკაციის წინააღმდეგ რეგულაციის ჯგუფები უნდა არსებობდეს და სახელმწიფო მკაცრ ზომებს აწესებდეს. სახელმწიფო კი იქ არ ერევა, სადაც საჭიროა, და იქ ყოფს ცხვირს, სადაც საჭირო არ არის. აღნიშნულ საკითხებში ხელისუფლება განსაკუთრებით არათანმიმდევრულია.

**მუხრან გიორბელიძე, მევენახე:**

— დეგენერატია ის, ვინც იძახის, საქართველოს მეზობელი ქვეყნის ბაზარზე გასატანი ღვინო არ გააჩნიაო. ჩვენს სახელმწიფოს საკმარისზე მეტი (80%) ღვინო აქვს. რუსეთის ემბარგოს შემდეგ სად წაიღეს კომპანიებმა ღვინის ის გაუყიდავი 80 პროცენტი?! **ამ დღეში იმიტომ აღმოვჩნდით, რომ ქართულმა მხარემ „იყოყოჩა“ — რუსებს ჩვენი ღვინო წყალივით სჭირდება და უარს ვერ გვეტყვიანო. იმათაც იფიქრეს, საქართველო თუ მაინც ჩვენი მტერია, რატომ გავუსაღოთ ღვინოო. ჰოდა, ცხვირწინ მოგვიჯახუნეს თავიანთი ბაზრის კარი.**

მას შემდეგ პრობლემა პრობლემაზე გვაქვს. მწარმოებელი კომპანიები წაგებაზე წავიდნენ და, ადრინდელისგან განსხვავებით, ღვინის დასამზადებლად უკვე მინიმალური ხარჯების გაღებაზე არიან ორიენტირებული და არა — ღვინის წარმოების მოცულობასა და ხარისხზე. ამისთვის ყველანაირ ღონეს მიმართეს, მათ შორის ფალსიფიკაციასაც. მაგალითად, საქართველოში სულ 18 ვაზის სახეობაა ენდემურ ჯიშად დარეგისტრირებული და უსახელაური ამ ჯიშებში არ შედის, რადგან პატრონი არ ჰყავს. ხვანჭკარასა და დანარჩენ ვაზის ჯიშებს ჩინოვნიკები ლობირებენ. ჰოდა, აწყობთ კიდეც, ჩვენს ხარჯზე ფალსიფიკაციითაც რომ ისარგებლონ. მათი მზრაკვული ინტერესები რომ არა, უსახელაური ძველებურად ვაზის ენდემურ ჯიშად დარჩებოდა. ეს სტატუსი მას 2005 წლის შემდეგ ჩამოართვეს, რადგან, თურმე ამ ვაზის გაშენება ძლიერი პატრონის ხელქვეითებს — „თელავის ღვინის მარნის“ წარმომადგენლებს, საკუთარ კუთხეში დაუგეგმავთ. ხელისუფლების მიერ დაშვებული კანონიერი ფალსიფიკაციის წყალობით კი, „თელავის ღვინის მარანს“ „ზედმეტი“ ხარჯების გაღება აღარ უწევს და არც კანონთან ექმნება პრობლემა ფალსიფიკაციის გამო.

**კარლო კოპალიანი, ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი:**

— მევენახეების დიდი მცდელობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უსახელაურს ადგილწარმოების სტატუსი, „გაურკვეველი“ მიზეზების გამო მაინც ჩამოართვა. **როცა თქვენს გაზეთში უსახელაურის შესახებ სტატია დაიბეჭდა, პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრს — კვეზერელს ვკითხე, თუ რატომ არ აქვს მინიჭებული უსახელაურს აღნიშნული სტატუსი. მან მიპასუხა — საკითხს არ ვიცნობთ და შევისწავლითო. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თავისი სპეციალისტების დახმარებით, გლეხებს მზამზარეულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს პრობლემების მოსაგვარებლად (თუ ჰყავთ საერთოდ სპეციალისტები). საინტერესოა, სხვა რა საკითხებითაა დაკავებული აღნიშნული სამინისტრო — გზების დაგებით თუ გვირაბების გაყვანით?!**

უნდა აღინიშნოს, რომ უსახელაურის ირგვლივ აღნიშნული პრობლემები მოულოდნელად, ვიღაც-ვიღაცების ინტერესების გამო, შეიქმნა და ვაზს სტატუსი გაუუქმეს. რაიონის მაშინდელი დეპუტატი კი ამ მონსტრებს ვერ გაუმკლავდა, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია და ბაზარზე ფალსიფიცირებული ღვინო უკვე „კანონიერად“ გამოჩნდა.

**ეკა რობაქიძე**

**P.S. ზემოთ განხილული პრობლემის შესახებ ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც დავუკავშირდით. დაპირებების მიუხედავად, გადაგზავნილ კითხვებზე სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ჩადუნიშვილმა პასუხები არ გვაღირსა. მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჯერ კომპეტენტური პირების სამინისტროში არ ყოფნას იმიზეზებდა, შემდეგ არც თავად პასუხობდა ჩვენს ზარებს. ხოლო, როდესაც მასთან დაკავშირება მაინც მოვახერხეთ, მოკლედ მოგვიჭრა — რეგიონში ვიმყოფები, შესაბამისად, პასუხების გადმოგზავნას ვერ დაგპირდებითო.**

**თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „კეთილი ნება“ გამოიჩინა და გაგზავნილ შეკითხვებზე პასუხები გადმოგვიგზავნა, მკითხველს აუცილებლად გავაცნობთ.**

მოკლედ

## ნატო რუსეთთან ურთიერთობებს აძლიერებს

**ნატოს სამომავლო პოლიტიკაში პარტნიორობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება.** „ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთობას რუსეთთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესუსტდება ჩვენი თანამშრომლობა საქართველოსთან. მიმაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მნიშვნელოვანია მთლიანად ევროპული უსაფრთხოებისთვის. ხოლო, რაც შეეხება ნატო-საქართველოს ურთიერთობას, ნატოს მხარდაჭერა კიდევ უფრო ძლიერდება ბოლო პერიოდში“, — განაცხადა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ.



## ჰააგის პროკურორი კადაფის წინააღმდეგ

**ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ლუის მორენო ოკამპომ განაცხადა, რომ ლიბიაში მშვიდობიანი მოსახლეობას ხელისუფლების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ხოცავდნენ.** ლუის მორენო კამპოს მტკიცებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განკარგულებაშია ყველა ის მტკიცებულება, რომელთა გამოც კადაფი ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდა.

საქართველო და მსოფლიო
მედია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თუკი ხელისუფლება NDI-ის კვლევებს ენდობა, თუკი დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოება პოლიტიკით დაიღალა და მხოლოდ გასართობი თოქ-შოუები აინტერესებს, რომელი გასართობი არხი „პირველი კავკასიურია“, რომ ამ უკიდურესად პოლიტიზირებულ მაუწყებელს ბიუჯეტი 20 მილიონით გაუზარდეს?**

# მიუმადიდებელი ტელეარხების მრუმმადიდებელი ეთერი

**ქართულ ტელეარხებზე ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით მომრავლებული გასართობი გადაცემები, თოქ-შოუები, განიხილავენ, ვინ ვისი საყვარელია, ვინ ვის დაშორდა, დღეში ვინ რამდენი საათითაა სექსით დაკავებული... თუ NDI-ის კვლევებს დავუჯერებთ, ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს ასეთი გადაცემები მოსწონს და არ უჩნდება კითხვა, თუ რატომ გაქრა ერთი ხელის მოსმით ყველა ნაციონალური არხიდან პოლიტიკური ხასიათის შოუები და სხვა გადაცემები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ობიექტურად უნდა ასახავდეს. გადავწყვიტეთ, ჩვენს კოლეგებთან გაგვერკვია, რამდენად რეალურია NDI-ს კვლევები, და მართლა აინტერესებს თუ არა ქართულ საზოგადოებას ამათუიმ უნიჭო მომღერლის ბინძური საცვლები იმაზე მეტად, ვიდრე საკუთარი ქვეყნის დღევანდელობა და მომავალია.**



**ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი:**

— თქვენ რა გგონიათ, NDI-მ რეალური შედეგები გამოაქვეყნა ქართულ ტელეარხებთან დაკავშირებით?! **NDI-მ კვლევის ჩატარება იმ კვლევის ცენტრს დაავალა, რომლის ხელმძღვანელიც ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის — ლევან თარხნიშვილის მეუღლე გახლავთ. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგების ობიექტურობა იმთავითვე გამორიცხულია.** არის მეორე ფაქტიც: თუ საზოგადოება იმას აცხადებს, რაც კვლევებშია მითითებული, ეს ხდება მათი ტერორის ფონზე. ვისაც სამსახური აქვს, ყველას ეშინია, არ დააკარგინონ. ეგეც არ იყოს, დღევანდელი ოპოზიციის პირობებში, არ მგონია, პოლიტიკური დებატები რაიმე შედეგის მომტანი იყოს.



**ია ანთაძე, ჟურნალისტი:**

— თუკი ადრე ქართულ ტელეარხებზე ისეთი გადაცემები არსებობდა, რომლებიც მაყურებლებს კრიტიკულ აზროვნებას უყალიბებდა, დღეს მათი რაოდენობა ნულამდეა დაყვანილი. ის, რაც დღის მნიშვნელოვანი თემაა, „ქრონიკა“ და „კურიერი“ მე-17 ნიუსად გვაწვდის. თუმცა ხელისუფლების მიერ ამუშავებული პროპაგანდისტული მანქანა მხოლოდ ერთსაათიან საინფორმაციო გამოშვებას როდი სჯერდება, საზოგადოების მოსატყუებლად და მათი აზროვნების გადასაგვარებლად ამ თითოსაათიან გამოშვებებს გვერდით „გასართობი“ გადაცემები „შემოუწყო“. რასაც დღეს ჩვენ გასართობ გადაცემებს ვეძახით, რეალურად სულაც არ არის გასართობი, ისინი სრულიად გააზრებული ნაწილია აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებებისა და მათ სახელსა ამოფარებული. თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ამ შოუებს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა მინიმუმამდე დაჰყავს და „ქრონიკისა“ და „კურიერის“ „ნათელი ნიუსების“ ფარულ პროპაგანდას ეწევა. **რომ მკითხოთ, რომელი უფრო მავნებელია მაყურებლისთვის — ასათიანის „პროფილი“ თუ „კურიერიო“, ვერც ერთს გამოვყოფ, რადგან ორივე ერთნაირად საზიანოა, რადგან ერთმანეთთანაა მიბმული და ერთი და იმავე არასწორი აზროვნების ჩამოყალიბებას ემსახურება.**



**ნინო ჯანგირაშვილი, ჟურნალისტი:**

— პოლიტიკური თოქ-შოუების ეთერიდან გაქრობის სახით საქმე გვაქვს ხელისუფლების მკაფიო და კარგად გააზრებულ გადაწყვეტილებასთან, რომელსაც მის მიერ კონტროლირებად არხებზე ახორციელებს. თუმცა სიტყვა კონტროლირებადი სინამდვილეში აღარც კი შეესაბამება იმ რეალობას, რაც დღეს არსებობს. **ხელისუფლება დღეს არათუ აკონტროლებს ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ არხებს, არამედ ფლობს კიდეც მათ სხვადასხვა ოფშორული ფირმების თუ ეგრეთ წოდებული პადსტავნოი პიროვნებების საშუალებით.** ეს არის ერთი დიდი კორუფციულ-იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ქსელი, სადაც მილიონები ტრიალებს. მისი მთავარი მიზანია, საზოგადოება რაც შეიძლება ინდიფერენტული გახდეს პოლიტიკური პროცესების მიმართ. **ხელისუფლების იდეოლოგია ასეთია – „კურიერმა“ და „ქრონიკამ“ ყოველდღიურად უნდა დაგვიხატოს ნათელი მომავლის სურათები და გვაუწყოს, რომ მსოფლიო აღფრთოვანებულია ჩვენით და რომ 2015 წელს მესტია იქნება მსოფლიოში საუკეთესო კურორტი.** ცოტა ექსტრემისთვის ვინმე მამა-შვილის ურთიერთდასახიჩრების ფაქტებსაც გვთავაზობენ, რომ თავი მძაფრი მოვლენების შუაგულში ვიგრძნოთ, ოღონდ — არა პოლიტიკურის. შემდეგ კი უნდა გაგვართოს ვანომ, ნანუკამ, მაიამ, დუტამ და ა.შ. ისე, როგორც ნათელმომავლიანი ქვეყნის ბედნიერ მოქალაქეებს შეეფერება. ეს არის მკაფიოდ განსაზღვრული იდეოლოგიური ხაზი, რომელსაც ახლა მარეგულირებელი კომისიის მიერ „ჩატარებული“ კვლევებითაც გაუკეთეს ლეგიტიმაცია. ანუ ახლა უკვე საზოგადოების სახელით გვეუბნებიან, რომ ხალხს აინტერესებს მხოლოდ მუსიკა, გართობა და სერიალები.

რაც შეეხება საზოგადოების პროტესტს, სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებას, მგონი, აღარაფრის გამო არ უჩნდება პროტესტი და მშვენივრად ყლაპავს გადმოგდებულ ლუკმებს. **სამწუხაროდ, ჩემი ქვეყნის საზოგადოება ძალიან ირაციონალურ, გაურკვეველი მოტივაციებით მოქმედ, დეზორიენტირებულ და გაურკვეველი მიზნების მქონე უპრინციპო მასად იქცა, რომელსაც სურვილი არ აქვს, სადღეგრძელოების მიღმა რამე გააკეთოს იმისთვის, რომ მიიღოს ის, რაც ეკუთვნის — იცხოვროს ღირსეულად, მოიპოვოს ელემენტარული სამართლიანობა და ამ ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.**

მოამზადა
**ეკა როზაქიძემ**

# «პირველი კავკასიურისთვის» 20 მილიონის გამოყოფა ხელისუფლების მორიგ პროვოკაციად შეფასდა

**საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხისთვის (პირველი კავკასიური) 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 20 მილიონი ლარი გამოიყოფა. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას განაცხადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომიტეტებში სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების განხილვის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხისთვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ მსჯელობა არ ყოფილა.**

**რაც მთავარია, თუკი ხელისუფლება NDI-ის კვლევებს ენდობა, თუკი დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოება პოლიტიკით დაიღალა და მხოლოდ გასართობი თოქ-შოუები აინტერესებს, რომელი გასართობი არხი „პირველი კავკასიურია“, რომ ამ უკიდურესად პოლიტიზირებულ მაუწყებელს ბიუჯეტი 20 მილიონით გაუზარდეს?**

ეს კითხვა რიტორიკულია და პასუხიც წინასწარ ცხადია, თუმცა „პირველი კავკასიურის“ გენერალური დირექტორი რობერტ პარსონი ამბობს, რომ ეს თანხა ახალ შენობას, მის მოწყობას, ტექნიკურ აღჭურვასა და ტრეინინგებს მოხმარდა.

**„საქართველო და მსოფლიომ“ სცადა, გაერკვია, რას შეიძლება რეალურად მოხმარდეს ეს თანხა და რა შედეგს გამოიღებს ქვეყნისთვის „პირველი კავკასიურის“ ასე გულუხვად დაფინანსებული ეთერი.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ეს არის პირდაპირი, პროვოკაციული ნაბიჯი რუსეთის წინააღმდეგ და მიმართულია იქითკენ, რომ პროპაგანდისტული მანქანა რუსეთის საწინააღმდეგოდ ჩრდილოკავკასიელებში ამუშავდეს, მოიწამლოს ეს ხალხი და გარკვეული რევოლუციური ატმოსფერო შეიქმნას იქ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ესაა სააკაშვილის უპირველესი სურვილი, ამიტომაც შექმნა ეს არხი. მოიწვიეს ის პიროვნებები, რომლებიც მიუღებელია რუსეთის ხელისუფლებისთვის, მაგალითად, დუდაევის ქვრივი და სხვ. ცხადია, **ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც ფული ვერ გაუმეტებია საკუთარი პენსიონერებისთვის** (სექტემბრისთვის ჰპირდება 100 ლარამდე გაზრდას და, ამასაც თუ მოახერხებს, არავინ იცის), **ასეთ დროს რაღაც „პირველი კავკასიური“ არხისთვის, მე ვიტყოდი, პროვოკაციული ტელევიზიისთვის ამხელა მილიონების გამოყოფა, თამამად შემიძლია ვთქვა, დანაშაულია.**



**ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი:**

— საშუალება მქონდა, თვალი მედევნებინა ჩანაწერისთვის, სადაც მრგვალ მაგიდასთან ორი მხარე იჯდა. ერთის მხრივ — „პირველი კავკასიური“ არხის დამფუძნებელი და ჟურნალისტები, მეორეს მხრივ — რუსი ჟურნალისტები და ექსპერტები. მაინტერესებდა, რა არგუმენტებს დადებდა არხის წარმომადგენლობა და რატომ იყო მეორე მხარე არხის წინააღმდეგი. თუმცა უნდა გითხრათ, რომ „პირველი კავკასიური“ არხის ხელმძღვანელობამ ბოლომდე ვერ დაადასტურა ამ არხის მნიშვნელობა როგორც რუსულენოვანი მოსახლეობისთვის, ისე საქართველოსთვის. ერთადერთი, რაც ითქვა, იყო ის, რომ არხის მიზანია შავი ზღვის რეგიონში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფა. **თუკი ასეთი მნიშვნელოვანია რუსულენოვანი მოსახლეობის საინფორმაციო ზოლში მოქცევა, რატომ იმავე წარმატებით არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ამას საქართველოში თუნდაც იმავე რუსულენოვანი გაზეთებით?! პირდაპირ მივუთითებ გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“, რომელიც არის რუსულენოვანი, განსაკუთრებით ეროვნული, ქართული გაზეთი...** და თუკი ჩვენ ქვეყანაში გვყავს რუსულენოვანი მოსახლეობა (იმავე ჯავახეთში, მარნეულში) და ჩვენს ქვეყანას მომავალში აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად წარმოვიდგენთ, იქ მათ რუსულად უნდა მიაწოდო ინფორმაცია და არა — ინგლისურად...



**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის“ რედაქტორი:**

— თავიდან ბოლომდე ქაოსია ამ არხის ირგვლივ. არხს, გარდა პოლიტიკური მიზანდასახულებისა, ღირსება უნდა ჰქონდეს, ჟურნალისტური ღირებულებები. როგორც ჩანს, **არხის პრომოუშენი ხელისუფლებას საკუთარი ღირსებების დასაფიქსირებლად სჭირდება, თორემ არხი ყველაზე საწყალი, უინტერესოა როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად და არც ღირს მასზე ყურადღების გამახვილება.** ისევ ამათი სურვილია, იფუნქციონიროს. ეს არხი რომ იყოს პერსპექტიული ტელეარხი, რომელსაც მხოლოდ ფინანსური დეფიციტი უქმნის პრობლემას, შეიძლებოდა ფიქრი მის დამატებით დაფინანსებაზე, მაგრამ, როცა რეალურად არაფრისმომცემია, ტოვებს შტაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, კიდევ ერთი საკუთარი იდეების გამტარებელი არხი შემოიმატოს.






**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

— „პირველი კავკასიური“ არხის დაფინანსება თუ კიდევ 20 მილიონით გაიზარდა, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს დაქცევის, განადგურებისა და დანაწევრების პროცესი 20-ჯერ უფრო დაჩქარდება. ეს არხი საეჭვო რეპუტაციის ხელმძღვანელის რუსეთიდან გადმოხვეწილი, წვეროსანი ჟურნალისტის თამადობით (მიუხედავად იმისა, რომ არხზე ერთი-ორი იშვიათი ნიჭისა და პროფესიონალიზმის პიროვნებაც მუშაობს), თავიდან ბოლომდე ემსახურება საქართველოს რუსეთის სახელმწიფოსთან კონფრონტაციულ სიტუაციაში ჩაყენებას. ამას, ალბათ, საქართველოს მტრების გათვლით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდეგ უნდა მოჰყვეს სხვა ტერიტორიების ჩამოჭრა, ჩამოთლა და დაკარგვა. ამდენად, **ეს არხი დღეს ასრულებს ზუსტად იმ ფუნქციას, რაც შეიძლება ძალიან მოკლედ და სხარტად ჩამოყალიბდეს ასეთ გამოთქმაში: „პუტინო, მოდი და ჩამარტყი თავში კომბალი“. ეს არხი ამას ნიშნავს საქართველოსთვის.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

მართალია, დღეს ინგლისური საერთაშორისო ენაა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რა იქნება ნახევარი საუკუნის შემდეგ. გამორიცხული არაა, მისი ადგილი ჩინურმა ან ინდურმა დაიკავოს. ამიტომ მოვუაროთ ქართულ ენას, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე მრავალი საერთაშორისო ენის კონკურენციას გაუძლო და დღემდე ქართველობის ძირითად ბურჯს წარმოადგენს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს

**1978 წლის აპრილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია ედუარდ შევარდნაძე. გაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკებში სახელმწიფო ენად ერთი ენის — რუსულის გამოცხადების იდეა, რომლის ავტორიც საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი და ბრეჟნევის თეორეტიკოსი მიხეილ სუსლოვი გახლდათ. „კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ პარტია იზრუნებს მშობლიური ენების განვითარებაზე, სახელმწიფო ენად კი რუსული გამოცხადდება“. 1978 წლის 14 აპრილი. ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით სტუდენტი ახალგაზრდობის პროტესტის შედეგად ამგვარი ცვლილება ჩვენთან არ განხორციელდა. კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად დარჩა ქართული. დღეს, 33 წლის შემდეგ, თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ქართული ენა გლობალიზაციის ეპოქაში შეიძლება ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. თუმცა საზოგადოებას, სტუდენტობას ამჯერად ეს ნაკლებად აღელვებს. თუ რა მოხდა 1978 წლის 14 აპრილს და დღეს კვლავ ემუქრება თუ არა ქართულ ენას ფუნქციის დაკარგვა, გვესაუბრება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რისმაგ გორდეზიანი.**





## რისმაგ გორდეზიანი:
## ინგლისური ენის აღზევება ქართულის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ერისთვის დამღუპველია

**— ბატონო რისმაგ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა მოხდა 1978 წლის 14 აპრილს საქართველოში.**

— 1978 წელს საბჭოთა კავშირმა კონსტიტუციების დიდი რეორგანიზაცია დაიწყო, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის ადრე არსებული ტექსტიდან უნდა ამოღებულიყო პუნქტი, სადაც სახელმწიფო ენად დადგენილი იყო ქართული.

როდესაც ამ ფაქტზე ცენტრალურ კომიტეტში საგანგებოდ შეკრებილი საზოგადოების ყურადღება რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გაამახვილა, უნივერსიტეტის რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ამას მშვიდად ვერ შეხვდებოდა. მართლაც, ინფორმაციის გავრცელებისთანავე უნივერსიტეტი გადაიქცა ამ საკონსტიტუციო ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიცენტრად. სტუდენტობა ამ მოძრაობის ძირითად ძალად იქცა და მას მხარი მთელმა საზოგადოებამ აუბა. **ხალხს ჰქონდა ერთადერთი კატეგორიული მოთხოვნა, კონსტიტუციაში ჩაწერილიყო სახელმწიფო ენად ქართული! მაშინ პროტესტის გამოხატვა ამ ფორმით არცთუ უხიფათო იყო, მაგრამ საზოგადოებამ ეს გაბედა. შეიქმნა საკმაოდ კრიტიკული სიტუაცია. კრემლის იდეოლოგებს თითქმის მთელი საქართველო დაუპირისპირდა.** 14 აპრილს დილიდან უნივერსიტეტთან ვეებერთელა პროცესია შეიკრიბა, რომელსაც განუწყვეტლივ უერთდებოდნენ სხვადასხვა მხრიდან წამოსული კოლონები. ეს პროცესია აზვირთებულ მდინარესავით დაიძრა უმაღლესი საბჭოს, დღევანდელი პარლამენტის შენობისკენ, სადაც წყდებოდა კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის მიღების საკითხი. ხალხის ერთიანმა ნებამ მოსკოვი იძულებული გახადა „დათმობაზე“ წასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ისე გადაწყდა, როგორც ხალხს სურდა, რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილებს ამის დაჯერება მანამდე არ უნდოდათ, სანამ შევარდნაძე თვითონ არ გამოვიდა და არ მიმართა ხალხს.

**— დღეს როგორ მდგომარეობაშია ქართული ენა? ხომ არ დგას ისევ იმის საფრთხე, რომ სახელმწიფო ენა ნელ-ნელა ფუნქციას და პრიორიტეტს დაკარგავს?**

— დღეს სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. ჩვენ მაშინ ვიყავით იმპერიის ნაწილი, ამ იმპერიაში კი იყო ენა, რომელიც ითვლებოდა საკავშირო კომუნიკაციის ენად და ქართულ ენას ჩვენ რუსულის ექსპანსიისაგან ვიცავდით. მაშინ რუსეთში წიგნებიც კი გამოდიოდა იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსული ენის გავრცელებასა და დამკვიდრებას ხელს ის უშლის,რომ **ქვეყანაში ძალიან ძლიერია ქართულ ენის პოზიციები. ქართულად ითარგმნებოდა საზღვარგარეთის კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები. სპეციალური მთარგმნელობითი კოლეგია იყო შექმნილი ამისთვის. გამოდიოდა უამრავი ლექსიკონი. ეს კი აძლიერებდა ქართული ენის დაცვას იმპერიის ე.წ. ხალხთაშორისი ენის წინაშე.**

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარება იცვლება. საქართველო ხდება დამოუკიდებელი ქვეყანა. აღარავის ეშინია, რომ რომელიღაც ენა საქართველოში ქართულ ენას დაჩაგრავს და კონკურენციას გაუწევს. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში დადგა საკითხი — ქართველ კაცს რა ენაზე ჰმართებს კომუნიკაცია გარე სამყაროსთან. დაიწყო პროცესი, რომელიც თანდათან რუსულს საქართველოში ანაცვლებს ინგლისურით. ამაში არაფერია საგანგაშო, თუკი ამ მიმართულებით ჩვენ თვითონვე არ წავალთ ისე შორს, რომ ქართული ჩვენს ქვეყანაში უკანა პლანზე გადაიწევს. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ კი ზოგიერთებისთვის ქართულ ენაზე საგანგებო ზრუნვა საეჭვოდაც კი შეიძლება გახადოს.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ინგლისურის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გამომყენებელთა რაოდენობა განუხრელად იზრდება, დღეს ქართველების აბსოლუტური უმეტესობა ამ ენას არ ფლობს იმდენად, რომ ინგლისური ტექსტის კითხვისას თუ მოსმენისას სემანტიკურთან ერთად ესთეტიკური ინფორმაციაც აღიქვას, ანუ ინგლისურენოვანი მწერლის ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებს ეზიაროს. შესაბამისად, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ინგლისურმა რუსული მხოლოდ ელემენტარულ, მე ვიტყოდი, პრაქტიკულ-გამოყენებით დონეზე ჩაანაცვლა. ამ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქართულ საზოგადოებას მიეცეს საშუალება მშობლიურ ენაზე ეზიაროს იმ ინფორმაციას, რომელიც მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია და რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი მოქალაქეების როგორც პოფესიული, ასევე კულტურული დონე. სახელმწიფო ზრუნვაა საჭირო იმისთვის, რომ ქართულმა ენამ არ დაკარგოს ქვეყნის ძირითადი ენის ფუნქცია. თუკი ერთ დღეს აღმოვაჩენთ, რომ ჩვენს მშობლურ ენაზე ვერ ვეზიარებით მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას, დაგვეკარგება ინტერესი ჩვენივე მშობლიური ენის მიმართ, რაც კატასტროფა იქნება ქართული ენისთვის. **ამ ვითარებაში ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ენის ფუნქციის სრულფასოვნად შენარჩუნებაზე. ეს კი მანამდე ვერ მოხერხდება, სანამ ამაზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ იქნება აყვანილი.**

**— დღეს ინგლისური თუ არ იცი, სამსახურის შოვნა დიდი პრობლემაა. ადრე თუ იყო ასე?**

— პრივილეგია მაშინაც იყო რუსულის კარგი ცოდნა. საბჭოთა კავშირის დროს სხვადასხვა დონის პარტიულ ფორუმებზე მოხსენებები საბჭოთა საქართველოში რუსულ ენაზე იკითხებოდა. მაგრამ მაშინ ყოველთვის გვქონდა გრძნობა, რომ ამას გვაიძულებდნენ. დღეს აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. De jure არაფერი ემუქრება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსს. მაგრამ, სამწუხაროდ, მშობლიური ენის სათანადოდ მცოდნეთა რიცხვი არამცთუ მატულობს, არამედ, არც თუ იშვიათად, კლებულობს კიდეც, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ არამარტო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, არამედ სტუდენტებთან, ჟურნალისტებთან, ხელოვანებთან შეხვედრებისას, ჩვენი პრესის კითხვისას, თუ რადიო და ტელეგადაცემების მოსმენისას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ჩვენი იდენტობის ძირითადი ნიშანი, რას ნიშნავს მშობლიურ ენაზე გამართულად აზროვნება, მეტყველება და წერა პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, თუნდაც ინგლისური თუ სხვა უცხო ენების შესწავლისათვის. ინგლისურის აღზევება ქართულის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ერისთვის დამღუპველია. **მართალია, დღეს ინგლისური ძირითადი საერთაშორისო ენაა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რა იქნება ნახევარი ან ერთი საუკუნის შემდეგ. გამორიცხული არაა მისი ადგილი ჩინურმა ან რომელიმე სხვა აზიურმა ენამ დაიკავოს. ამიტომ მოვუაროთ ქართულ ენას, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე მრავალი საერთაშორისო ენის კონკურენციას გაუძლო და დღემდე ქართველობის ძირითად ბურჯს წარმოადგენს.**

**— დღეს ახალგაზრდების ყოველდღიურ მეტყველებაში, სატელევიზიო გადაცემებში ბევრი ინგლისური სიტყვა დამკვიდრდა (party, Event, weekend და ა.შ.), რომელთა შესატყვისიც ქართულ ენაში, რა თქმა უნდა, გვაქვს. რა შეხედულება გაქვთ ამასთან დაკავშირებით და, თქვენი აზრით, რატომ გახდა ეს ასე მოდური?**

— **ენამ ყოველთვის შეიძლება გაუხსნას კარი საერთაშორისო ტერმინებს, მაგრამ მაშინ, როდესაც გაქვს მათი შესანიშნავი შესატყვისი, შენ კი მაინც თავი მოგაქვს იმით, რომ იყენებ ინგლისურ ტერმინებს, ეს საკუთარი ენის უპატივცემულობაა.** ყოველდღიურ ურთიერთობაში რაც უფრო გამართულად ვილაპარაკებთ ქართულად და რაც უფრო ნაკლებად ვიკეკლუცებთ უცხო სიტყვებითა და გამოთქმებით, უკეთესი იქნება. დარწმუნებული ვარ, ვინც უცხო ტერმინებით სისტემატურ ჟონგლიორობას მისდევს, სრულყოფილად არცერთ უცხო ენას არ ფლობს.

**— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართულ ენას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს?**

— ეს პრობლემა „ჯადოსნური ჯოხის“ დაქნევით ვერ მოგვარდება. ამას სჭირდება ხანგრძლივი და მიზანმიმართული შრომა. უპირველესად, ეს უნდა ეყრდნობოდეს საზოგადოების დიდ ნებასა და შინაგან მოთხოვნას. საკითხი ვერ მოგვარდება მანამ, სანამ მთელი საზოგადოება და არა მხოლოდ მისი რამდენიმე წარმომადგენელი არ გააცნობიერებს, რომ ქართულ ენას საფრთხე ემუქრება. უნდა აშკარად განცხადდეს, რომ საზოგადოებას ნამდვილად აწუხებს მშობლიური ენის ბედი, რადგან იგი სახელმწიფო დონეზე ითხოვს გლობალური გამოწვევებისგან ქართული ენის დასაცავად სერიოზული ნაბიჯების გადადგმას.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## ახალი შვედური ფული

**შვედეთის ბანკის გენერალურმა საბჭომ გადაწყვიტა, უკვდავყოს მეოცე საუკუნის ცნობილი შვედების სახელები.** ამ მიზნით ახალ ბანკნოტებზე რეჟისორ ინგმარ ბერგმანის (200-კრონიანზე), მწერალ ასტრიდ ლინდგრენის (20-კრონიანზე) პორტრეტებს დაბეჭდავენ. იგეგმება ცნობილი შვედი მუსიკოსის — ევერტ ტაუბესა და გაეროს ყოფილი მდივნისა და ნობელის პრემიის ლაურეატის — დაგ ჰამარშელდის გამოსახულებების დაბეჭდვაც. ახალი კუპიურების გამოშვება 2014 წლიდან დაიწყება.



## კადიროვი მრავალცოლიანობის მომხრეა

**„მრავალცოლიანობა ოჯახის ინსტიტუტის უფრო მეტად პატიოსანი და ჯანსაღი ფორმაა, ვიდრე სასიყვარულო სამკუთხედი“, — ამტკიცებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური რამზან კადიროვი.** „მრავალცოლიანობის მომხრე ვარ, იმიტომ, რომ ეს იმაზე უკეთესია, ვიდრე ოჯახი მიატოვო და საყვარელი გაიჩინო. მამაკაცისთვის მრავალცოლიანობა უფრო სწორია, ვიდრე ცოლის დამცირება და მისი საყვარელზე გაცვლა. მრავალცოლიანობა სჯობს იმას, რომ საყვარელს ათასნაირი ძვირფასეულობა უყიდო, ცოლი კი შვილებთან ერთად გაჭირვებაში ამყოფო“, — განაცხადა მან.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ჯუმბერ პატიაშვილი:**
„წესრიგის დასამყარებლად ღონისძიებების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ მივაყენოთ ფიზიკური ტკივილი“.

ქვეყნდება პირველად

# საქართველოს სსრ თავდაცვის საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის დახურული სხდომის საიდუმლო ოქმი

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის 22-ე წლისთავზე „საქართველო და მსოფლიო“ პირველად აქვეყნებს საქართველოს სსრ თავდაცვის საბჭოს ოქმს გრიფით „საიდუმლო“. სხდომა 8 აპრილს გაიმართა, ჟამტეხილის დროს, როცა რესპუბლიკაში, საბჭოს წევრების შეფასებით, ჩამოყალიბდა უკიდურესად მწვავე, კატასტროფის მიჯნაზე მდგარი პოლიტიკური სიტუაცია. ოქმის მშრალ სტრიქონებშიც იგრძნობა ის ნერვიული მუხტი და დაძაბულობა, რამაც ადამიანები კალაპოტიდან ამოაგდო.

ასეთ ვითარებაში ადამიანები მაქსიმალურად გულწრფელები არიან, დიპლომატიური ეკივოკებისთვის (ფრანგული equivoque — ორაზროვნება) ვერ იცლიან და სათქმელს პირდაპირ ამბობენ. ამიტომ უთუოდ შეგვიძლია ვენდოთ ოქმის უტყუარობას.

დანის პირზე გავიარეთ — საკმარისი იყო ნაციონალისტური განწყობილებების ნებაზე მიშვება, რომ სუმგაითის ჟლეტა მოგონილი იქნებოდა.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 9 აპრილს, გამთენიისას, დარბევის ოპერაციის დაწყების წინ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები შეგნებულად მოაცილეს მოსალოდნელი ტრაგედიის ადგილს. ააცილეს პასუხისმგებლობა, რომელიც შემდეგ მთლიანად დააკისრეს არმიას.

რატომ დასჭირდათ ქვეყნის ერთ-ერთი ბურჯის — შეიარაღებული ძალების დისკრედიტაცია? კი არ დასჭირდათ, არამედ სწორედ ამ აქტში აისახა ის დაპირისპირება, რომელიც მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელობაში არსებობდა.

ბრალდების ყველა ჯოხი ადგილობრივ ხელისუფლებაზე გადატეხეს, რომელსაც, როგორც ოქმიდან (და არმიის გენერალ ფილიპ ბობკოვის მოგონებიდან, რომლიდან ნაწყვეტსაც დღეს ვაქვეყნებთ) ჩანს, ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს კი აცნობებენ, მაგრამ მის მიღება-არმიღებას არ ეკითხებიან. ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მოითხოვს: „წესრიგის დასამყარებლად ღონისძიებების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ მივაყენოთ ფიზიკური ტკივილი“.

სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი კოჩეტოვი არწმუნებს, რომ „სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცძალები... კარგად არიან მომზადებული და შეძლებენ წესრიგის დამყარებას“ ისე, რომ არავის კოპიც არ დააჯდებაო.

შედეგი — ცნობილია.

თანმდევ აზრებს შორის ერთი განსაკუთრებით შემაშფოთებელია: ხომ არ იყო 9 აპრილი კარგად გათვლილი და ორგანიზებული „სუვერენიტეტების აღლუმის“ ერთ-ერთი ეტაპი, რგოლი? ხომ არ გამოიყენეს ეროვნული მოძრაობა (ამ უკანასკნელის უნებურად) სახელმწიფო გადატრიალების დასაჩქარებლად, რასაც „გლობალური მოვლენა“ — საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა?

მხოლოდ შეკითხვა, სხვა არაფერი!

Секретно
экз.№1

Протокол

Заседачия Совета Обороны ГССР от 8-го апреля 1989 г.

საიდუმლო
ეგზ. №1

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს 1989 წ. 8 აპრილის სხდომის
ო ქ მ ი

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს წევრები
1989 წ. 8 აპრილის მდგომარეობით:

1. ჯ. ი. პატიაშვილი — საქ. კპ ცკ პირველი მდივანი
2. ბ. ვ. ნიკოლსკი — საქ. კპ ცკ მეორე მდივანი
3. ო. ე. ჩერქეზია — საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
4. ზ. ა. ჩხეიძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
5. გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
6. შარაშენიძე — საქ. სსრ სამხედრო კომისარი.

უშიშროების საბჭოს მდივანი —
პ. ი. გიორგაძე, საქ. კპ ცკ
პირველი მდივნის თანაშემწე

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**თავდაცვის საბჭოს წევრები: ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე**
**საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს მდივანი პ. ი. გიორგაძე.**
**სხვები: კ. ა. კოჩეტოვი — არმიის გენერალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე**
**ი. ნ. როდიონოვი — გენერალ-პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი**
**ა. ნ. ნოვიკოვი — გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი**
**შ. ვ. გორგოძე — საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი**
**ა. გ. კარანაძე — საქ. სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე**
**ვ. ა. შარაშენიძე — საქ. სსრ იუსტიციის მინისტრი**
**ნ. ხ. შოშიაშვილი — საქ. სსრ პროკურორის პირველი მოადგილე**
**სხდომას არ ესწრებოდა თავდაცვის საბჭოს წევრი ლ. ლ. შარაშენიძე — საქ. სსრ სამხედრო კომისარი — საპატიო მიზეზით (იმყოფებოდა გარდაცვლილი გენერლის — აბრამიძის დაკრძალვაზე).**

**დღის წესრიგი:**
**პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში და მისი ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესახებ**
**თავმჯდომარეობდა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი**

სხდომის მონაწილენი თავისუფალ, სამუშაო გარემოში რამდენიმეჯერ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, აფასებდნენ რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, მდგომარეობიდან გამომდინარე აკეთებდნენ დასკვნებს და აყენებდნენ წინადადებებს კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

თავდაცვის საბჭოს სხდომაზე თითოეული დამსწრის გამოსვლები შემდეგნაირად ჯამდება:

**ჯ. ი. პატიაშვილმა** — რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა დაახასიათა როგორც უკიდურესად გამწვავებული, რომელიც კატასტროფულის მიჯნაზეა.

არაფორმალური ორგანიზაციებისა და ჯგუფების ლიდერები აზრის პლურალიზმიდან მოქმედებაზე გადავიდნენ. მათ მოახერხეს, თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ აფხაზების წერილი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი, არასანქცირებულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში ჩაეთრიათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ტარდება მეცადინეობები სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქ. თბილისში პარალიზებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მუშაობა, ალყაშია მოქცეული მთავრობის სახლი, გამოდიან მთავრობის ფიზიკურად მოსპობის მუქარით, რადგან იგი არაკანონიერად და თვითმარქვიად მიაჩნიათ. ჩვენი მცდელობა არაფორმალების ლიდერებთან დიალოგის დაწყების შესახებ წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. გამოცხადდა, რომ შექმნილია რესპუბლიკის მართვის დროებითი კომიტეტი, რომელმაც უარი თქვა საქ. სსრ არსებულ ხელმძღვანელობასთან კონტაქტის დამყარებაზე. 14 აპრილი მათ გამოაცხადეს კომუნისტებთან ანგარიშსწორების დღედ. დღევანდელმა პარტაქტივმა დაგვანახა, რომ კომუნისტების დიდი უმრავლესობა აუცილებლად მიიჩნევს გადამწყვეტი ღონისძიებების განხორციელებას რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც მხარს უჭერს არაფორმალებს და დაინტერესებულია რესპუბლიკაში მდგომარეობის გამწვავებით. წესრიგის დასამყარებელი ღონისძიებების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ მივაყენოთ ფიზიკური ტკივილი.

**ნ. ა. კოჩეტოვი** — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა. განაცხადა, რომ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ექსტრემისტული ელემენტებისა და თავაშვებული პიროვნებების მიერ პროვოცირებული ამგვარი არეულობების აღკვეთა ყოველთვის ვერ ხერხდება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით, რადგან რესპუბლიკის მილიციას ეშინია და ყოველთვის არ სურს, გაბედულად იმოქმედოს წესრიგის დასამყარებლად. იგი დაარწმუნეს, განაცხადა მან, რომ სსრკ შს სამინისტროს სპეცძალები, რომლებიც უკვე იმყოფებიან თბილისში, კარგად არიან მომზადებული და შეძლებენ წესრიგის დამყარებას მოქალაქეთა დალურჯების გარეშე. დაადასტურა, რომ ღამით მთავრობის სახლის წინ ცოტა დემონსტრანტი რჩება და სწორედ ღამით შეიძლება მთავრობის სახლისა და ტელე-რადიოს დებლოკირება. მიზანშეწონილად არ მიაჩნია, განუცხადონ მოსახლეობას რესპუბლიკაში რაღაც საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ, რაც პანიკას დასთესს მოსახლეობაში. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ადგილზე, რადგან მოსკოვიდან ყველაფერი არ ჩანს. თანახმაა, რომ მიღებული ღონისძიებების შესახებ უნდა მოხსენდეს მოსკოვს.

## ნაწყვეტი საკავშირო სუკ-ის პოლიტიკური კონტრდაზვერვის ხელმძღვანელის ფილიპ ბობკოვის წიგნიდან

## «როგორ ამზადებდნენ მოღალატეებს. პოლიტიკური კონტრდაზვერვის უფროსი ადასტურებს...»

**ავიღოთ თბილისის მოვლენები... გამაოგნებელი იყო დასკვნები, რომლებსაც აბსოლუტურად გამოგონილ ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებდნენ. განგიმარტავთ ჩემს აზრს. თბილისის ტრაგედია რომ მოხდა, 16 ადამიანი დაიღუპა** (დავაზუსტოთ — დაიღუპა 19 ადამიანი. — რედ.). **იგი პროვოცირებული იყო არა იმ ადამიანების მიერ, ვისაც შემდგომ დააბრალეს, არამედ იმათ მიერ, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, პლიუს ის ძალები, ვისაც სურდა ცენტრთან პატიაშვილის დაჯახება.**

მათი ვერსიით, ადამიანები დაიღუპნენ იმის გამო, რომ ჯარისკაცებმა მესანგრის ნიჩბებით დაჩეხეს. ესაა ყველაფერი... შევარდნაძე იქ, კაცმა რომ თქვას, დიდი დაგვიანებით ჩაფრინდა და მან დაიწყო ამ აზრის დამკვიდრება — ნიჩბებით დაიღუპნენო. არადა, ნიჩბებისგან არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა, დაჭრილიც არავინ ყოფილა. ასფიქსიით დაიღუპა ყველა, სულის ხუთვით, ბრბოში ჭყლეტის გამო. როცა შევარდნაძე ამ ნიჩბების ვერსიით გამოვიდა, ვუთხარი, რომ იგი დიდად ცდებოდა. მან კი: **„როგორ თუ ვცდები? აი, ადამიანები ამბობენ“.** მე — მას: **„კეთილი, გაჩვენებთ კინოფილმს, რომელიც მოედანზე იმ ჭყლეტის დროსაა გადაღებული“. „რომელი კინოფილმი? ვინ მოგცათ გადაღების უფლება?“** ვუპასუხე, რომ ჩვენი მოვალეობაა ასეთი მოვლენების დოკუმენტირება, სხვაგვარად სალაპარაკოც არაფერი მექნებოდა. შევიყვანე ოთახში, სადაც დადგმული იყო აპარატურა, და ვაჩვენეთ ყველაფერი, რაც მოედანზე მოხდა. იქ ნიჩბებისგან არავითარი მსხვერპლი არ იყო.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ნიჩბების ვერსიას მხარი დაუჭირეს, მან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობამდე მიაღწია და დარჩა მხოლოდ გენერალი როდიონოვი, ვინც გაბედულად ამტკიცებდა, რომ ეს ასე არ არის. როცა სობჩაკის კომისიამ მუშაობა დაასრულა, დავურეკე და ვუთხარი, რომ მსურდა, ჩვენება მიმეცა კომისიისთვის. სობჩაკმა მიპასუხა: **„არა, ჩვენ დავასრულეთ მუშაობა. ყველაფერი გარკვეული გვაქვს“. „მესანგრის ნიჩბების საკითხი როგორაა?“** — შევეკითხე სობჩაკს. იგი აპილპილდა და მიპასუხა: **„რას ამბობთ? რომელი ნიჩბები?“** მაგრამ ერთი დღის შემდეგ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მათი გამოყენების შესახებ მთელი ხმით ალაპარაკდნენ — ეფუძნებოდნენ სობჩაკის კომისიის დასკვნებს. სობჩაკის პატივსაცემად, როგორც მაშინ თქვეს, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. ჭეშმარიტებას მხოლოდ გენერალი როდიონოვი იცავდა. **ასე მოახდინეს საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია იმ პირების თანდასწრებით, ვინც მაშინ ქვეყნის უმაღლეს ორგანოს — უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობდა...**

ხოლო ყველა ინფორმაციაზე დასავლეთის მოქმედების შესახებ, რომელიც უბიძგებდა დამანგრეველ პროცესს, ქვეყნისთვის დამღუპველ შიდა სირთულეებზე დაყრდნობით, გორბაჩოვს ერთი პასუხი ჰქონდა: **„სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ვითარების დრამატიზებას ახდენს“.**



**ფილიპ ბობკოვი, საკავშირო სუკ-ის პოლიტიკური კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი:**

**როცა სობჩაკის კომისიამ მუშაობა დაასრულა, დავურეკე და ვუთხარი, რომ მსურდა, ჩვენება მიმეცა კომისიისთვის. სობჩაკმა მიპასუხა: „არა, ჩვენ დავასრულეთ მუშაობა. ყველაფერი გარკვეული გვაქვს“. „მესანგრის ნიჩბების საკითხი როგორაა?“ — შევეკითხე სობჩაკს. იგი აპილპილდა და მიპასუხა: „რას ამბობთ? რომელი ნიჩბები?“ მაგრამ ერთი დღის შემდეგ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მათი გამოყენების შესახებ მთელი ხმით ალაპარაკდნენ — ეფუძნებოდნენ სობჩაკის კომისიის დასკვნებს.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ბ. ვ. ნიკოლსკი** — დაეთანხმა რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებას და დაუმატა, რომ მისაღებია სასწრაფო ღონისძიებები დემონსტრაციაზე ბავშვების, მოსწავლეების მისვლის აღსაკვეთად. დაუშვებლად მიაჩნია მოტყუებული მოსწავლეების დემონსტრაციაზე მისვლა ლოზუნგებით, რომლებიც ეროვნებათა შორის მტრობას აღვივებს. შეიტანა წინადადება, რომ მთელი სიმკაცრით მოეკითხოს სკკპ წევრ მასწავლებლებს, პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას იმის გამო, რომ ისინი არ განახორციელებენ ღონისძიებებს მოსწავლეთა დემონსტრაციაზე დაუშვებლობის მიზნით, იქ, სადაც ისმის ლოზუნგები კომუნისტებთან ანგარიშის გასწორების შესახებ. ხოლო სკკპ წევრებს, რომლებიც თვითონ მონაწილეობენ მიტინგებში და წინ მიუძღვებიან მთავრობის სასახლისკენ მიმავალ ბავშვთა კოლონას, მოეკითხოს პარტიული პასუხისმგებლობის კუთხით.

დაეთანხმა რესპუბლიკის პარტაქტივის მოთხოვნას წესრიგის დამყარების შესახებ და მოიწონა წარდგენილი ღონისძიებანი. წინადადება შეაქვს, გაიწმინდოს მოედანი მთავრობის სახლის წინ, დებლოკირება მოხდეს ტელე-რადიოს სახლის, აღდგეს ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა. მოედნის გაწმენდის აქტი განხორციელდეს ღამით, არაფორმალების ლიდერები დააპატიმრონ 10-დან 11 აპრილს და ხელი შეუშალონ მათ, რომ 14 აპრილს გაუსწორდნენ კომუნისტებს. ამ დროისთვის მიღებული იქნება კანონი, რომელიც მზადაა გამოსაქვეყნებლად. მოსკოვი გვირჩევს, ყველა გადაწყვეტილება შევუთანხმოთ ამხანაგებს (დაასახელა სკკპ ცკ პასუხისმგებელი მუშაკების გვარები). წინადადება წამოაყენა, საქალაქო და რაიონული კომიტეტების კომუნისტებისგან შეიქმნას 10-15-კაციანი ჯგუფები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამუშაოდ, რომლებიც არ დაუშვებენ მოსწავლეთა მონაწილეობას დემონსტრაციაში.

**ო. ე. ჩერქეზია** — მიაჩნია, რომ დემონსტრანტების ნაწილი ზღვარს გადავიდა და დაიწყო მოქმედება, რასაც უნდა ეწოდოს აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და ამიტომ — დაუშვებელი. არაფორმალების ლიდერები მოუწოდებენ, ფიზიკურად გაუსწორდნენ კომუნისტებს, მოითხოვენ სისხლის დაღვრას, რის გარეშეც, როგორც მათ მიაჩნიათ, მიზანს ვერ მიაღწევენ. აღვირახსნილი ლიდერები მოუწოდებენ დაუმორჩილებლობისკენ, საყოველთაო გაფიცვისკენ და ა.შ.

იმუქრებიან, რომ 14 აპრილს კომუნისტებს მოუწყობენ „ბართლომეს ღამეს“.

წინადადება შემოაქვს, შემოღებულ იქნას განსაკუთრებული მდგომარეობა, ღამის საათებში მოახდინონ მთავრობის სახლისა და ტელერადიოს დებლოკირება. ლიდერები დააპატიმრონ.

**ი. ნ. როდიონოვი** — განაცხადა, რომ მას, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, დაევალა წესრიგის აღდგენა და დაცვა რესპუბლიკაში, მათ შორის, — ქ. თბილისში. ამასთან დაკავშირებით, მის განკარგულებაში გადადის საქართველოს სსრ შს სამინისტროსა და ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ძალები და საშუალებანი, რომლებიც ვალდებული არიან, შეასრულონ სარდლის გადაწყვეტილებანი.

დაეთანხმა, რომ ობიექტები, რომლებიც დაბლოკილი აქვთ დემონსტრანტებს, დებლოკირებული იქნეს ღამის საათებში.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს დროს 3-დან 4 საათამდე, როცა ადგილზე დემონსტრანტების უმცირესი რაოდენობა იქნება დარჩენილი. დაპირდა, რომ მთავრობის სახლის წინ მოედნის გაწმენდისა და ტელე-რადიოს დებლოკირების დაწყების ზუსტ დროს დამატებით აცნობებს. სინანული გამოთქვა, რომ უარი თქვეს კომენდანტის საათის დღესვე გამოცხადებაზე. განაცხადა, რომ არმიის ძალები წესრიგის დასაცავად აქციის განსახორციელებლად მომზადებული არ არიან, მაგრამ იმედი აქვს სსრკ და საქ. სსრ სამინისტროების შსს ძალებისა, რომლებიც მის განკარგულებაშია გადასული.

**გ. გ. გუმბარიძე** — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა. დაამატა, რომ ავრცელებენ ხმებს, თითქოს 14 აპრილს არაფორმალები აპირებენ, გაუსწორდნენ კომუნისტებს, 26 მაისს კი მოაწყონ გრანდიოზული დემონსტრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. დაეთანხმა, რომ საჭიროა ღონისძიებების განხორციელება წესრიგის აღსადგენად. სამხედრო კოლონის გავლამ ქალაქ თბილისში თავაშვებულ ელემენტებზე სათანადო გავლენა მოახდინა.

**ზ. ა. ჩხეიძე** — ვითარება შეაფასა როგორც კრიტიკული, განაცხადა, რომ თუ არ იქნება მიღებული ღონისძიებანი, უპასუხისმგებლოთა მოქმედებამ შეიძლება ტრაგედიამდე მიგვიყვანოს. ჯ.ი. პატიაშვილს ურჩია, არ გამოვიდეს მომიტინგეთა წინაშე, ეს უშედეგო იქნება, მას არავინ მოუსმენს, ხოლო ამის შემდგომ მოედნის გასაწმენდად ძალის გამოყენება აღქმული იქნება, როგორც მთავრობისა და პირველი მდივნის მხრიდან შურისძიება. დაეთანხმა, რომ არაფორმალთა ლიდერები, რომელთაც დაუშვეს უკანონობა და არ სურთ მთავრობასთან კონტაქტი, დააპატიმრონ. განაცხადა, რომ საქ. სსრ მინისტრთა საბჭო დღესვე მიიღებს დადგენილებას რესპუბლიკაში წესრიგის დამყარების ღონისძიებათა მხარდაჭერის შესახებ.

**ა. ნ. ნოვიკოვი** — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა და მხარი დაუჭირა წესრიგის დამყარების წინადადებებს. გამოთქვა მოსაზრება, რომ, თუ არ არის საკმარისი მასალა არაფორმალების ლიდერების დასაპატიმრებლად, მაშინ საჭიროა მათი 2-3 დღით დაკავება და ამით მომიტინგეებზე გავლენის მოხდენა.

**შ. ვ. გორგოძე** — ეთანხმება რესპუბლიკაში პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებას. განაცხადა, რომ, თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ღონისძიებები წესრიგის დასამყარებლად, შემდეგ დაგვიანდება და მომავალში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ დაგვიანებას არ აპატიებენ. წამოაყენა წინადადება მომიტინგეთა ლიდერების დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. ყველასი თუ არა, მას სიაში 30 ასეთი ჰყავს ჩაწერილი, თუნდაც, — 9-10 ადამიანისა, ვისზეც შეგროვებულია სავსებით საკმარისი მასალები. თუ მომიტინგეებს უთავოდ არ დავტოვებთ, მაშინ ლიდერებს გადაწყვეტილი აქვთ, გამაგრდნენ ბარიკადებს მიღმა და განაგრძონ არეულობა.

**ნ. ვ. შოშიაშვილი** — განაცხადა, რომ ლიდერების დასაპატიმრებლად საკმარისი მასალაა შეგროვებული და გაკვირვება გამოთქვა მოსკოველი ხელმძღვანელი ამხანაგების მტკიცების გამო, თითქოს არაფორმალების დასაპატიმრებლად არ არსებობს საკმარისი მასალები.

**ა. გ. კარანაძე** — დაეთანხმა მდგომარეობის შეფასებას და მხარი დაუჭირა წინადადებას მთავრობის სახლის დემონსტრანტებისგან გაწმენდის შესახებ.

**ვ. ა. შარაშენიძე** — დაეთანხმა მდგომარეობის შეფასებას და მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომლებიც სხდომის მონაწილეებმა შეიტანეს.

**დაასკვნეს:**

1. რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც კატასტროფულის მიჯნაზეა. არაფორმალებმა და მათ თანამგრძნობთა ნაწილმა, თავიანთი ლიდერების ხელმძღვანელობით, სიცრუის, შანტაჟისა და დეზინფორმაციის გამოყენებით, შეცდომაში შეიყვანა ახალგაზრდობის ნაწილი, აგრეთვე, უფროსი ასაკის მოსახლეობა და რამდენიმე დღე ზედიზედ განაგრძობენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, მსვლელობებს, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგებით აღვივებენ ნაციონალისტურ ფსიქოზს. დეზორგანიზებულია სწავლება, მუშაობა, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების, ტრანსპორტისა და ზოგიერთი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება.

2. აუცილებელია სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება კანონის ფარგლებში და საბჭოთა კანონიერების დაცვით რესპუბლიკის ნორმალური ცხოვრებისა და საქმიანობის აღსადგენად.

### მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით:

ა) რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენა და დაცვა დაკისრებული აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას;

ბ) სამხედრო ოლქის, სსრკ, საქ. სსრ შს სამინისტროებისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების ჯარების ყველა ძალა და შესაძლებლობა, რომლებიც გამოყოფილია რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენისა და დაცვისთვის, დაექვემდებარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს და იგი მათ გამოიყენებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული თავისი გადაწყვეტილებით.

2. 8-დან 9 აპრილის ღამეს ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სსრკ და საქ. სსრ შს სამინისტროების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პარტიული და საბჭოთა აქტივის ძალებითა და საშუალებებით მიღებულ იქნას ღონისძიებანი მიტინგების, დემონსტრაციების, მოხულიგნო და უპასუხისმგებლო ელემენტების თავაშვებულობის წინააღმდეგ.

3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და საქ. სსრ შს სამინისტროს ძალებით უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლებისა და მართვის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების, ფოსტის, ტელევიზიისა და რადიოს დაცვა.

4. მოეწყოს პატრულირება ქალაქებში და უზრუნველყოფილ იქნას საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირება.

5. შეიქმნას 10-15-კაციანი ჯგუფები ქალაქკომების, რაიკომების კომუნისტების შემადგენლობით სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ უწესრიგობისა და ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების აღსაკვეთად.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მომიტინგეთა წინაშე დღესვე ყველაზე უფრო ავტორიტეტულ პიროვნებათა გამოსვლები, შექმნილი ვითარების განმარტების მიზნით და გასაფრთხილებლად, თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ კანონისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

7. დაწესდეს კონტროლი თბილისისა და სხვა ქალაქების შესასვლელებზე, არაფორმალების მოხულიგნო ჯგუფების გადაადგილების აღკვეთის მიზნით.

8. გაიწმინდოს მოედანი მთავრობის სახლის წინ და ამით აღდგეს რესპუბლიკის მთავრობის ნორმალური ფუნქციონირება. იმის გათვალისწინებით, რომ ღამის საათებში მთავრობის სახლის წინა მოედანზე მომიტინგეთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა იკრიბება, მოედნის გაწმენდა და მისი დაცვა განხორციელდეს 9-დან 10 აპრილამდე. ოპერაციის განხორციელების კონკრეტულ დროს ადგენს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი და ამის შესახებ აცნობებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დღესვე მოამზადოს და გამოსცეს შესაბამისი დადგენილება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და სხვა ძალების რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად მოქმედების სამართლებრივი საფუძველი.

**ო. ე. ჩერქეზია –**

**წინადადება შემოაქვს, შემოღებულ იქნას განსაკუთრებული მდგომარეობა, ღამის საათებში მოახდინონ მთავრობის სახლისა და ტელე-რადიოს დებლოკირება. ლიდერები დააპატიმრონ.**

**გ. გ. გუმბარიძე –**

**დაამატა, რომ ავრცელებენ ხმებს, თითქოს 14 აპრილს არაფორმალები აპირებენ, გაუსწორდნენ კომუნისტებს.**

**ზ. ა. ჩხეიძე –**

**ჯ.ი. პატიაშვილს ურჩია, არ გამოვიდეს მომიტინგეთა წინაშე, ეს უშედეგო იქნება, მას არავინ მოუსმენს, ხოლო ამის შემდგომ მოედნის გასაწმენდად ძალის გამოყენება აღქმული იქნება, როგორც მთავრობისა და პირველი მდივნის მხრიდან შურისძიება.**

**შ. ვ. გორგოძე –**

**განაცხადა, რომ, თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ღონისძიებები წესრიგის დასამყარებლად, შემდეგ დაგვიანდება და მომავალში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ დაგვიანებას არ აპატიებენ. წამოაყენა წინადადება მომიტინგეთა ლიდერების დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. ყველასი თუ არა, მას სიაში 30 ასეთი ჰყავს ჩაწერილი, თუნდაც, — 9-10 ადამიანისა.**



ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ნაპოლეონ ქარქაშაძე:**
**მეორე თუ მესამე სართულზე (კარგად არ მახსოვს), მართლაც დავინახეთ ლუქდადებული კარი, რომლის მარჯვენა მხარეს აბრა იყო დამაგრებული „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“. უნებლიეთ მოვკიდე სახელურს ხელი და ჩემკენ მოვწიე. ჭრუანტელმა დამიარა. ეს ხომ იმ ქართველის კაბინეტია, რომელიც აქედან 30 წლის განმავლობაში მართავდა არა მარტო უზარმაზარ საბჭოთა იმპერიას, არამედ ნახევარ მსოფლიოს!.. ვერ გეტყვით, ჩემს კოლეგებს რა ემოციები ჰქონდათ, მაგრამ მე წელში გავიმართე და თავი უფრო ამაყად ვიგრძენი.**

# გენადი იანაევს გულწრფელად არ სურდა, საქართველო სსრ კავშირის ნანგრევებში პირველი მოქცეულიყო

## რაზე ესაუბრა ვიცე-პრეზიდენტი სამ ქართველს ლავრენტი ბერიას კაბინეტში

დასასრული. დასაწყისი იხ. №12

**მაშ ასე, როგორც კრემლის კანცელარიიდან გვაცნობეს, მიხეილ გორბაჩოვის ნაცვლად, სსრ კავშირის ვიცეპრეზიდენტი გენადი იანაევი მიგვიღებდა. ჩვენთვის გამოგზავნილმა სამთავრობო „ზილმა“ კრემლში დათქმულ დროზე 15 წუთით ადრე მიგვიყვანა. ღამე იყო, მაგრამ შენობა, რომლის სადარბაზოსთანაც მანქანა გაჩერდა, კარგად იყო განათებული — ყვითლად შეღებილი, უსახური სამსართულიანი ნაგებობა ვიწრო ფანჯრებითა და სადარბაზოს შესამჩნევად გაცვეთილი გრანიტის საფეხურებით.**



„ნუთუ ამ უსახური შენობიდან იმართება უზარმაზარი ქვეყანა და არა მარტო იგი?!“ — გამიელვა თავში. ვიწრო სადარბაზოდან შენობაში შესულებს სრულიად განსხვავებული სურათი დაგვხვდა. თეთრი მარმარილოს კიბეზე ხასხასა წითელი ნოხები ეფინა. ოფიცრები მხედრული წესით მოგვესალმნენ, პირადობის დოკუმენტიც კი არ მოუკითხავთ, ისე გვითხრეს, „გელოდებიანო“ და პოდპოლკოვნიკის ჩინიანი ოფიცერი თავაზიანად წინ გაგვიძღვა.

— ამ შენობაში მხოლოდ გორბაჩოვისა და იანაევის კაბინეტები და პოლიტბიუროსა და მთავრობის სხდომების დარბაზებია, — გვითხრა ნოდარ მეძმარიაშვილმა, მერე რატომღაც ხმადაბლა გვაცნობა, ამავე შენობაშია ლენინისა და სტალინის კაბინეტებიო.

— სტალინის კაბინეტს ჩავუვლით? — ხმადაბლა ვკითხე.

— მგონი, კი...

**მეორე თუ მესამე სართულზე (კარგად არ მახსოვს), მართლაც დავინახეთ ლუქდადებული კარი, რომლის მარჯვენა მხარეს აბრა იყო დამაგრებული „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“. უნებლიეთ მოვკიდე სახელურს ხელი და ჩემკენ მოვწიე. ჭრუანტელმა დამიარა. ეს ხომ იმ ქართველის კაბინეტია, რომელიც 30 წლის განმავლობაში აქედან მართავდა არა მარტო უზარმაზარ საბჭოთა იმპერიას, არამედ ნახევარ მსოფლიოს!.. ვერ გეტყვით, ჩემს კოლეგებს რა ემოციები ჰქონდათ, მაგრამ მე წელში გავიმართე და თავი უფრო ამაყად ვიგრძენი.**

ვიცეპრეზიდენტის მისაღები სადა და გემოვნებით გაწყობილი საკმაოდ დიდი ოთახი აღმოჩნდა. ახალგაზრდა კაცი, რომელიც შეგვეგება და მოგვესალმა, იანაევის თანაშემწედ გაგვეცნო.

— გენადი ივანეს ძე გელოდებათ, — გვითხრა მან და დიდი მუხის კარისკენ წაგვიძღვა.

გაჩახჩახებულ კაბინეტში პირველად თვალში დიდი კედლის საათი მომხვდა, რომლის ისრებიც ღამის 10 საათს აჩვენებდა. სათათბირო მაგიდის სიახლოვეს მომღიმარი, საშუალო ასაკის, ტიპური რუსული გარეგნობის, გემოვნებით ჩაცმული კაცი ხელის ჩამორთმევით მოგვესალმა და მოგვიბოდიშა შეხვედრის გვიან დანიშვნისთვის.

— როგორც გავიგე, თქვენ შორის ნაპოლეონიც ყოფილა, — ხუმრობით თქვა მან და რატომღაც ომანიძეს მიაჩერდა, რომელიც რაღაცით მართლაც წააგავდა ბონაპარტეს.

— პროფესორი ნაპოლეონ ქარქაშაძე აგერ, ჩემ გვერდით დგას, აგრარული უნივერსიტეტის რექტორია, — მიუგო ომანიძემ და ჩემზე ანიშნა.

— ოო... მაპატიეთ, როგორც ჩანს, ინტუიციამ მიღალატა, — თქვა ვიცეპრეზიდენტმა და უალკოჰოლო სასმელებით გაწყობილ მაგიდასთან მიგვიწვია და თანაშემწესთან ერთად, მოპირდაპირე მხარეს დაგვიჯდა.

თვალი შევავლე იანაევის კაბინეტს. მომეჩვენა, რომ საკმაოდ დიდ ოთახში მოძველებული ავეჯი იდგა. ცისფრად შეღებილ კედლებზე მუქ ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული მარქსის, ენგელსისა და ლენინის სურათები ეკიდა. დიდი კედლის შუაგულში — ასევე ჩარჩოში ჩასმული სსრ კავშირის რუკა, ხოლო სამუშაო მაგიდის უკანა კედელზე ქვეყნის გერბი ეკიდა.

მურმან ომანიძემ დემონსტრაციულად შეათვალიერა კაბინეტი და მასპინძელს სარკაზმული ღიმილით ჰკითხა: — გენადი ივანოვიჩ, თუ იცით, სტალინის დროს ამ კაბინეტში ვინ იჯდა?

კითხვა, ჩვენთვისაც და იანაევისთვისაც ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ამ უკანასკნელმა წარბები აძგიდა და საკუთარ კაბინეტს თვალი მოავლო.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, მგონი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, — თქვა და რატომღაც უხერხულად შეიშმუშნა.

— ცდებით, ამ კაბინეტში ლავრენტი პავლოვიჩი იჯდა, ბერია, — დამაჯერებელი ტონით უთხრა ომანიძემ და სკამზე მედიდურად გადაწვა.

— ეს, მგონი, შაყირობს, — წამჩურჩულა ზუხბაიამ.

— შეიძლება, შეიძლება. მე, უბრალოდ, არ დავინტერესებულვარ, — თითქოს თავი იმართლა მასპინძელმა და ჭიქაში „ბორჯომი“ დაისხა.

— მიუხედავად ბერიას ქართველობისა, ჩვენ ვთვლით, რომ ამ კაბინეტიდან მისი სულისკვეთება განდევნილია, — დააგვირგვინა ომანიძემ და ჩვენ გადმოგვხედა.

**გენადი იანაევი:**
**გარდა ამისა, აქვე აყენებთ სამხრეთ ოსეთის პრობლემას და პრეტენზიებს გვიყენებთ. რატომ მაშინ არ მოგვეთათბირეთ, როდესაც იქ შეიარაღებული ხალხი შეგყავდათ? ოსებმა წინააღმდეგობა გაგიწიეს, რაც ბუნებრივი რეაქციაა, ახლა კი ჩვენ გვთხოვთ მათ განიარაღებას, განა ეს ლოგიკურია?**

— ჰო, შეიძლება ასეც იყოს, — დაბნეულად დაემოწმა იანაევი.

კაბინეტში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩვენ უნდა შევხვედროდით ამხანაგ გორბაჩოვს, როგორც გვითხრეს, მან ჩვენთვის ვერ მოიცალა, პრეტენზიული ტონით დაიწყო საუბარი ომანიძემ და იანაევს წერილების ასლები გადასცა.

— მიხეილ სერგეევიჩი დილით იაპონიაში მიემგზავრება სახელმწიფო ვიზიტით. რაც შეეხება წერილებს, მე მათ შინაარსს ვიცნობ. პირდაპირ გეტყვით, რომ წერილები ულტიმატუმს უფრო წააგავს, ისინი მკაცრი და შეურიგებელი ტონითაა დაწერილი. გასაგებია, რომ თქვენ ხვალ დამოუკიდებლობას აცხადებთ და ექსცესებისგან თავის დაზღვევას ცდილობთ, თუ რაიმე მოხდა, პასუხისმგებლობას მთლიანად საკავშირო მთავრობას აკისრებთ, თქვენს ვალდებულებებზე კი არაფერს ამბობთ. ეს საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომაა. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ არეულობასა და ექსცესებს თქვენ არ მოაწყობთ?

— ჩვენ რატომ უნდა გვაწყობდეს არეულობა?! — იკითხა ომანიძემ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ შორის ამის მსურველები არ აღმოჩნდებიან? ვინ იძლევა ამის გარანტიას?

— ჩვენ, ჩვენ ვიძლევით, — თქვა ომანიძემ და ხელით ჩვენკენ ანიშნა.

— ეს მხოლოდ სიტყვებია, მეგობარო, სიტყვები. **გარდა ამისა, აქვე აყენებთ სამხრეთ ოსეთის პრობლემას და პრეტენზიებს გვიყენებთ. რატომ მაშინ არ მოგვეთათბირეთ, როდესაც იქ შეიარაღებული ხალხი შეგყავდათ? ოსებმა წინააღმდეგობა გაგიწიეს, რაც ბუნებრივი რეაქციაა, ახლა კი ჩვენ გვთხოვთ მათ განიარაღებას. განა ეს ლოგიკურია?**

რატომღაც დაივიწყეთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ერთიან სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ამიტომ ცენტრალური ხელისუფლება, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, იძულებული გახდა იქ შეეყვანა შინაგანი ჯარები და ეს სავსებით ლეგიტიმური და სწორი გადაწყვეტილება იყო. მაშინ თქვენ მხარეს ეს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. ახლა კი ითხოვთ შინაგანი ჯარების უკან გაწვევას. გაქვთ კი იმის გარანტია, რომ იქ ისევ არ დაიწყება შეიარაღებული შეტაკებები?

იანაევი არა მარტო კატეგორიული, ლოგიკურიც იყო. მივხვდით, რომ, რასაც ამბობდა გორბაჩოვთან, ალბათ, სხვებთანაც შეჯერებული იყო. საკითხისადმი ასეთნაირად მიდგომამ ჩვენც მკაცრი საუბრისკენ გვიბიძგა.

— ჩვენ ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქი გავაუქმეთ, რომელიც მუდმივი დაძაბულობის კე- ▶

**— ჩვენ რატომ უნდა გვაწყობდეს არეულობა?!**
**— თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ შორის ამის მსურველები არ აღმოჩნდებიან? ვინ იძლევა ამის გარანტიას?**

მოკლედ

## კადაფის ცოცხალი ფარი



**ლიბიის სამხედრო ოპერაციაში ნატოს ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა შარლი ბუშარმა განაცხადა, რომ ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის ერთგული მებრძოლები მშვიდობიან მოქალაქეებს ცოცხალ ფარად იყენებენ.** „ჩვენ ვნახეთ საშინელი სურათი, თუ როგორ ხდება კადაფის რეჟიმის მებრძოლების მიერ არტილერიული სისტემების ახლოს უბრალო მოქალაქეების განთავსება, როგორც საკუთარ სახლებთან, ასევე საკულტო ნაგებობებთან. ასეთი ქმედებები საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს და ეს დაუსჯელი არ დარჩება“, — აღნიშნა ნატოს გენერალმა.

## რუსეთის მონაწილეობა გამორიცხულია

**„ლიბიის ოპერაციაში მოსკოვის ჩართვაზე საუბარიც არ შეიძლება. პირადად მე ეს თემა არ წამომიწევია.** მოსკოვი ლიბიაში მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენართან დაკავშირებული ჩვენი შეხედულებებით დაინტერესდა. რუსებს რამდენიმე საკითხი აშფოთებთ, მაგალითად, რა აკავშირებს ოპოზიციას ალ ქაიდასთან, ძალაუფლების შენარჩუნების ან თანამდებობიდან წასვლის რა გეგმები აქვს მუამარ კადაფის. სცენარები და შეკითხვები საკმაოდ ბევრია“, — განაცხადა ვაშინგტონში აშშ-ის კონგრესისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა.

— ჩვენ რომ ჯარები გავიყვანოთ, თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას, რომ იქ სისხლი არ დაიღვრება?

— რასაკვირველია! ხვალიდან საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, თავად იზრუნებს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე. ეს დამოუკიდებლობის დეკლარაციაშიც არის დაფიქსირებული, — განაცხადა ომანიძემ.

— არა მგონია, თქვენ ეს შეძლოთ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა იანაევმა.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ რა იყო. სამხრეთ ოსეთში 80 ათასი კაცი ცხოვრობს, ამათგან 60 პროცენტზე მეტი ქართველია. ჩვენი რესპუბლიკა ისედაც პატარაა, რა საჭირო იყო იქ სამი ავტონომიური წარმონაქმნი? ალბათ, იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში გქონოდათ დაძაბულობის კერები, — უკმაყოფილო გამომეტყველებით თქვა ომანიძემ.

— საინტერესო ლოგიკაა. მინდა, ვიკითხო: იცნობთ კი თქვენს საარქივო მასალებს, იმ პერიოდის დოკუმენტაციას?! ავტონომიური რესპუბლიკების შექმნას, მხედველობაში მაქვს აფხაზეთი და აჭარა, სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, მე მგონი, ეს სადავო არაა... **ყარსის ხელშეკრულებით, 1930 წლამდე აფხაზეთს ჰქონდა სახელმწიფოებრივი სტატუსი. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, იგი საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნით დადგინდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც სტალინი იწონებდა ამ იდეას, მან რამდენიმეჯერ უარი გითხრათ, თუმცა ბოლოს ისიც დაითანხმეთ...**

— საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა კრემლის დავალებას ასრულებდა, თქვენ კარგად იცით, თუ როგორ კეთდება ეს, — უპასუხა მურმანმა.

— სამწუხაროა, რომ თქვენ არ იცნობთ მაშინდელ მიმოწერას... როგორ შეეძლო კრემლს, ქართველებისათვის რაიმე დაეძალებინა, აქ ხომ ქართველი იჯდა!..

— მურმან, შევეშვათ ისტორიას, — გადავულაპარაკე ომანიძეს, რომელიც თავადვე მიხვდა, რომ წარსულში ქექვა ჩვენთვის მომგებიანი არ იყო.

— ჩვენ აქ ისტორიის გასარკვევად არ ჩამოვსულვართ. რაც იყო, ეს კომუნისტური ისტორიაა. საქართველოს ხელისუფლებას კომუნისტები უკვე ჩამოვაშორეთ, ახლა ვცდილობთ მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ეს ისე, ინფორმაციისთვის. ახლა უნდა გკითხოთ: საიდან აქვთ ოს სეპარატისტებს თანამედროვე იარაღი, მათ შორის, რაკეტები, რომლებსაც ქართულ სოფლებს უშენენ?!

— იქნებ, იმითაც დაინტერესდეთ, ქართველებმა სად იშოვეს თანამედროვე იარაღი? ტყვია-წამალი? ჩვენ თქვენთვის არ მოგვიცია... ალბათ, ასეთივე ხერხით იშოვეს ოსებმაც. სხვათა შორის, ჩვენ არც ჩრდილოეთ ოსეთისთვის გვითქვამს, რომ კონფლიქტში ჩარეულიყო, არც სხვებისთვის... ხედავთ, ალბათ, რომ ქვეყანა აირია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება, — იანაევის ხმაში კატეგორიულობა იგრძნობოდა.

— რა გაქვთ მხედველობაში? — თითქმის ერთად წარმოვთქვით ჩვენ.

— ის, რომ ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს, პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას, კანონებს, — აშკარად ჩანდა, რომ მან ნათქვამის შერბილება სცადა.

— რატომ დგას ოსეთში შინაგანი ჯარი? — იკითხა ზუხბაიამ, — ჩვენ მისი შემოყვანა არ გვითხოვია.

იანაევმა მხრები აიჩეჩა...

— თქვენ ჯერ კიდევ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში ხართ, შინაგანი ჯარის ფუნქცია სახელმწიფოში წესრიგის დამყარებაა, რომელიც თქვენთან დაირღვა.

სიტუაცია ჩიხში შედიოდა, საჭირო იყო უფრო სერიოზული არგუმენტები.

— გენადი ივანოვიჩ, თქვენ იურისტი ბრძანდებით. მინდა გკითხოთ: სსრ კავშირის კონსტიტუციით, არის თუ არა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო სუბიექტი, რომელიც თავის დროზე, ჩავთვალოთ, რომ ნებაყოფლობით გაერთიანდა კავშირში?

იანაევმა ხელები გაშალა და თქვა, რომ ეს სადავო არაა.

— ცნობთ თუ არა თქვენ საქართველოსთვის დაფიქსირებულ საზღვრებს, რომლებიც ამ რუკაზეა დაფიქსირებული? — ვთქვი და კედელზე გაკრულ რუკაზე მივუთითე.

— მეგობრებო, რესპუბლიკების საზღვრები ხომ პირობითია... როგორ ფიქრობთ, ყაზახეთის ჩრდილოეთის საზღვარი მართლაც იქ გადის, როგორც რუკაზეა აღნიშნული?!

— ყაზახეთი თვითონ მიხედავს თავის თავს, თუ ამისი სურვილი ექნება. ჩვენ საქართველოსი გვაინტერესებს. ცნობთ თუ არა თქვენ საქართველოს ტერიტორიად იმას, რაც ამ რუკაზეა აღნიშნული? — არ ვცხრებოდი მე.

— მე მგონი, ეს სადავოდ არავის გაუხდია.

— მაშინ მოგვეცით საშუალება, ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე მოვიქცეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვლით. საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სსრ კავშირის კონსტიტუციით, ჩვენ ამის უფლება გვაქვს, თქვენ კი იქ ჯარები შემოიყვანეთ და, ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მოახდინეთ, — ომანიძემ მოწონების ნიშნად ფეხი გამკრა.

— ჩვენ რომ ჯარები გავიყვანოთ, თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას, რომ იქ სისხლი არ დაიღვრება?

— რასაკვირველია! ხვალიდან საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, თავად იზრუნებს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე. ეს დამოუკიდებლობის დეკლარაციაშიც არის დაფიქსირებული, — განაცხადა ომანიძემ.

— არა მგონია, თქვენ ეს შეძლოთ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა იანაევმა.

— რატომ? ჩვენ გვყავს მილიცია, გვარდია, შევქმნით ჯარსაც. არა მგონია, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, ვერ შეძლოს თავისი მოქალაქეების დაცვა, — თქვა ზუხბაიამ.

იანაევმა, თავის გაქნევით გამოხატა უკმაყოფილება.

— გენადი ივანოვიჩ, ამ დილით ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს გადავეცით საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ვთხოვეთ ხვალინდელ „ვრემიაში“ მისი გადაცემა. როგორ ფიქრობთ, ამხანაგი კრავჩენკო ამას გააკეთებს? — იკითხა ომანიძემ.

— ალბათ, ტელევიზიაში რაღაც ინფორმაცია გავა, თუ ასეთი ფაქტი მოხდა, — მოღუშულმა თქვა იანაევმა.

— ვნახოთ, ვნახოთ, ჩვენ ხვალ კიდევ მოსკოვში ვიქნებით, — თქვა ომანიძემ.

სიჩუმე ჩამოვარდა, ვისარგებლე შემთხვევით და მურმანს გადავულაპარაკე: არაა მომგებიანი გაღიზიანებული ლაპარაკი.

იანაევმა თანაშემწეს გამსახურდიას წერილები გამოართვა, გადახედა და თქვა:



## «ვინ იფიქრებდა, რომ ქვეყანაში პუტჩი დაიწყებოდა და მას სათავეში ჩვენი დღევანდელი მასპინძელი ჩაუდგებოდა»

— აქ სხვა სერიოზული საკითხებიცაა. როგორ ფიქრობთ, ვის შეიძლება დაელაპარაკოს ქვეყნის პრეზიდენტი?

— დღეს ჩვენ გვაქვს ამის რწმუნება, თუ ეს საკმარისი არაა, მაშინ — ბატონ ზვიად გამსახურდიას.

— თვლით, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებელია მათი შეხვედრა?

— ამაზე ისინი თავად უნდა შეთანხმდნენ, — უპასუხა ომანიძემ.

— ჯობდა, ასეთი შეხვედრა ცოტა ადრე შემდგარიყო, მზადდება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, სადაც რესპუბლიკების როლი დიდადაა გაზრდილი, თუმცა ამ კომისიაში ქართველები არ მონაწილეობენ, რაც დასანანია, — თქვა იანაევმა.

— ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის რეანიმაციის მცდელობა, რაც უშედეგოდ დამთავრდება. ხვალ საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას, ზეგ სხვები გამოაცხადებენ, შეიძლება რუსეთმა სხვებსაც დაასწროს... ეს ხომ ზედმეტი თავსატეხია, — ჩავერთე საუბარში.

**— სამწუხარო ისაა, რომ ბევრს შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეს, თუ რა მოჰყვება საბჭოთა კავშირის დაშლას. ეს ხომ არა მარტო ეკონომიკური კატაკლიზმები იქნება, არამედ დიდი უკუსვლა — სოციალურ სფეროში. ბევრმა რესპუბლიკამ შეიძლება ამას ვერც გაუძლოს,** — თქვა იანაევმა.

— მე სახალხო დეპუტატი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ უმაღლეს საბჭოში საბჭოთა კავშირის დაშლას, ფაქტობრივად, ყველა წინასწარმეტყველებს. ცხადია, პირველ პერიოდში ყველას ექნება პრობლემები. სწორედ ამიტომაა საჭირო მოლაპარაკებები და საკითხების ცივილიზებულად გადაწყვეტა, — თქვა ზუხბაიამ.

**— განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება ის რესპუბლიკები, რომლებიც არაა რესურსმატარებელი. საქართველოც ხომ, ფაქტობრივად, დოტაციაზე იყო,** — თქვა ვიცეპრეზიდენტმა.

— ეს ცუდი გათვლების შედეგია, საქართველოს გააჩნია სახელმწიფოებრიობისთვის საჭირო პოტენციალი, — უპასუხა მეძმარიაშვილმა.

— ახლა ძნელია პროგნოზების გაკეთება. ისტორიას თავისი კანონები აქვს, წინასწარ ვერავინ განჭვრეტს მომავალს. არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. თქვენ კი აშკარად ჩქარობთ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა იანაევმა.

მაშინ მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ვინ იფიქრებდა, რომ ქვეყანაში პუტჩი დაიწყებოდა და მას სათავეში ჩვენი დღევანდელი მასპინძელი ჩაუდგებოდა, რომელიც შემდეგ „მატროსკაია ტიშინას“ საპყრობილეშიც მოხვდებოდა და უკვალოდ გაქრებოდა დიდი ქვეყნის ისტორიიდან.

— იმედია, კრემლი პატივს სცემს ჩვენს ხვალინდელ გადაწყვეტილებას და აღიარებს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, — განაცხადა მურმან ომანიძემ.

— მიჭირს რაიმეს თქმა. ჩვენ ქართველების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, პატივს ვცემთ თქვენს ნიჭიერებას, ისტორიას, კულტურას. ჩვენ გამორჩეულად გვიყვარს ქართველები. დღეს ძნელია იმის განჭვრეტა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. დასანანია, ძალიან დასანანია, რომ თქვენგან იწყება დაშლა. იქნებ, ცოტა მოგეცადათ, ეს ქვეყანა თავად მიექანება დაშლისკენ, რაღა თქვენ უნდა მოექცეთ პირველები მის ნანგრევებში? — შევატყვე, რომ ამას იანაევი გულდაწყვეტილი ამბობდა. იქნებ, გულწრფელიც იყო.

მასპინძელმა ამოიხვნეშა და ფეხზე წამოდგა. წამოვდექით ჩვენც და უსიტყვოდ ჩამოვართვით ხელი. მაშინ, ალბათ, ორივე მხარე გრძნობდა მომენტის სერიოზულობას, მაგრამ მაინც გვეგონა, რომ სიბრძნე და გონიერება გაიმარჯვებდა და ეს ორი მართლმადიდებელი ერი კეთილმეზობლურად იცხოვრებდა...

**ჩვენ დაკისრებული მისია შევასრულეთ. მაშინდელ საბჭოთა კავშირში ის, რაც დელეგაციის წევრებმა გავაკეთეთ, არ იყო უსაფრთხო. სამწუხაროდ, ოთხი ქართველის მოსკოვური ვიზიტი არც მაშინ და შემდგომ წლებში არავის გახსენებია, როგორც ჩანს, ხელისუფალთ უჭირთ სხვათა ღვაწლის აღიარება. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ჩემი ბიოგრაფიის ორდღიანი მონაკვეთის გახსენება. ისტორიას ხომ ადამიანები ქმნიან და ის ორი დღეც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელია, რომელშიც ოთხი ქართველი მონაწილეობდა.**

**საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გართულებებისა და ექსცესების გარეშე ჩაიარა... ჩვენი დელეგაციის მიზანიც ეს იყო.**

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

**ალბათ, ორივე მხარე გრძნობდა მომენტის სერიოზულობას, მაგრამ მაინც გვეგონა, რომ სიბრძნე და გონიერება გაიმარჯვებდა და ეს ორი მართლმადიდებელი ერი კეთილმეზობლურად იცხოვრებდა...**

**P.S. ყოველთვის მაინტერესებდა, თუ რა ნიშნით მოვხვდი მე მოსკოვურ დელეგაციაში. მოგვიანებით ჩემს შეკითხვას მურმან ომანიძემ ასე უპასუხა: ბატონმა ზვიადმა უფლება მომცა, თვითონ შემერჩია დელეგაციის წევრები, მე კი შენ და ოთარ ზუხბაია შეგარჩიეთ, იმიტომ, რომ გიცნობდითო.**

მოკლედ

## კადაფის წერილი — ობამას

**ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სამგვერდიან წერილში კვლავ მამაშვილურად მიმართავს და მოუწოდებს, შეწყვიტოს უსამართლო ომი მისი ქვეყნის წინააღმდეგ.** კადაფი ობამას მიმართვას სიტყვებით „შვილო ჩემო“ და აღნიშნავს, რომ ომი ქვეყანას არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მორალურადაც ანადგურებს და რომ სამხედრო ძალის გამოყენებით დემოკრატიის დანერგვა შეუძლებელია.



## აშშ-ის უარი — კადაფს

**კადაფს აშშ-ის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილზე ობამას ნაცვლად ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა უპასუხა.** მან აღნიშნა, რომ დათმობები არ იქნება. „ლიბიის ლიდერმა შერიგება უნდა გამოაცხადოს, მისმა ძალებმა უნდა დატოვოს ქალაქები, რომლებიც ადამიანთა მსხვერპლის ფასად აიღო, კადაფიმ კი ხელისუფლებაც უნდა დატოვოს და ლიბიაც“, — ნათქვამია კლინტონის პასუხში.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## «Elbit»-ი ვალის დაბრუნებას გვთხოვს

„EURASIANET"-ის ცნობით, ისრაელის შეიარაღების მწარმოებელი კომპანია „ELBIT SYSTEMS" საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლებს, რადგან მან 100 მილიონამდე დოლარის შეიარაღების საფასური არ გადაუხადა, რაზეც კონტრაქტი 2007 წელს დაიდო. „ELBIT SYSTEMS"-ის პრესრელიზში არ არის დაკონკრეტებული, რა შეიარაღებაზეა საუბარი, თუმცა „EURASIANET"-ი ვარაუდობს, რომ საქმე 40-მდე უპილოტო საფრენ აპარატ „HERMES 450"-ს ეხება.



## მოკლედ

### რუსი მედესანტეები ემზადებიან



**ნოვოროსიისკის მახლობლად რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებისა და შავი ზღვის ფლოტის ერთობლივი წვრთნები დასრულდა,** რომელშიც ჩართული იყო მე-7 სადესანტო დივიზიის 1500 მებრძოლი, ტექნიკის 100-მდე ერთეული, სადესანტო ხომალდები და ავიაცია. სწავლების ფარგლებში მოხდა მსხვილი დესანტის გადმოსხმა ზღვიდან და ჰაერიდან; აგრეთვე, ჩატარდა რამდენიმე სასწავლო ბრძოლა მთიანი რელიეფის პირობებში, დღისით და ღამით.

### ბელგიას ტანკები აღარ სჭირდება



**ბელგიის არმია მის კუთვნილ ტანკებს — „Leopard"-სა და სხვა ჯავშანტექნიკას „242 Piranha IIIC"-ს ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით ცვლის.** ამ მიზნით 800 მილიონი ევრო გამოიყო. საბაზო პლატფორმაზე სამი მოდიფიკაციის კოშკურები დამონტაჟდება: 90 მმ. ქვემეხით (ორადგილიანი), 30 მმ. ქვემეხითა და 12,7 ტყვიამფრქვევით. ქვეითთა საბრძოლო მანქანისა და ჯავშანტრანსპორტიორის გარდა, ამავე პლატფორმაზე შეიქნება სამეთაურო პუნქტი, სანიტარული და საინჟინრო მანქანა.

### სერბეთი რუსულ იარაღს შეიძენს



**ბელგრადი აპირებს არმიის მოდერნიზაციაზე 3 მილიარდი დოლარის დახარჯვას.** ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მე-4 თაობის გამანადგურებლებზე - „МиГ-29М"-სა და „Су-30"-ზე დაიხარჯება. აგრეთვე, სერბეთი, სავარაუდოდ, შეიძენს რადიოსალოკაციო სადგურებსა და „С-300"-ის ან „С-400"-ის საექსპორტო ვარიანტის ორ დივიზიონს.

### ტაილანდი უკრაინას ამდიდრებს



**ტაილანდი 200 უკრაინულ ტანკ „რაორი-ს"-ს იყიდის. ისინი მოძველებულ ამერიკულ „M41A3"-ს ჩაანაცვლებს**. ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ტაილანდი უკრაინული ჯავშანტექნიკის მსხვილ პარტიას იძენს. ბანგკოკმა უკვე მიიღო 112 „БТР-3E1" და კიდევ 120-ის მიღება სურს. გადაწყვეტილება უკრაინული ტანკის სასარგებლოდ განაპირობა იმან, რომ ის „Leopard-2"-ზე, „T-90-სა და სამხრეთკორეულ „K-1"-ზე უფრო იაფია.

# აზერბაიჯანი არტილერიის გაძლიერებაზე ზრუნავს



**აზერბაიჯანი შეიარაღებული ძალების ფორსირებულ გაძლიერებას განაგრძობს. ახლახან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება აზერბაიჯანს სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის არმიებზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანოს. საინფორმაციო სააგენტო „APA"-ს ცნობით, ბაქოს თურქეთისგან თვითმავალი საარტილერიო დანადგარების — „T-155 Firtina"-ს შეძენა სურს. კონტრაქტს ხელი, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მოეწერება.**

აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 4-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე სომხეთის. მას 3,5-ჯერ მეტი ტანკი, თითქმის 2-ჯერ მეტი საარტილერიო დანადგარი და მოიერიშე ვერტმფრენი და 5-ჯერ მეტი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს, თუმცა ყარაბაღის არმიის შეიარაღება ამ სხვაობის ნაწილობრივ კომპენსირებას ახდენს. ვინაიდან თვითაღიარებული რესპუბლიკა მის ხელთ არსებული შეიარაღების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს ანგარიშებს არ აწვდის.

ზუსტი ციფრები ცნობილი არ არის, თუმცა ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ ამ **ყარაბაღის არმიის ფაქტორის გათვალისწინებით, აზერბაიჯანის უპირატესობა ხმელეთზე უმნიშვნელო, თითქმის სიმბოლური ხდება. ერთადერთი სფერო, სადაც აზერბაიჯანის უპირატესობა უდავოა, ავიაციაა: აზერბაიჯანს ჰყავს 5 „МиГ-21", 32 „МиГ-25", 13 „МиГ-29", ხუთ-ხუთი „Су-24" და „Су-17", 15 „Су-25" და ამდენივე მოიერიშე ვერტმფრენი „Ми-24". სომხეთს კი მხოლოდ ერთი „МиГ-25", 15 „Су-25" და 8 „Ми-24" ჰყავს.** ამასთანავე, აზერბაიჯანელების აბსოლუტური უპირატესობა გამანადგურებლებში სომხეთის მოიერიშე ავიაციის გამოყენებას სათუოს ხდის.

თუმცა, აზერბაიჯანული თვითმფრინავების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, საუბარი იმაზე, რომ ისინი სახმელეთო ოპერაციებში კრიტიკულად მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანას შეძლებენ, არ შეიძლება, მითუმეტეს, რომ სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის არმიები მოძველებული (თუმცა მთიანი რელიეფის პირობებში კვლავინდებურად ეფექტური) საჰაერო თავდაცვის საშუალებების საკმაო რაოდენობას ფლობენ.

რაც შეეხება არტილერიას, აქ, აზერბაიჯანული წყაროების მიხედვით, შემდეგი მდგომარეობაა: **425 აზერბაიჯანული სისტემა 239 სომხურისა და 322 ყარაბაღურის წინააღმდეგ.** მართალია, ყარაბაღის საარტილერიო არსენალის შეფასება ერთობ გაბერილი ჩანს, მაგრამ დამოუკიდებელი ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ **არტილერიის კუთხით, აზერბაიჯანს უპირატესობა არ აქვს. თურქეთში „T-155 FIRTINA"-ს შეძენა ამ ვითარების შეცვლის სურვილს უკავშირდება.**



**ეს უახლესი, მძლავრი და საკმაოდ საინტერესო თვითმავალი საარტილერიო დანადგარია, რომლის ისტორია კორეაში დაიწყო.**

ახალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „K9 Thunder"-ი სამხრეთ კორეაში 1989 წლიდან იქმნებოდა. ის წარმოადგენდა ერთგვარ პასუხს ჩრდილოკორეელების მიერ 170 მმ. მონსტრის — „M1989 Koksan"-ის შექმნაზე, რომლის მთავარი დანიშნულება, სავარაუდოდ, საზღვრიდან სულ რაღაც 50 კილომეტრში მდებარე სეულის მიწასთან გასწორება იყო. შედეგად სამხრეთკორეელებმა მიიღეს ძალიან კარგი დანადგარი, რომელიც პრაქტიკულად ყველა მახასიათებლით სჯობს ჩრდილოურ ანალოგს, თუ სათვალავში იმ გარემოებას არ ჩავაგდებთ, რომ მასზე გაცილებით ძვირია (3,1 მილიონი დოლარი).

**155 მმ. „K9 Thunder"-ი 47 ტონას იწონის, მისი სიგრძეა 12 მ., სიგანე — 3,4 მ., სიმაღლე — 2,73 მ., ძრავა — 8-ცილინდრიანი „MTU MT 881 Ka-500" (1000 ცხ.ძ.), სვლის მარაგი — 480 კმ., სიჩქარე — 67 კმ/სთ.** ძრავა-ტრანსმისიის ნაკვეთური კორპუსის წინა ნაწილშია, სადაც მძღოლი-მექანიკოსი ზის. ეკიპაჟის დანარჩენი 4 წევრი კორპუსის უკანა მხარეს მდებარე საბრძოლო ნაკვეთურშია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჭურვების ავტომატური მიწოდების სისტემა შესაძლებელს ხდის 15 წამში სამი გასროლის განხორციელებას (მაქსიმალური ტემპი), ხოლო ჩვეულებრივ პირობებში „K9" წუთში 6-8 გასროლას ახდენს. ცეცხლის გახსნა დანადგარის გაჩერებიდან 30 წამშია შესაძლებელი. სროლის სიშორე (გამოყენებული ჭურვიდან გამომდინარე) 30-56 კილომეტრია. კოშკურა 360 გრადუსით ტრიალებს. მაქსიმალური ცდომილება სამიზნის კოორდინატების დადგენის დროს 17,5 მეტრია. სამხრეთ კორეის არმიაში „K9 Thunder"-ებით დაკომპლექტებული ბატალიონი 3 ბატარეისგან შედგება, თითოეულში 6 დანადგარია. საბრძოლო კომპლექტის შევსებას (46 ჭურვი) ავტომატური სატრანსპორტო საშუალება „K10" უზრუნველყოფს.

**კომპანია „Forecast International, Inc", რომელიც შეიარაღების ბაზარს სწავლობს, ვარაუდობს, რომ მომავალ ათწლეულში ყველაზე პოპულარული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი სწორედ „K9 THUNDER"-ი იქნება და მასზე მოთხოვნა სულ უფრო გაიზრდება.** 2004 წელს თურქეთმა მიიღო „K9 Thunder"-ების პირველი პარტია და მათი წარმოების ლიცენზია (ეს 1 მილიარდი დოლარი დაუჯდა). თურქულ მოდიფიკაციას „T-155 Firtina" ეწოდა. კორეული „მშობლისგან" მას მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მეთაურს ხედვის პანორამული ხელსაწყო არ აქვს, აგრეთვე, საბრძოლო კომპლექტის შევსება ავტომატური სატრანსპორტო საშუალების მეშეობით არ ხდება. მიმდინარე წელს, თურქეთის არმია, როგორც მოსალოდნელია, 300 ასეთ დანადგარს მიიღებს, აზერბაიჯანი კი, სავარაუდოდ, — მომავალ წელს.

უნდა აღინიშნოს ამ დანადგარის კიდევ ერთი თვისება, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც კორეისთვის, ისე თურქეთისთვის და სამხრეთ კავკასიისთვის: ჰიდროპნევმატური დაკიდება და ზოგადად კონსტრუქცია შესაძლებელს ხდის მის ეფექტურ გამოყენებას მთიან რეგიონებში. მას მაღალი გამავალობა ახასიათებს. პირველად თურქმა სამხედროებმა „Firtina" სწორედ მთიან რეგიონში გამოიყენეს (2007-2008 წლების მიჯნაზე, ერაყის ქურთისტანში).

**ეს დანადგარები აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის.**



აზერბაიჯანელი სამხედროები

„RAPTOR“-ის პროგრამაზე უკვე დაიხარჯა 65 მილიარდი დოლარი, თვითმფრინავის ღირებულებამ კი ნავარაუდევი 146,2 მილიონი დოლარის ნაცვლად 411,7 მილიონ დოლარს მიაღწია. ამ გაძვირებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო, შესაძენი თვითმფრინავების რაოდენობა 384-იდან 188-მდე შეამცირეს, ხოლო მათ შემდგომ შესყიდვაზე აშშ-ის მთავრობამ უარი თქვა და აქცენტი „F-35“-ის პროგრამაზე გადაიტანა. ლოგიკა ამ გადაწყვეტილებაში ნამდვილად არის, „RAPTOR“-თან დაკავშირებული ხარჯები გონივრულ ჩარჩოებს, დიდი ხანია, გასცდა, ხოლო პრობლემებს ბოლო არ უჩანს.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რატომ არ დაფრინავს «Raptor»-ი ლიბიის ცაში?

**მას შემდეგ, რაც ლიბიაში დასავლური კოალიციის ოპერაცია დაიწყო, სამხედრო ექსპერტები ელოდნენ, რომ შეერთებული შტატები საჰაერო ოპერაციებში ახალ გამანადგურებელს — „F-22 Raptor“-ს ჩართავდა, მაგრამ ეს არ მომხდარა. ეს თვითმფრინავი მწყობრში უკვე 6 წელიწადია, მაგრამ იმ ოპერაციებში, რომელთაც ამერიკელები ამ პერიოდში ახორციელებდნენ, მას მონაწილეობა არც ერთხელ არ მიუღია. ლიბიის შემთხვევაში, ამერიკელმა სამხედროებმა საჭიროდ ჩათვალეს, განემარტათ, თუ რატომ არ გამოიყენეს „Raptor“-ი, მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება საგანგებოდ არავის უთხოვია.**



არგუმენტები შემდეგი იყო: ოპერაციის პირველ ეტაპზე კოალიციის ამოცანას წარმოადგენდა კადაფის საჰაერო თავდაცვის ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა. „F-22“ ამ ამოცანების შესრულებისთვის ნაკლებად გამოსადეგია, რადგან ის კი შეიძლება აღიჭურვოს „JDAM“-ის ტიპის ორი 450-კილოგრამიანი კორექტირებადი ბომბით, მაგრამ ეს მხოლოდ სტაციონარული სამიზნეების განადგურების შესაძლებლობას მისცემს. **„F-22 Raptor“-ს არ შეუძლია ტერიტორიის კარტოგრაფირება, როგორც ამას აკეთებენ რადიოსალოკაციო სადგურები სინთეზირებული აპარატურით. შესაბამისად, არც სამიზნეების არჩევა შეუძლია. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია სამიზნეების შესახებ საბორტო კომპიუტერში ჯერ კიდევ აფრენამდე უნდა ჩაიტვირთოს. ასეთ რთულ მანიპულაციებს კი, სამხედრო თვალსაზრისით, აზრი, უბრალოდ, არ აქვს; მსგავსი მისიის შესრულება გაცილებით უკეთ სხვა თვითმფრინავებს შეუძლია.**

მეორე პრობლემა ისაა, რომ „Raptor“-ის კავშირგაბმულობის „Link 16“-ის სტანდარტის სისტემას შესაძლებლობები საგანგებოდ შეკვეცილი აქვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას თვითმფრინავის ეფექტური მოქმედება რადიოდუმილის პირობებში. შესაბამისად, **„F-22“-ებს შეუძლიათ ინფორმაცია მხოლოდ ერთმანეთს გაუცვალონ, ხოლო სხვა თვითმფრინავებისგან მხოლოდ მიიღონ. ცხადია, ასეთმა ვითარებამ ცაში შეიძლება არა მხოლოდ გაუგებრობა, არამედ საშიში სიტუაციაც კი შექმნას.**

საინტერესოა, რომ ამ სიტუაციის არანორმალურობაზე აშშ-ის საჰაერო ძალებში ჯერ კიდევ ლიბიის მოვლენებამდე დაფიქრდნენ და კავშირგაბმულობის სპეციალური საჰაერო კვანძი შექმნეს, რომელიც 6 უპილოტო საფრენი აპარატისგან „RQ-4 Global Hawk Block 20“ შედგება. იდეაში, მათ „Raptor“-სა და სხვა თვითმფრინავებს შორის ერთგვარი რეტრანსლატორის როლი უნდა შეასრულონ. ექსპერტები ამ გადაწყვეტილებას აფასებენ როგორც ზედმეტად რთულს და, შესაბამისად, — ნაკლებად ეფექტურს. მათი აზრით, უმჯობესი თავად გამანადგურებლის კავშირგაბმულობის სისტემის სრულყოფა იქნება.

თვითმფრინავს სხვა პრობლემებიც აქვს. მაგალითად, გასულ წელს საჰაერო ძალებმა მისთვის ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 7,6 ათასი მეტრით განსაზღვრეს, მაშინ, როდესაც მისი „ჭერი“ გაცილებით დიდი — 20 ათასი მეტრია. საქმე ისაა, რომ **ჟანგბადის გენერაციის საბორტო სისტემებში „OBOGS“ დეფექტი აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, ალასკაზე ერთ-ერთი „RAPTOR“-ის ჩამოვარდნის მიზეზი სწორედ ის გახდა. როდესაც თვითმფრინავი 15 ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს და სისტემა მწყობრიდან გამოდის, პილოტს გონების დაკარგვამდე სულ რაღაც 10 წამი აქვს, დროის ამ მონაკვეთში კი იმ სიმაღლემდე დაშვება, სადაც სუნთქვა ნიღბის გარეშე შეიძლება (5,4 ათასი მეტრი), გამორიცხულია, ამიტომ „RAPTOR“-ის „ჭერი“ 7,6 ათას მეტრამდე შეამცირეს.**

ამასთანავე, თვითმფრინავი ტენიანობას ძალიან ცუდად იტანს და კოროზიასთან სერიოზული პრობლემები აქვს. 2009 წელს საჰაერო ძალებმა ალასკიდან გუამის კუნძულზე 12 „F-22“ გააგზავნეს. გამოვლინდა, რომ წვიმიან ამინდში თვითმფრინავის ელექტრონული სისტემები არასტაბილურად მუშაობს, ხოლო მათი გაგრილების სისტემა, უბრალოდ, მწყობრიდან გამოდის. ამ ექსპერიმენტის შემდეგ „F-22“-ები ტენიან კლიმატში არც ერთხელ არ გამოუყენებიათ. ასევე დადგინდა, რომ წყალი (აგრეთვე, ზეთი და საწვავი) თვითმფრინავს ანტირადიოსალოკაციო საფარს ძალიან იოლად აშორებს.

**2007-ში, როდესაც 6 „Raptor“-ი იაპონიაში, ოკინავას ბაზაზე, გააგზავნეს, კურიოზული შემთხვევა მოხდა. როგორც კი თვითმფრინავები 180-ე მერიდიანს გასცდა (თარიღის შეცვლის ხაზი), მათი კომპიუტერული სისტემები მწყობრიდან გამოვიდა, თვითმფრინავების სანავიგაციო სისტემები სრულად, ხოლო კავშირგაბმულობის — ნაწილობრივ გაითიშა. კიდევ კარგი, იმ მომენტში ჰაერში რამდენიმე საწვავგამწყობი იმყოფებოდა; პილოტებმა ჰავაის კუნძულებზე დაბრუნება მათთან ვიზუალური კონტაქტის შენარჩუნების წყალობით შეძლეს.**

ეს მხოლოდ ის ინციდენტებია, რომლებიც პენტაგონმა აღიარა. არის სხვა ინფორმაციაც, რომელიც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. კატასტროფული ამაში არაფერია, რადგან „Raptor“-ი ახალი თვითმფრინავია და შემდგომ სრულყოფასა და მოდერნიზაციას ექვემდებარება. თუმცა ამერიკელმა კანონმდებლებმა შეიძლება მოთმინება დაკარგონ, პროგრამაზე უკვე დაიხარჯა 65 მილიარდი დოლარი, თვითმფრინავის ღირებულებამ კი ნავარაუდევი 146,2 მილიონი დოლარის ნაცვლად 411,7 მილიონ დოლარს მიაღწია. ამ გაძვირებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო, შესაძენი თვითმფრინავების რაოდენობა 384-იდან 188-მდე შეამცირეს, ხოლო მათ შემდგომ შესყიდვაზე აშშ-ის მთავრობამ უარი თქვა და აქცენტი „F-35“-ის პროგრამაზე გადაიტანა. ლოგიკა ამ გადაწყვეტილებაში ნამდვილად არის, „Raptor“-თან დაკავშირებული ხარჯები გონივრულ ჩარჩოებს, დიდი ხანია, გასცდა, ხოლო პრობლემებს ბოლო არ უჩანს.

**ამერიკელი სამხედროები არასოდეს ამბობენ უარს ახალი შეიარაღების დემონსტრირებასა და გამოცდაზე სამხედრო კონფლიქტებში. ლიბია ამისთვის თითქმის იდეალური პოლიგონი იყო. დაბომბვებს თავი რომც დავანებოთ** (ეს ამ თვითმფრინავის მთავარი ფუნქცია ნამდვილად არ არის), **„F-22“-ს თეორიულად შეეძლო, ამაყად ეფრინა ლიბიის ავიაციისთვის ჩაკეტილ ზონაში** (კადაფის ავიაცია, ფაქტობრივად, პარალიზებულია) **და მისი უსაფრთხოება დემონსტრაციულად უზრუნველეყო, რაც მის იმიჯს ნამდვილად წაადგებოდა.** თუმცა პენტაგონმა, როგორც ჩანს, გარემოებათა გამო, ჩათვალა, რომ ამის გაკეთება არ უღირს, რითაც გააღვივა ამერიკული საზოგადოების ეჭვი, რომ ამ თვითმფრინავს სერიოზული პრობლემები აქვს. ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: **თუ მას არ შეუძლია იმოქმედოს ლიბიის წინააღმდეგ, რას გახდება ის მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების პირობებში რუსეთის ან ჩინეთის წინააღმდეგ? პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არ ჩანს.**





## გაფრაზებულნი

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



ჩვენ არ შევასრულებთ მსოსთან მიერთების შესახებ მოლაპარაკებებისას ნაკისრებ ვალდებულებებს, ვიდრე რუსეთი მსო-ს არ მიუერთდება. ეს პირდაპირი განკარგულებაა. ვიდრე რუსეთი მსო-სთან მიერთების მოლაპარაკებებზე ნაკისრ ყველა ვალდებულებას ასრულებს, უცხოელ პარტნიორებს ამ ორგანიზაციაში მისი მიღებისთვის სტიმული არ აქვთ და რუსეთი არ ღებულობს მსო-ს წევრობით განპირობებულ უპირატესობებს.

*vedomosti.ru*

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**



სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაობის შეჩერების თავიდან აცილება მოხერხდა. მადლობას ვუხდი პარტიების ლიდერებს თანამშრომლობისთვის. კონსენსუსი მიღწეულ იქნა იმისთვის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში მომუშავე 800 ათასი ამერიკელი იძულებით უხელფასო შვებულებაში არ წასულიყო.

*rian.ru*

**ნიკოლა სარკოზი,**
**საფრანგეთის პრეზიდენტი:**



Le Point-ის გამომცემელ ფრანც-ოლივიე ჟისბერს ცხვირპირს დავულილავებ იმ მდაბალი პუბლიკაციისთვის, რომელშიც კარლა ბრუნს მამაკაცთა რისხვა უწოდა.

*gzt.ru*

**დონალდ ტრამპი,**
**ინვესტორი:**



მე დავიქირავე კერძო დეტექტივები, რათა გავარკვიო, მართლა ამერიკაში დაიბადა თუ არა ობამა. ახლა ჩემი ხალხი ჰავაიზე მუშაობს და საკუთარ თვალებს არ უჯერებენ, ისეთი რაღაცები გამოდის მზის სინათლეზე. დოკუმენტს, რომელიც მასმედიაში ობამას რეალურ დაბადების მოწმობად ცირკულირებს, არც სერიული ნომერი აქვს და არც ხელმოწერა.

*telekompania NBC*

**ლორან გბაგბო,**
**კოტ-დივუარის პრეზიდენტი:**



სამხედროებს შერიგებისკენ მოვუწოდებ, მაგრამ დათმობას არ ვაპირებ. მე თავს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად მივიჩნევ.

*telekompania LCI*

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ტესლამ მოახერხა, ლაბორატორიულ პირობებში წარმოეშვა რთული ელექტრონული სტრუქტურები — ფეხბურთის ბურთის ზომის მეხი. ტესლას ის ხელში ეჭირა, ხან ყუთში დებდა და თავსახურს ახურავდა, შემდეგ თავს მოხდიდა და კვლავ ამოიღებდა. ეს რამდენიმე წუთის განმავლობაში შენახვადი აბსოლუტურად სტაბილური სტრუქტურები იყო. დღეისათვის მეხის ხელოვნურ მიღებას ძალზე ხანმოკლე დროით და მხოლოდ სამმილიმეტრიანი დიამეტრით ახერხებენ.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-11

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



უცნაური დამთხვევის გამო, ბეჭდვითი მედიიდან გაქრა ინფორმაცია ამერიკული სადგურის HAARP-ის მუშაობის შესახებ. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, **HAARP-ს საფუძვლად დაედო ფრანგულ-საბჭოთა ექსპერიმენტი „ატაქსი", რომელიც ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. მაშინ კირგირენის კუნძულის თავზე მოძრავი ფრანგული თანამგზავრიდან განხორციელდა ელექტრონების გასროლა.** იონოსფეროს საპასუხო რეაქცია არხანგელსკის ოლქში რეგისტრირდებოდა. აქ ფრანგული აპარატურით აღჭურვილი სადგური იდგა.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი: — მათ ჩვენი ტექნოლოგიები მიიღეს, როდესაც ელცინმა ჩვენს საწარმოებს უთხრა, რომ ფული არ გვყოფნის და ამერიკასთან ერთად გავაგრძელოთ ექსპერიმენტებიო. ჩვენც ჩვენი საიდუმლოებების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელებს გავუზიარეთ. ჩვენ მუდამ წინ ვიყავით, მაგალითად, უწყვეტი ქიმიური ლაზერის სფეროში და ესეც გავუზიარეთ. ახლა ისინი ამას უკვე თვითმფრინავებსა და კოსმოსურ პლატფორმებზე იყენებენ ჩვენი ბალისტიკური რაკეტებისა და საბრძოლო ქობინების წინააღმდეგ.**

* * *

**ნიკოლა ტესლას გასული საუკუნის ლეონარდოს ეძახიან. მისი ცალკეული ექსპერიმენტების შედეგები ახლაც კი ფანტასტიკას წააგავს. გაურკვეველი მიზეზების გამო, მისი შრომების შესახებ დოკუმენტები ამ დრომდეც მიუწვდომელია ფართო აუდიტორიისთვის. იგი ამბობდა: „ჩვენი დედამიწა ენერგიის უზარმაზარ ოკეანეშია ჩაძირული. ჩვენ უსასრულო სივრცეში წარმოუდგენელი სიჩქარით მივფრი-**



**ნავთ. ირგვლივ ყველაფერი ბრუნავს, მოძრაობს და ეს ყველაფერი ენერგიაა. ჩვენ წინაშეა უდიდესი ამოცანა, ამ ენერგიის მოპოვების საშუალებებს მივაგნოთ". ტესლა მიიჩნევდა, რომ პლანეტა დედამიწა არის უდიდესი ტევადობის კონდენსატორი. ეს არის მაგნეტა, რომელიც ბრუნავს და ამ ელექტროობით მუხტავს ატმოსფეროს, განსაკუთრებით კი მის ზედა შრეს — იონოსფეროს.**



ტესლას იდეა ერთდროულად უბრალოც იყო და გენიალურიც. მას სურდა ამ ენერგიის მიღება და მისი გარდაქმნა ესწავლა, რათა შემდეგ დედამიწის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებამდე მიეტანა.

ექსპერიმენტებისთვის 1899 წელს სპეციალიზებული ლაბორატორია კოლორადო სპრინგსი აშენდა. მალე მეცნიერი დარწმუნდა, რომ ელექტრომუხტი მიწის გავლით კაბელებისა და რადიოტალღების გარეშეც შეიძლება გადაიცეს. დანადგარის ჩართვისას ჭექა-ქუხილის ხმა ათეული კილომეტრების დაშორებით ისმოდა. კოშკის ირგვლივ უზარმაზარი სინათლის ბურთი მოძრაობდა. ირგვლივ მყოფი ადამიანები შეშინებული ადევნებდნენ თვალს, როგორ გარბოდა ნაპერწკლები მათ ფეხებსა და მიწას შორის.



**„მე შევქმენი მუხტები, რომელთა სიმძლავრეც ბევრად აღემატება ელვის ძალას",** — ამბობდა ტესლა. მეორე დღეს გაზეთი „ნიუ იორკ სანი" წერდა: **„გასულ ღამეს ჩვენ უცნაური ფენომენების მომსწრენი გავხდით. ეს იყო ტესლას მიერ გაშვებული უზარმაზარი ელვები. ატმოსფეროს ფენები სხვადასხვა სიმაღლეზე აალდა და დიდი ტერიტორია ისე გაანათა, რომ ღამე მომენტალურად დღედ იქცა. მთელი ჰაერი გაჯერებული იყო ნათებით. ეს ნათება ადამიანის სხეულის კიდეებზე აირეკლა და ყველა იქ მყოფი ადამიანი ღია ცისფერ ნათებას ასხივებდა. საკუთარი თავები ლანდებად გვეჩვენებოდა".**



**ბორის როდიონოვი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**
— ყველა გაზეთი წერდა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ამ დანადგარის საშუალებით ენერგიის დიდ მანძილზე გადაცემა, ოკეანის განათება და ასე შემდეგ. ეს უზარმაზარი ენერგია იყო, ოკეანეზე ცის განათებისთვის საკმარისი ენერგია. საიდან მოდიოდა ეს სასწაულებრივი ენერგია? საუკუნის დასაწყისში აშშ-ის ყველა ელექტროსადგური ერთად ამხელა ენერგიას ვერ გამოიმუშავებდა. თავისი იმპულსებით ტესლა არღვევდა ატმოსფეროს თავისი კოშკის თავზე. ამას სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა, უდიდესი წნევის ძალის საშუალებით წყლის ჭავლითაც, რენტგენის სხივებითაც, ულტრაიისფერი სხივებითაც. უნდოდა, მიეღო ყველაზე კარგი გარღვევის შედეგი, რადგან 100 კილომეტრის გარღვევა საკმაოდ დიდი პრობლემაა. ტესლამ უზარმაზარი მასშტაბის ტრანსფორმატორი დააყენა და საბოლოოდ იონოსფეროზე ზემოქმედებით აღწევდა სწორედ იმ ეფექტებს, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. მთავარი კი ის იყო, რომ ენერგიას ღებულობდა.



ცნობილია, რომ 1930-იან წლებში ტესლა მრავალსამიზნიანი სადგურების პროექტზე მუშაობდა. ამ სადგურებს ნებისმიერი სახელმწიფოს საზღვრების დაცვა უნდა შეძლებოდა. იგი ამბობდა, რომ ელექტრონული ფარი აბსოლუტურად ახლებური პრინციპითა და ენერგიის ახალი სახეობით იმოქმედებდა. **ენერგია გავრცელდებოდა არა რადიოტალღების, არამედ ადამიანის თმის ღერზე ას მილიონ-ჯერ უფრო წვრილი ელექტრონული სხივის საშუალებით და ამ ენერგიას შეეძლებოდა, თვითმფრინავების ძრავები 250 მილის დაშორებაზე დაედნო.**



კუნძულ ლონგ-აილენდზე სამეცნიერო ქალაქის მშენებლობა დაიწყო. მთავარი შენობა 57 მეტრი სიმაღლის კარკასული კოშკი იყო. მის თავზე გიგანტური გამაძლიერებელი გადამცემით აღჭურვილი უზარმაზარი ფოლადის თეფში იყო დამონტაჟებული. მიწაში 36 მეტრის სიღრმეზე იყო ჩაფლული ფოლადის მაღარო.

1905 წელს ამ ნაგებობის საცდელი ამოქმედება განხორციელდა. გაოგნებული ჟურნალისტები წერდნენ, რომ მან ცა ოკეანის თავზე 1000 მილის მანძილზე გაანათა. **ტესლამ მოახერხა, ლაბორატორიულ პირობებში წარმოეშვა რთული ელექტრონული სტრუქტურები — ფეხბურთის ბურთის ზომის მეხი.** ტესლას ის ხელში ეჭირა, ხან ყუთში დებდა და თავსახურს ახურავდა, შემდეგ თავს მოხდიდა და კვლავ ამოიღებდა. ეს რამდენიმე წუთის განმავლობაში შენახვადი აბსოლუტურად სტაბილური სტრუქტურები იყო. **დღეისათვის მეხის ხელოვნურ მიღებას ძალზე ხანმოკლე დროით და მხოლოდ სამმილიმეტრიანი დიამეტრით ახერხებენ.**



თავისი სისტემის დახმარებით, ტესლა უდაბნოებში წვიმების გამოწვევას, საზღვაო მარშრუტების თავზე ცის განათებას, ავტომანქანებისა და თვითმფრინავების ენერგიით კვებაზე გადაყვანას და პლანეტათაშორისი კომუნიკაციების დამყარებასაც კი აპირებდა. **ყველაზე გახმაურებული და წარმოუდგენელი ხმების თანახმად, ტესლას ექსპერიმენტები ტუნგუსის კატასტროფის გამომწვევად იქცა.** ფლობდა კი კოშკი იმხელა სიმძლავრეს, რომ ტუნგუსის მოვლენები განეპირობებინა? საქმე ისაა, რომ **კოშკზე დამონტაჟებული კონდენსატორის დიამეტრი საშუალებას იძლეოდა, ათი ათას ამპერამდე მუხტის დენი მიეღო. ძაბვა კი, რომელსაც ტესლა იქ იღებდა, ას მილიონ ვოლტს აღწევდა. თუ ამ დენსა და ძაბვას ერთმანეთზე გადავამრავლებთ, ერთ ტერავატს მივიღებთ. ეს არის ენერგია, რომლის გადაცემაც შეეძლო ტესლას და რომლის მიღებაც ამ დრომდე არავის შეუძ-** ▶

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**როდესაც გენერატორები მთელი სიმძლავრით აამუშავეს, მოულოდნელი რამ მოხდა. გემი დროებით გაქრა, შემდეგ კი რამდენიმე წამით სულ სხვა ადგილას — ნორფოლკში, ფილადელფიიდან 350 კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა. ძალიან ცოტა ხნის შემდეგ გემი კვლავ იმავე პორტში მატერიალიზდა, საიდანაც გაქრა. ყველაზე უცნაური რამ ეკიპაჟს დაემართა. მეზღვაურთა ნახევარი სამუდამოდ სადღაც გაქრა, ზოგიერთი ჭკუიდან შეიშალა, დანარჩენებმა კი შეიძინეს უნარი, საკუთარი ნებით გამქრალიყვნენ და ისევ გაჩენილიყვნენ.**



**ლია.** მაქსიმუმი, რასაც ჩვენ ამჟამად არსებული ხაზების საშუალებით გადავცემთ, მილიონი კილოვატია, რაც ტესლას მიღწევაზე ათასჯერ ნაკლებია. ახლა გააკეთეს სამი მილიონი ვოლტის გენერატორები, რაც დიდ მიღწევად ითვლება. ის კი ას მილიონ ვოლტს ყოველგვარი პრობლემის გარეშე იღებდა.

**ბორის როდიონოვი:** — ტესლას დანადგარი სწორედ იმ გათვლით აშენდა, რომ ერთდროული ზემოქმედება უნდა მოეხდინა ატმოსფეროს ზედა შრეებსა და დედამიწაზე. ეს იყო უდიდესი, დაახლოებით 60 მეტრის სიმაღლის კოშკი, მის ქვეშ, დაახლოებით სამოცივე მეტრზე იყო ის კომუნიკაცია, რომლის შესახებაც უკვე ცოტა ვინმემ თუ იცის. იქ იყო ზეთის უზარმაზარი ავზები, რომელთა დანიშნულებაც ასევე რყევის გამოწვევა იყო, ოღონდ დედამიწაზე. სწორედ ამ რყევის სისტემა, რომელიც ერთდროულად ვრცელდებოდა როგორც დედამიწის ქერქზე, ასევე ატმოსფეროს ზედა შრეში, რეზონანსულ მოვლენებს იწვევდა არა მხოლოდ ატმოსფეროში, არამედ დედამიწის ქერქშიც.



**ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, თუ რა უცნაურად იწვოდა ხეები. როგორც ფიზიკოსს, ვერ გამიგია, როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი ხე დამწვარიყო არა მხოლოდ მიწის ზემოთ, არამედ ფესვებიანად. იქ ხდებოდა აბსოლუტურად გაურკვეველი მოვლენები, რაც მიანიშნებდა, რომ იქ მუხტები მოქმედებდა. ამასთანავე, აუცილებელი არაა, ეს ხაზოვანი, ელვის მსგავსი მუხტები ყოფილიყო. სავსებით შესაძლებელია, ეს წრიული ელვაც ყოფილიყო.**

ეს აბსოლუტურად უჩვეულო ელექტროაქტივობა იყო. ვერსია, რომ ტუნგუსის კატასტროფის გამომწვევი მეტეორიტის ჩამოვარდნა იყო, არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. ტუნგუსის მოვლენებს იკვლევენ დეტალურად, ტაიგა თავიდან ბოლომდე გადაქექეს, მაგრამ მეტეორიტის კვალს ვერ მიაგნეს.

ტუნგუსის მოვლენებამდე ჯერ კიდევ ორი თვით ადრე ევროპისა და რუსეთის თავზე სინათლის უზარმაზარი ზოლები გამოჩნდა, კატასტროფამდე ცხრა დღით ადრე კი ცაზე ფერადი ნათება დაიწყო. ნათება მკვეთრად გაძლიერდა აფეთქებამდე სამი დღით ადრე. რუსეთის ცაზე, ურალიდან ბალტიამდე, ცაში მანათობელი ბურთები დაფრინავდა.



1915 წელს ტესლა იტყვის: „ელექტროენერგიის უსადენოდ გადაცემის პრაქტიკული განხორციელება და დაშორებაზე დამანგრეველი ზემოქმედების გამოწვევა ნამდვილად შესაძლებელია. ჩემი მიღწევები იმდენად შორს წავიდა, რომ დიდი დამანგრეველი ძალის ზემოქმედება წინასწარ დიდი სიზუსტით განსაზღვრულ დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეიძლება გადაიცეს“.

**ბორის როდიონოვი:** — მოულოდნელად ის იმპულსებზე გადაერთო. ძლიერი ელექტრო იმპულსები კი ნიშნავს, რომ საქმე გაქვთ სხვადასხვა სიხშირეებთან, მაგრამ ისინი ისე ეწყობიან ერთმანეთს, რომ მთელი სიმძლავრე გამოიყოფა დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში. სწორედ ამ იმპულსურმა ველებმა მისცა მას შესაძლებლობა, აღმოეჩინა მატერიის ორი ახალი სახეობა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ ხმამაღალი განცხადებაა, მე ამის თქმის არ მეშინია. ახლა მატერიის ამ სახეობებს ბნელ მატერიებს და ბნელ ენერგიებს უწოდებენ. შეგახსენებთ, რომ ტესლამ ეს აღმოჩენები 1890 წელს გააკეთა. ამის შემდეგ იგი მხოლოდ იმპულსებთან მუშაობდა. ამისთვის შექმნა მთელი რიგი დანადგარები, მათ შორის — ტესლას ცნობილი გენერატორიც.



ეს გენერატორი მუშაობს არა როგორც ჩვეულებრივი ტრანსფორმატორი, არამედ როგორც ტრანსფორმატორი, რომელიც ქმნის მილიონობით ვოლტის უზარმაზარ ძაბვას, თანაც რაღაც გაურკვეველი საოცარი გზით. ამ ტრანსფორმატორის გათვლის მეთოდები ამ დრომდეც არ არსებობს.

მაგრამ ყველაზე წარმოუდგენელი ექსპერიმენტი ტესლას გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ — 1943 წლის ოქტომბერში დასრულდა. ამ ექსპერიმენტის მიზანი გემის გაუჩინარება იყო. მოვლენები ფილადელფიის პორტში ვითარდებოდა.



**როდესაც გენერატორები მთელი სიმძლავრით აამუშავეს, მოულოდნელი რამ მოხდა. გემი დროებით გაქრა, შემდეგ კი რამდენიმე წამით სულ სხვა ადგილას — ნორფოლკში, ფილადელფიიდან 350 კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა. ძალიან ცოტა ხნის შემდეგ გემი კვლავ იმავე პორტში მატერიალიზდა, საიდანაც გაქრა. ყველაზე უცნაური რამ ეკიპაჟს დაემართა. მეზღვაურთა ნახევარი სამუდამოდ სადღაც გაქრა, ზოგიერთი ჭკუიდან შეიშალა, დანარჩენებმა კი შეიძინეს უნარი, საკუთარი ნებით გამქრალიყვნენ და ისევ გაჩენილიყვნენ.**

თავად გემის გაუჩინარებას სქელი, მომწვანო ღრუბლის გამოჩენა უსწრებდა წინ. გენერატორების ჩართვისთანავე გემი ამ ღრუბელში გაეხვა. ექსპერიმენტში სამი გემი მონაწილეობდა. მათგან შუაში ზემოხსენებული გემი იდგა. მისგან მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებული გემები არეკვლის ფუნქციას ასრულებდა. სინამდვილეში საუბარია ღია ლაზერებზე, რომელთა სხივებიც ნებისმიერ გარემოში თავისუფალ დაშორებაზე გადაეცემა. ამგვარ ლაზერებს ტესლა თავის ნიუ იორკის ლაბორატორიაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აწარმოებდა. სწორედ მათი საშუალებით ახერხებდა ნათურების გარეშე შენობის განათებას, მანათობელი ჰაერის წარმოქმნას და მსგავს საოცრებებს.

1912 წელს ნიკოლ ტესლამ ატმოსფეროს გათბობის საშუალებას მიაგნო. მან ცვალებადი დენი, მაღალსიხშირიანი რადიოტალღებისა და თავისუფალი ენერგიის გამომუშავების ტექნოლოგიები აღმოაჩინა. იგი მაღალი და დაბალი სიხშირის ელვებზე ატარებდა ექსპერიმენტებს, ამინდის მართვის ტექნოლოგიის აღმოჩენისა და რაკეტების არეკვლა-განადგურების მიზნით დედამიწის ირგვლივ რაღაც დამცავი შრის შექმნაზე მუშაობდა. მისი იდეებიდან და შემუშავებული პროექტებიდან მრავალი იმდენად უსწრებდა დროს, რომ მეცნიერის ცხოვრებაში მათი რეალიზება შეუძლებელი იყო — შესაბამისი ტექნოლოგიები, უბრალოდ, არ არსებობდა. მათგან მხოლოდ ზოგიერთის ჩამონათვალი ასე გამოიყურება: რადიომართვადი ტორპედოები და საფრენი აპარატები, რეაქტიული თვითმფრინავები, ვერტიკალური აფრენის საფრენი აპარატები, ჰაერის ბალიშებზე მდგარი გემები და მრავალი სხვა.





**ტესლას დღიურები და ხელნაწერები გაურკვეველ გარემოებებში გაქრა. მისმა იდეებმა და ნამუშევრებმა ზემძლავრ თანამედროვე იარაღს დაუდო სათავე.**

ატმოსფეროს ზედა შრე, იონოსფერო იონიზირებული ატომებითაა გაჯერებული. კოსმოსიდან დამუხტული ნაწილაკები მზის ქარის მიმართულებით, დედამიწის მაგნიტური ველის სიღრმისკენ მიედინება და ჩვენი პლანეტის პოლარულ განედებზე პოლარულ ნათებას განაპირობებს. ჩრდილოეთის ნათება ადამიანებისთვის იონოსფეროს არსებობის შესახებ ერთადერთი შეხსენებაა, მაგრამ ეს — მხოლოდ ზედაპირული მიდგომისას. უკვე დიდი ხანია, ფიქსირდება მიწისძვრების წინამორბედი ციური ცეცხლოვანი ლანდები. მზის ქარიშხლების ადამიანთა ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ, ალბათ, ყველამ იცის. რაკეტებზე დამონტაჟებული აღჭურვილობის საშუალებით იონოსფეროს მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა ადამიანებმა დიდი ხნის წინათ დაიწყეს. მაგრამ ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან ფიქსირდება. სწორედ მაშინ დაიწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პროგრამა მაღალსიხშირიანი აქტიური ავრალური კვლევების მიმართულებით, იგივე HAARP-ი.



**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— აბრევიატურა HAARP-ი თარგმანში იონოსფეროს მაღალსიხშირიან კვლევით პროგრამას ნიშნავს. პროგრამა ოფიციალურად გამოცხადებულია, როგორც დედამიწის იონოსფეროს კანონზომიერებათა განვითარების კვლევის ღონისძიებების სისტემა. ფაქტობრივად, **სისტემა HAARP-ი წარმოადგენს დანადგარს, რომელიც იონოსფეროს მოდიფიკაციის განხორციელებისთვის, ანუ მასში გარკვეული ცვლილებების შეტანისთვისაა განკუთვნილი.**

ამ პროექტზე საუბრისას ყველაზე ხშირად ახსენებენ გრანდიოზულ კომპლექსს, რომელიც იონოსფეროს კვლევებისთვისაა განკუთვნილი და რომელიც ალიასკაზე, გაკონას სამხედრო პოლიგონზეა აგებული. კომპლექსი მართლაც შთამბეჭდავია: 13 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია უზარმაზარი ფაზირებული ანძების ცხაური. ეს არის 180 ანძისგან შექმნილი ქსელი, რომელიც ერთობლიობაში ზემაღალი სიხშირეების გამომსხივებელს წარმოადგენს.



**ბორის როდიონოვი:** — ამერიკელები ძალზე ბუნებრივად აცხადებენ, რომ მთელი ეს დანადგარები განკუთვნილია ატმოსფეროს ზედა შრეების კვლევებისთვის. არც თავდაცვით და არც თავდასხმით ფუნქციებზე, რა თქმა უნდა, არავინ საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმით სამხედროები არიან დაკავებული.



HAARP-ის შემადგენლობაში, ანძების გარდა, შედის ნეკოგერენტული გამოსხივების რადარი 20-მეტრიანი დიამეტრის ანტენით, ლაზერული ლოკატორები, მაგნიტომეტრები, მძლავრი კომპიუტერები სიგნალების დამუშავებისა და ანძების მართვისთვის. მთელ კომპლექსს გაზის უმძლავრესი ელექტროსადგური კვებავს. ავრალური რეზონანსული ანძა არფა შემუშავებულია სპეციალურად იონოსფეროზე ექსპერიმენტებისათვის ელექტრომაგნიტური ენერგიის ფოკუსირებული ნაკრებით, რომლის სიმძლავრე მილიარდობით ვატია. მისი დახმარებით დიდ სიმაღლეებზე იქმნება პლაზმური ლინზები, რომლებიც იონიზირებული გაზის მილიონობით კუბურ მეტრს ატრიალებს. ისინი ამრეკლავ ეკრანებად გამოიყენება და სამხედრო რადიოგამომსხივებელი აპარატურის მუშაობას უზრუნველყოფს.



**კონსტანტინე სივკოვი:** — კონცენტრაციისა და რამდენიმე ამ ანტენის გამოსხივებისას განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოიქმნება ზემაღალი ძაბვის ელექტრომაგნიტური ველები, რომლებიც იონოსფეროს ნაწილაკების დამატებით იონიზაციას განაპირობებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოიქმნება იონური ლინზები, რომლებიც უკიდურესად მაღალი ძაბვის ელექტრომაგნიტურ ველებშია. ამ ზონაში ან მიმდებარე ზონებში, ბალისტიკური რაკეტების ან თვითმფრინავების მოხვედრის შემთხვევაში, ისინი მწყობრიდან გამოდის.

გაგრძელება იქნება

მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თუკი ქართული მილიციის მცირერიცხოვანება სასაზღვრო ჯარებში ფაქტად რჩება, საჭიროა იმის გახსენებაც, რომ ქართველ თავადთა და მემამულეთა დიდი ნაწილი რუსული არმიის რიგებს ავსებდა. საყურადღებოა, რომ მიზეზები არა სახალხო სიმამაცეში უნდა ვეძებოთ, არამედ თვით მილიციის ფუნქციაში, რომელიც მაშინ ქვეყნის შიგნით დაცვის მიზნით იკრიბებოდა. სხვა მხრივ, ყველა ჯარის საზღვრებს გარეთ გაყვანით დაუცველი დარჩებოდა ქართველთა სახლები, რომლებსაც ყოველთვის ემუქრებოდა ყაჩაღური თავდასხმები.**

# ამიერკავკასია ახალი სპარსული ომის მუქარის წინ

დასასრული. დასაწყისი იხ. №12

**უკვე საღამო იყო, როცა ქალაქელები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, გლეხები კი თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ, სადაც ჩაიტანეს თბილისში მომხდარი ამბავი. აქაც და იქაც მსჯელობდნენ, თუ რისთვის მოიფიქრა მთავრობამ ეს გაწვევა. 9 მარტის დილას, გლეხები სოფელ კოდაში შეიკრიბნენ (თავად ორბელიანის მამულში) და თბილისისკენ დაიძრნენ, რათა დაწვრილებით გაეგოთ, თუ რა ხდებოდა დედაქალაქში. ავლაბრის ხიდთან ახლოს მათ შეხვდნენ თავადები ლუარსაბ, მამუკა, იაკობ და ქაიხოსრო ორბელიანები. თუ რა უთხრეს მათ თავიანთ გლეხებს, უცნობია, მაგრამ ხალხი უკან კი გაბრუნდა.**

გენერალი ივან პასკევიჩი



აბას-მირზა



**თბილისში კი იმ დილით ყველა ეკლესიაში მღვდლები უხსნიდნენ ხალხს, რომ მათი შეშფოთება უსაფუძვლო იყო და რომ ჯარის შეკრება ხდებოდა დროებით — 6 თვით და ამ დროის გასვლის შემდეგ იგი კვლავ დაიშლებოდა.**

ღვთისმსახურთა განმარტებებმა შედეგი გამოიღო, მოიძებნა ხალხი, რომელმაც თვითმმართველობის ჭეშმარიტი მიზანი გაიგო და თბილისის მოქალაქეებმა სამ დღეში ორი ათასი კაცი წარუდგინა პასკევიჩს იმავე მოედანზე, სადაც არეულობა მოხდა. ისინი მზად იყვნენ, ბრძანებებს დამორჩილებოდნენ და ნებისმიერ ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა.

თბილისში სრული სიმშვიდე დამყარდა, მაგრამ უსიამოვნებები მთელ რეგიონს მოედო. გორის, თბილისის, თელავისა და ელიზოვეტოპოლის გუბერნიებში გადაჭრით განაცხადეს, რომ მზად არიან, სიცოცხლის ფასად დაიცვან თავიანთი კუთხე, ისევე, როგორც ეს ქართველი მეფეების დროს ხდებოდა და არა ისე, როგორც ამას ახლა თხოვდნენ. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ გაწვეული ადამიანები შინ ველარ დაბრუნდებოდნენ. ხალხი ერთმანეთს ფიცს ართმევდა, რომ არ დაემორჩილებოდა ხელისუფლებას. **პასკევიჩი ეჭვობდა, რომ ყველაფერ ამაში უფლისწულ ალექსანდრეს ხელი ერია, რადგან შემჩნეული იყო, რომ არეულობა ერთდროულად თბილისში, თელავსა და ელიზავეტოპოლში იჩენდა თავს. მაშინ, როცა ბოლო ორი ქალაქის მცხოვრებთ შეუძლებელი იყო, ცოდნოდათ, თუ რა ხდებოდა პირველში. ხალხში არეულობის შეტანა, ცხადია, უფლისწულს აწყობდა და წინასწარ მოფიქრებული გეგმით ხორციელდებოდა, რომლის უკან სუფთა ქართული, დინასტიური ინტერესები იმალებოდა.**

მილიციის შეკრება თბილისის პარალელურად ხდებოდა თელავში პოლკოვნიკ ბახმანის მეთაურობით. მან შეკრიბა ხალხი, მთავარსარდლის ფუნქციაც მათ გადააბარა და ასე უთქმელად, ახსნა-განმარტებების გარეშე ქალაქიდან გაემგზავრა. მოსახლეობა სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდა. მილიციის შეკრება სიახლე არ იყო, მაგრამ ბახმანის გამგზავრებამ ყველაფერი გააფუჭა. არავინ იყო, განმარტებები რომ მიეცა შეკითხვებზე; მაგ., რატომ უნდა იყოს მილიციელი ამ სიმაღლის და არა განსხვავებული (ცოტა მეტი ან ნაკლები), კახეთის სიამაყემ — დოიამ რატომ არ შეიძლება დაიცვას მამული? რატომ არ შეიძლება წინაპართა ხმლის მილიციაში ტარება და სხვ. ამას კიდევ ერთიც დაემატა: **მოსახლეობა მიჩვეული იყო, წესისამებრ, ცხენებით ჩარიცხვას მილიციაში, ახლა კი ცხენის გარეშე ითხოვდნენ. ყველა ამ საკითხზე განმარტების მიცემა დაეკისრა თავად ჩოლოყაევს. ვინც არ ემორჩილებოდა მთავრობის მოთხოვნებს, აპატიმრებდნენ** (მაგ., ცხენის გარეშე ჩარიცხულიყო მილიციაში).

**ხალხი უკან უკმაყოფილო დაბრუნდა. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ მცირედიც საკმარისი იყო მის ასაფეთქებლად. ეს ნაპერწკალი კი ავი ჭორი იყო რეკრუტის შეკრების თაობაზე.** მთელი თელავის გუბერნია აღდგა და საგარეჯოში შეკრებილი მოსახლეობა წმ. იაკობის ეკლესიაში წინააღმდეგობის გაწევისა და ერთმანეთის ერთგულების ფიცს დებდა.

ამგვარად, პოლკოვნიკ ბახმანის უმოქმედობა გახდა ერთადერთი მიზეზი მღელვარებისა, რომელმაც მთელი თელავი მოიცვა. მღელვარებამ სერიოზული მასშტაბები მიიღო. საგარეჯოს მემამულეები, ქართველი თავადები — ქვლივიძე და ძმები ჯაბადაროვები, როგორც ხალხის გამყიდველები, საშინლად სცემეს და სახლების გადაწვითა და ბაღების აჩეხვითაც დაემუქრნენ.

ელიზავეტოპოლში ბახმანზე უარესად მოიქცა ოლქის უფროსი პოდპოლკოვნიკი ბერენსი. ის თვითონ აქვეყნებდა თავის მაზრაში ბრძანებებს სპარსელთა მიერ რუსეთის საელჩოზე თავდასხმის შესახებ, თალიშის ხანის თავდასხმის შესახებ, თათართა შორის მოძრაობის შესახებ, თავდასხმის საშიშროების შესახებ, ელიზავეტოპოლს რომ ემუქრებოდა. ყველაფერმა ამან მოსახლეობის საშინელი რეაქცია გამოიწვია და, როცა მღელვარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, საჭირო გახდა მილიციის შეკრება. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში სომხებმა განაცხადეს, რომ შეუძლებლად თვლიან, თავიანთი საუკეთესო ხალხი ლაშქრობაში გაგზავნონ და ითხოვდნენ მილიციის ადგილზე დატოვებას მათივე სახლების დასაცავად. ამ თვალსაზრისით, რომელიც სომხებს სწორად მიაჩნდათ, მათი გადაბირება მუქარითაც და დაპირებებითაც შეუძლებელი იყო.

**რამდენიმე პიროვნებას შეეძლო ხალხზე ზემოქმედების მოხდენა. ამის ნათელი მაგალითი იყო საგარეჯოს მაზრა, სადაც მილიცია ყოველგვარი პრობლემების გარეშე შეიკრიბა და მაშინვე კორდონის ხაზზე განლაგდა ალაზნის გასწვრივ. ერთი პერიოდი წარმატებული იყო მილიციის შეკრება გორის მაზრაშიც. ახალწვეულები ის იყო ლაშქრობაში ჩაებნენ, რომ სოფელ ქარელში ორმა საიდუმლოებით მოცულმა პირმა — სამწევრისელმა ტეტია ოქონელმა და მამასახლისმა სოსია მურჯიკნელმა — ისარგებლეს რა უფროსების არყოფნით, მოუწოდეს ახალწვეულებს, არ ეღალატათ თანამემამულეებისათვის, რომელთაც არ უნდოდათ რუს ჯარისკაცებად ყოფნა.** ამ ხალხის მოულოდნელ გამოჩენას მოჰყვა ის, რომ შეკრებილი რაზმი უკან შეტრიალდა და სახლებში დაბრუნდა. გორელი მემამულე გვერწითელი, ცდილობდა რა წესრიგის აღდგენას, ლამის სასიკვდილოდ ცემეს, ხოლო ოქონელი და სოსია კვლავ სადღაც გაქრნენ.

**ქარელის ამბის შემდეგ აღდგა სოფელი კავთისხევი, სადაც ამ მოძრაობას სათავეში თავადები — დავით ციციანოვი და გადამდგარი მაიორი თარხანოვი ჩაუდგნენ.** ციციანოვი თავის თავს სარდალს უწოდებდა და ამბობდა, საქართველოში მისნაირი ხუთი კაცია რომ ყოფილიყო, ქართული სამეფოების ბედი სულ სხვაგვარი იქნებოდა. კავთისხევიდან მღელვარებამ, ბუნებრივია, გადაინაცვლა მეზობელ ახალქალაქში — თარხანოვების მამულში, მაგრამ აქ ყველაფერი ლოთობით დასრულდა.

ამგვარად, მღელვარებამ, რომელიც თავდაპირველად თბილისში დაიწყო, მოიარა ნახევარი კახეთი, დაეშვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და ისევ თბილისს მიუახლოვდა; განსაკუთრებულად იფეთქა კოდაში, რომლის მოსახლეობამ, როგორც კი გაიგო გორში ამბოხების ამბავი, მაშინვე ხალხი დაგზავნა მეზობელ სოფლებში და თბილისის მაზრა ფეხზე დააყენა. **თოთხმეტი სოფელი შეუერთდა ამბოხებულებს და შეიარაღებული ბრბო, რამდენიმე ასეული კაცი, დაიძრა თბილისისკენ მილიციის დაშლის მოთხოვნით. ამავე დროს ასეთივე ბრბო ახლოვდებოდა კავთისხევის მხრიდანაც და დიღმის ველთან შეჩერდა, ორი თუ სამი ვერსის მოშორებით ვერის უბნისგან.**

მოუსვენრად ელოდნენ პასკევიჩის გამოჩენას, რადგან ფიქრობდნენ, რომ იგი იარაღით მოაგვარებდა ამ საქმეს. პასკევიჩმა კი გულგრილად და მშვიდად მოისმინა ინფორმაცია ბრბოს მოახლოების თაობაზე და მხოლოდ ის ბრძანა, რომ ისინი ქალაქში არ შემოეშვათ. მაშინ თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი თვითონ წავიდა დიღმის ველზე კავთისხეველთა დასარწმუნებლად, შინ დაბრუნებულიყვნენ. ამავე დროს **თბილისელები, ეშინოდათ რა ახალი უწესრიგობისა ქალაქში, გადავიდნენ ავლაბრის ხიდზე და აიძულეს გლეხები, გაფანტულიყვნენ, როგორც პასკევიჩი ამბობს, „ყოველგვარი ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის გარეშე“.**

პასკევიჩი ამ საქმის გამოძიებას მთელი სიფრთხილით შეუდგა. ის ხედავდა, რომ ხალხი მოტყუებულია და, უნდოდა რა, ემოქმედა მათ პატივმოყვარეობაზე, გამოაქვეყნა შემდეგი პროკლამაცია:

**„ბოროტი და საზიზღარი ადამიანები ხალხში თესავენ სისაძაგლეს, ავრცელებენ ბოროტ ჭორებს: ამბობენ, თითქოს ქართველებისგან ჯარისკაცებს ითხოვდნენ. ასეთი განზრახვა არ ყოფილა — თქვენი ჯარისკაცები არ გვჭირდება. ჩვენს განცხადებებში, რომლებიც ყველგან დაიგზავნა, ნათლად არის ნათქვამი, რომ თქვენგან მხოლოდ 6 თვით ითხოვენ სამსახურს. ჩემი ხელმწიფის მამაცი მეომრები, რომლებმაც თავიანთი სახელოვანი გამარჯვებით გააოცეს თქვენი მტრები, გავლენ საზღვრებიდან. თქვენთვის კი ნუთუ ასე ძნელია, საქართველოს შიგნით დაიცვათ წესრიგი და სიმშვიდე თქვენი ოჯახების საკეთილდღეოდ?!**

**ქართველებო! დიდებით მოსილ ჯარებთან ერთად მსახურობდნენ თათრები, და მე ამისთვის მათი მადლიერი ვარ. ახლახან მივიღე ინფორმაცია, რომ გურულებიც მონაწილეობდნენ წარმატებულ ბრძოლებში თურქ სერასკირთან. გურულები მამაცურად ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს; თქვენ კი, უბრალოდ, თქვენივე საკუთარი სახლებისა და ოჯახების დაცვას გთხოვენ ჭირისა და ყაჩაღებისგან“.**

ამ დაგვიანებულმა პროკლამაციამ დამამშვიდებელი ზემოქმედება მაინც მოახდინა, თუმცა პასკევიჩმა მილიციის შეკრება გადადო, რადგან საამისოდ სიტუაცია უხერხული იყო. მან გააანალიზა — მოწინააღმდეგე განდევნილია ახალციხიდან, გურიაში თურქები დამარცხებულია და რუსეთიდან დამხმარე ძალები მოდიან, — ამიტომ ქართული მილიციის შეკრება გადაიდო, რითაც მოსახლეობას საომარი მოქმედებების დაწყებამდე თავისუფლად შეეძლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება.

ასე რბილად და პოლიტიკურად გადაჭრა პასკევიჩმა მწვავე საკითხი მილიციის თაობაზე, მაგრამ, ცხადია, რომ უარის თქმის მოტივი მხოლოდ ის უნდობლობა იყო, რომელიც წარმოიშვა ამ ამბოხებების დროს ქართველების მიმართ და რომელთა თაობაზეც ნათქვამი იყო მის წერილში ბოლო მოვლენების შესახებ. იგი ასკვნიდა, რომ მათ მხოლოდ რუსი ჯარისკაცის იმედი უნდა ჰქონოდათ. **„ქართველმა თავადებმა და მემამულეებმა ამოცანას თავი ვერ გაართვესო“, — ასეთი იყო პასკევიჩის შეხედულება მის თანამედროვე ქართველ მემამულეებზე. ოღონდ ქართველი ხალხის საუკუნოვანი სიმამაცე და საუკეთესო ქართული საგვარეულოებისადმი ერთგულება და თავგანწირვა, რომელთა ბევრი წარმომადგენელი რუსული არმიის წინა რიგებში იბრძოდა, არ შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ.** უნდა გავიხსენოთ, რომ თვითონ პასკევიჩიც სხვაგვარად ეკიდებოდა იმავე ქართველებს, როცა მათ 1827 წლის ოქტომბერში სახლში უშვებდა და თან სიმამაცისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ბრძანებით მადლობას უცხადებდა.

თუკი ქართული მილიციის მცირერიცხოვანება სასაზღვრო ჯარებში ფაქტად რჩება, საჭიროა იმის გახსენებაც, რომ **ქართველ თავადთა და მემამულეთა დიდი ნაწილი რუსული არმიის რიგებს ავსებდა.** პასკევიჩი მილიციელთა შორისაც მოიხსენიებს მათ სახელებს: **ამილახვრებს, მაჩაბლებს, ციციანოვებს, თარხანოვებს, ბაგრატიონებს, ორბელიანებს, მელიქოვებს, ბარათოვებს, ერისთავებს, ჭავჭავაძეებს, მაყაევებს, ვახვახოვებს, ანდრონიკოვებს და სხვებს.** საყურადღებოა, რომ მიზეზები არა სახალხო სიმამაცეში უნდა ვეძებოთ, არამედ თვით მილიციის ფუნქციაში, რომელიც მაშინ ქვეყნის შიგნით დაცვის მიზნით იკრიბებოდა. სხვა მხრივ, ყველა ჯარის საზღვრებს გარეთ გაყვანით დაუცველი დარჩებოდა ქართველთა სახლები, რომლებსაც ყოველთვის ემუქრებოდა ყაჩაღური თავდასხმები. **თურქეთთან ომიდან 2-3 წლის შემდეგ, როცა ხალხის შეხედულება იგივე რჩებოდა, რაც იყო პასკევიჩის დროს, ქართული მილიცია უცილობლად მსახურობდა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, ასევე ლეკთა ხაზზე. საქართველოში მაშინ საკმარისი ჯარები რჩებოდა და ქართველებიც მშვიდად მიდიოდნენ, რათა დარწმუნებული იყვნენ თავიანთი ოჯახების უსაფრთხოებაში.**

მკაცრი გამოძიება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაფერ ამაში პოლიტიკური არაფერი იყო. კოდის ზოგიერთი მცხოვრების განმარტებით, მათი ამბოხი თავადების ბრალი იყო, რომლებმაც ავლაბრის ხიდიდან ისინი უკან გააბრუნა და დედაქალაქში არ შეუშვა. ამ თავადებმა დაარწმუნა გლეხები, რომ, თუ თბი- ▶

**სურდა რა, დაემტკიცებინა პასკევიჩისთვის თავისი მშვიდობისმოყვარეობა, მან ყველა სასაზღვრო სპარსელ უფროსებს დაუგზავნა ბრძანებები, არ დაეშვათ რუსულ მიწებზე მათდამი დაქვემდებარებული ჯგუფების თავდასხმები, რუსებს კი უფლება მისცა, შეეძინათ ხორბალი სალმაზსა და ხოეში. მაკინის ხანს, რომელიც საომარი მოქმედებებისთვის უკვე მზად იყო და თავისი მხედრიონით დარაბიზის ხეობა ეკავა, ახლა იმავე ცხენოსნების მეშვეობით ბაიაზეთში რუსული ჯარებისთვის უნდა ჩაეტანა პური; ხოლო ჯალადინის ქურთებს ნება დაერთოთ, ჩარიცხულიყვნენ ბაიაზეთში ჩამოყალიბებულ ქურთთა პოლკში.**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ლისში შევიდოდნენ, მაშინვე ჯარში ჩარიცხავდნენ. ახლა ამ თავადებიდან ერთმა ხელი მოჰკიდა მილიციის შეგროვებას, მეორემ კი სცადა მისთვის წინააღმდეგობების შექმნა. სტრეკალოვს მათი დასჯა საჭიროდ აღარ მიაჩნდა, მაგრამ პასკევიჩი ასე არ ფიქრობდა. თავადები: ორბელიანი, ციციანოვი და თარხანოვი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ ვერ მოაგროვა საჭირო მტკიცებულებანი და ყველანი გაათავისუფლა.

ასე ამგვარად, ღრუბელივით გადაიარა ივერიის თავზე ავბედითმა დრომ, ზოგიერთების მიერ „სახალხო ბუნტად“ მონათლულმა. სინამდვილეში კი არანაირი ბუნტი არ ყოფილა, იყო მხოლოდ გაუგებრობა. **ქართველები მაშინ ჯერ კიდევ თავიანთი წარსულით ცხოვრობდნენ და ერთი ხელის დაკვრით არ შეეძლოთ, გათავისუფლებულიყვნენ თავიანთი შეხედულებებისგან, თვისებებისგან, რომელთა გავლენით იზრდებოდა თაობები.** ყველა მათგანს როდი შეეძლო, გაეგო და დაეფასებინა მთავრობის სიკეთე. საქართველოში ჯერაც ცხოვრობდნენ მოუსვენარი ელემენტები, არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ძველ ქართულ ადათებს; ჯერაც იყვნენ თავადები, რომლებიც პირადი შუღლისა და ანგარიშის გამო სამშობლოს სიმშვიდეს სწირავდნენ. **საჭირო იყო უძლიერესი დრო, რათა ქართველებისთვის რუსული წესრიგის უპირატესობა ეჩვენებინა და აეძულებინა ისინი, დაევიწყებინათ ურთიერთშორის მტრობა, რამაც ქვეყანა უკვე მისი პოლიტიკური არსებობის ზღვრამდე მიიყვანა.**

საქართველოში მღელვარებათა დაცხრომა ზუსტად დაემთხვა ახალციხიდან აჭარელთა გაქცევას და ლიმანთან გამარჯვებას. ამდენად, თურქეთის მხრიდან საფრთხე ჯერჯერობით არ იყო მოსალოდნელი. ეს კი პასკევიჩს საშუალებას აძლევდა, სპარსეთთან მოლაპარაკებაზე დაეხარჯა მთელი თავისი ენერგია.

**ძნელი იყო სპარსეთის გარეგანი პოლიტიკის გაგება. ეჭვგარეშე იყო, რომ თეირანს საიდუმლო კავშირი ჰქონდა პორტასთან, რომელმაც გამოიყენა რა თეირანში რუსეთის ელჩის მკვლელობის ამბავი, ყველა ღონეს ხმარობდა, ჩაერთო სპარსეთი რუსეთთან ახალ ომში.** მეორე მხრივ, სპარსეთის პრინცი, როგორც ჩანს, გულწრფელად შეწუხებული იყო თეირანში მომხდარით და რუსებზე არანაკლებ განიცდიდა ამას.

**„არ ვიცი, რა ბოროტი სული უთვალთვალებს ჩემს ბედს!** — მისწერა მან რუსეთის კონსულს ამ ამბის შეტყობისთანავე, — **მე მხოლოდ ახლახან მოვახერხე აღმედგინა მეგობრობა ორ სახელმწიფოს შორის, ეს ფაქტი კი ყველაფერს შლის, რაც კი გამიკეთებია. წყეულიმც იყოს ირანი! თქვენ წინაშე ვფიცავ იმ ღმერთს, რომელიც ჩვენ ორივეს გვწამს, — რამეთუ ღმერთი ერთია, — ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენი მისიის მიერ დაღვრილი სისხლის ჩემი ცოლებისა და შვილების სისხლით შეცვლა რომ შემეძლოს!“.**

კონსულის შენიშვნაზე, რომ უბედურების მთავარი მიზეზი შაჰის სისუსტეში უნდა ეძებნათ, პრინცმა უთხრა: **„შაჰის ჩამოგდებას მე ვერ გავბედავ, მის სისუსტეებზე დუმილი კი არ შემიძლია. აი, შაჰი! ზის ჰარემში და იქიდან არ გამოდის მაშინაც კი, როცა აუცილებელია... არ ვიცი, სირცხვილსა და შერცხვენას სად დავემალო“.**

ეს სიტყვები მან სრულიად გულწრფელად განაცხადა. მთელი მისი გარემოცვა ღრმა მწუხარებას მოეცვა, ხოლო აზერბაიჯანში გაძლიერებული ტემპით იკრიბებოდა ჯარები და დაუზარელ ინგლისს ტრაპეზუნდიდან მოჰქონდა უამრავი იარაღი. მშვიდობის სახელით სპარსეთის მთავრობა დარადიზის ხეობას ამაგრებდა, ხოლო მარანდიდან ხოიმდე გზებზე, საქართველოში მოარული ხმების თანახმად, გამოჩნდა ალი-ხანის ცხენოსნები. ამასთან, ამბობდნენ, რომ ეს ჯარები მხოლოდ მოწინავე რაზმი იყო შაჰის ერთ-ერთი ვაჟისა, რომელიც თეირანიდან თავრიზისკენ მიდიოდა ორმოცდაათათასიანი კორპუსით.

თალიბის სახანოში, როგორც უკვე ითქვა, სპარსელების საომარი მოქმედებები მირ-ჰასან-ხანის შეჭრით დაიწყო. 25 თებერვალს მან იერიში მიიტანა ქისტაფში მცირე რუსულ გუნდზე, რომელიც მამაცურად იცავდა თავს, სანამ მეორე გუნდი არ წამოეშველა და გაერთიანებული ძალით მირ-ჰასან-ხანი არ გადააგდეს საზღვრებს იქით, მისი უკანდახევის მიუხედავად.

გენერალ-მაიორ რალს ლენქორანში უნდა გადაეყვანა მთელი თავისი ძალები, როცა მიიღო ინფორმაცია, რომ ხანის დასახმარებლად სპარსელები მოდიანო. შირვანის ხანიც გამოცხადდა მუგანის სტეპების საზღვრებზე და თათბირი ჰქონდა ზოგიერთ ბეგთან. ყველაფერ ამაში ძნელი არ იყო შარშანდელი სცენარის გამეორების დანახვა. ახლა მირ-ჰასან-ხანი პრინცის ნებართვის გარეშე ვერ გარისკავდა მოქმედებას. ამბურგერს თავის წერილებში პასკევიჩისადმი ეჭვი პირდაპირ აბას-მირზაზე მიჰქონდა. ის იტყობინებოდა, რომ აბას-მირზამ თავრიზში შეკრიბა თავისი ვაჟები ოჯახებით და, ამბობენ, რუსეთს მფარველობა უნდა თხოვოსო. გამორიცხული არ იყო, რომ ამ ხმებს აბას-მირზა სპეციალურად ავრცელებდა, რათა დრო მოეგო შეიარაღებისთვის. ყოველი შემთხვევისთვის ამით იმის მიხვედრა შეიძლებოდა, რომ სპარსელები ომისთვის მზად არ იყვნენ და ამის გამოყენება საჭიროც იყო. სამწუხაროდ, რუსმა კონსულმა დატოვა თავრიზი და ამგვარად, სპარსეთთან დიპლომატიური კავშირიც გაწყდა. ამბურგერის უკან დაბრუნება ან მოლაპარაკებათა დაწყება სხვა პირის მეშვეობით სპარსეთის თვალში თავის დამცირებას ნიშნავდა. ამიტომ მთავარსარდალმა გადაწყვიტა, ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა.

**მარტის დასაწყისში თბილისის კარანტინში სპარსეთიდან ვიღაც აკი-იუზ-ბაში მივიდა და აცნობა, რომ გრაფ პასკევიჩს ერთი რამ უნდა აუწყოს. აღმოჩნდა, რომ იგი პრინცის გამოგზავნილი იყო, ვისგანაც პასკევიჩმა პრინცის უკიდურესად რთული მდგომარეობის ამბავი შეიტყო.** შაჰი, სხვა ვაჟიშვილების დაჟინებით, მისგან თავდასხმითი მოქმედების დაწყებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა, რომ აზერბაიჯანში მის შემცვლელს გამოგზავნიდა. არ იცოდა რა, როგორ მოქცეულიყო (ერთნაირად ერიდებოდა შაჰისაც და რუსებისაც) აბას-მირზამ გადაწყვიტა, რჩევა რუსი მთავარსარდლისთვის ეკითხა. პასკევიჩმა ნახა ხელსაყრელი მომენტი მოლაპარაკებათა გასაახლებლად და თავრიზში გაგზავნა თავისი ადიუტანტი, თავადი კუდაშევი საიდუმლო წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო:

**„თქვენი უდიდებულესობა მეკითხება, როგორ მოვიქცე ასეთ რთულ სიტუაციაში; კარგად დაუკვირდით, რა მდგომარეობაში იმყოფებით თქვენს პროვინციაში. შაჰს უნდა ომის დაწყება. დავუშვათ, დაჰყევით მამისა და ძმების ნებას და დაიწყეთ საომარი მოქმედებები. მთელ სახელმწიფოში თქვენ ვერ შეკრებთ 60 ათასზე მეტ ჯარისკაცს. მართალია, რომ ამჟამად სპარსეთის მოსაზღვრე ჩვენს პროვინციებს საკმარისი თავდაცვა არ აქვთ, ჯარები იქ მხოლოდ ციხესიმაგრეებში დარჩა. ივნისში თქვენ შეგიძლიათ, შეიჭრათ დაუცველ მხარეში, დაარბიოთ იგი, მაგრამ ციხესიმაგრეებს ვერ აიღებთ, რამეთუ თქვენმა უდიდებულესობამ იცის, რომ რუსები ციხესიმაგრეებს არ ტოვებენ; სურსათი საკმარისი გვაქვს. ასე რომ, თქვენი წარმატებები საზღვრებთან ახლოს დარჩება. წინ წასვლას, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავთ, რადგან ჭკვიანური არ იქნება, ზურგში მოიტოვო აუღებელი ციხესიმაგრე.**

**ჩემი მხრიდან, მე ვაგროვებ 25-ათასიან ჯარს თურქეთის საზღვართან, მივდივარ მათ წინააღმდეგ, ვამარცხებ მათ სოღანლუღთან, ვიღებ არზრუმს და ოქტომბერში, როცა მთები თოვლით დაიფარება და არავითარი კავშირი არ გექნებათ სერასკირთან, მე ბაიაზეთიდან ხოისა და თავრიზში დავბრუნდები. ამ დროს (ე.ი. შემოდგომაზე) შაჰისა და თქვენი ძმების ჯარები თავთავიანთ პროვინციებში გაიფანტებიან, თქვენ რჩებით მარტო თქვენი აზერბაიჯანელების ამარა. მე ვიპყრობ აზერბაიჯანს და ის თქვენი აღარასოდეს იქნება, მის გარეშე კი თქვენი უდიდებულესობა გვირგვინს ვერ დაიდგამს. გავა სადღაც ერთი წელი და კაჯაროვის დინასტია საერთოდ აღარ იარსებებს. რაც იყო ბოლო ომში, აქაც ის იქნება. არ დაამყაროთ იმედები ინგლისელთა დაპირებებზე და თურქებზე. სულთანი ყველაზე რთულ მდგომარეობაშია; ჩვენი ფლოტი მასთან არ უშვებს სასიცოცხლო მარაგს; ადრიანოპოლი კანკალით ელოდება დაცემას; რუსეთის ხელმწიფის ნება ერთსულოვნად სრულდება ყველგან იმ ჯარების მიერ, რომელთა უშიშროება მთელ ევროპაშია ცნობილი. ინგლისელები თქვენ ვერ დაგიცავენ, რამეთუ მათი პოლიტიკა მხოლოდ ოსტ-ინდის სამფლობელოებს შეეხება. აზიაში კი ჩვენ შეგვიძლია დავიპყროთ სახელმწიფო და არაფერს გვეტყვის: ეს ევროპა არაა, რომ ყოველი საჟენი მიწისთვის სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდეს. თურქეთი საჭიროა ევროპის პოლიტიკური წონასწორობის მხარდასაჭერად, მაგრამ ევროპული ზესახელმწიფოებისთვის სულერთია, ვინ მართავს სპარსეთს. თქვენი პოლიტიკური არსებობა ჩვენს ხელშია; მთელი თქვენი იმედები რუსეთია, მხოლოდ მას შეუძლია თქვენი მხარდაჭერა.**

**თუ თქვენს უდიდებულესობას ჩემი აზრი აინტერესებს, გულწრფელად გეტყვით, ურთიერთობის დასალაგებლად საუკეთესო გზაა პატიების თხოვნა ჩემი ხელმწიფისთვის, თეირანში მომხდარის გამო. ამისთვის ყველაფერს აჯობებს, ჩემთან თბილისში თქვენი ერთ-ერთი ძმა ან ვაჟიშვილი გამოგზავნოთ წერილით პეტერბურგში გასაგზავნად. ჩვენდამი თქვენი ერთგულების ნიშნად კი ომი გამოუცხადეთ თურქეთს, გადალახეთ მისი საზღვარი და დაეცით ვანს. ჩემი მხრიდან, გპირდებით იარაღით უზრუნველყოფას და ჯარებითაც ვიქნები თქვენი გამარჯვებების თანამონაწილე. ამით თქვენ დაამტკიცებთ, რომ მომხდარი თქვენი და შაჰის ნებას არ გამოხატავდა. განაცხადეთ, რომელ პირობებს მიიღებთ. თქვენმა უდიდებულესობამ იცის, რომ მე სიტყვას არ ვტეხ. დაველოდები თქვენს გამოხმაურებას“.**

ამ საიდუმლო წერილთან ერთად კუდაშევმა წაიღო მეორეც, ოფიციალური ხასიათის, და აპრილის შუა რიცხვებში თავრიზში ჩავიდა. იქ უკვე იცოდნენ, რომ რუსეთის არმიას სპარსეთის საზღვრებზე ჰქონდა ყურადღება გამახვილებული. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ მდგომარეობამ უბიძგა სპარსელებს, დათმობებზე წასულიყო. კუდაშევი წერდა პასკევიჩს, რომ სპარსელები ომისთვის ემზადებიანო. რაც შეეხება პრინცს, წერილის წაკითხვის შემდეგ იგი აშკარად მშვიდობისკენ იხრებოდა. მან ისიც კი განაცხადა, რომ შაჰის პასუხის დაულოდებლად ეთანხმება პასკევიჩის რჩევებს. მან პეტერბურგში ვაჟიშვილის გაგზავნა გადაწყვიტა. მისი მხრიდან ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი და საკმაოდ სარისკოც. მაგრამ აბას-მირზას სხვა გზა არ ჰქონდა.

სურდა რა, დაემტკიცებინა პასკევიჩისთვის თავისი მშვიდობისმოყვარეობა, მან ყველა სასაზღვრო სპარსელ უფროსებს დაუგზავნა ბრძანებები, არ დაეშვათ რუსულ მიწებზე მათდამი დაქვემდებარებული ჯგუფების თავდასხმები, რუსებს კი უფლება მისცა, შეეძინათ ხორბალი სალმაზსა და ხოეში. მაკინის ხანს, რომელიც საომარი მოქმედებებისთვის უკვე მზად იყო და თავისი მხედრიონით დარაბიზის ხეობა ეკავა, ახლა იმავე ცხენოსნების მეშვეობით ბაიაზეთში რუსული ჯარებისთვის უნდა ჩაეტანა პური; ხოლო ჯალადინის ქურთებს ნება დაერთოთ, ჩარიცხულიყვნენ ბაიაზეთში ჩამოყალიბებულ ქურთთა პოლკში.

სპარსეთის მთავრობის ასეთი განწყობილება რომ შეენარჩუნებინათ, პასკევიჩი თავრიზში გასამგზავრებლად აჩქარებდა გენერალ-მაიორს, თავად დოლგორუკოვს, რომელსაც სპარსეთის პრინცის ნებით მიენიჭა მინისტრის განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობები, თუმცა ამ ოფიციალური ტიტულის გარეშე. ასეთი პირის თავრიზში ჩასვლა აუცილებელი იყო, რამდენადაც აბას-მირზას ეპყრა ხელთ სპარსეთის პოლიტიკის მთავარი ძაფები. ამასთან, მის უხასიათობას კარგად იცნობდა პასკევიჩი. **აბას-მირზა ბუნებისგან ცოცხალი ტემპერამენტით დაჯილდოვებული, ფეთქებადი და ნერვული, ყოველთვის წუთიერი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა და ეს ყველაფერი მთლიანად აისახებოდა სახელმწიფო საქმეებში. ადვილი იყო პრინცის სხვის ჭკუაზე გატარება. უჭირდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რადგან საამისო ნებისყოფა არ გააჩნდა. თავადი დოლგორუკოვი კი სწორედ ის კაცი იყო, რომელსაც შეეძლო, ზემოქმედება მოეხდინა აბას-მირზაზე და მისი მოქმედებისთვის რუსეთისა და სპარსეთის სასიკეთო მიმართულება მიეცა.**

პოლიტიკური ვითარება ისეთი რთული იყო, ისეთი ჩახლართული, რომ დოლგორუკოვს მძიმე მისია დაეკისრა. აპრილი მიიწურა. მალე თბილისში პრინც ხოსროვ-მირზას საზეიმო ვითარებაში უნდა ჩამოჰყოლოდა სპარსული საელჩო. მხოლოდ მაშინ, როცა ეს საელჩო პეტერბურგის გზას დაადგებოდა, შესაძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ სპარსეთის მწვავე საკითხი, რომელმაც საგრძნობლად გაართულა საქმე ამიერკავკასიის მხარეში, კეთილად გადაწყდება. მხოლოდ მაშინ შეძლებდა პასკევიჩი, მთელი თავისი ყურადღება და ამიერკავკასიის რუსული ძალები თურქეთზე გადაეტანა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეთექვსმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**აშშ-ში ბირჟაზე დარეგისტრირებულ ფირმებში საკუთრების წილთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსნა მანამდე არ შეიძლება, ვიდრე ერთი პირის ხელში აქციათა 5% არ მოიყრის თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 11 ადამიანს, მაგალითად ოჯახს, შეუძლია ფარულად აკონტროლოს 11 სააქციო საზოგადოება, თუ თითოეულში ყველა მათგანი ინდივიდუალურად აქციების მაქსიმუმ 4,99%-იანი პაკეტით შემოიფარგლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი მათგანი ოფიციალურად ფლობს აქციათა 4,99%-ს 11 მედიაკონცერნში. ეს აქციები ან „ოჯახში“ რჩება, ან აბსოლუტურად ლეგალურად კონტროლდება პატარა ანონიმური ჯგუფის მიერ. ასე რომ, ერთი პატარა დაჯგუფების მიერ მასმედიის კონტროლი შესაძლებელია და ამის შენიღბვას დიდი მცდელობა არ სჭირდება.**

# ვინ აკონტროლებს მსოფლიო პრესას

**მთელ მსოფლიოს ხუთი გიგანტი კარნახობს, რაზე უნდა იფიქრონ მასებმა და რით უნდა გაერთონ. 2003 წლის შემოდგომიდან მასმედიაზე ოფიციალური კონტროლი აქციათა დიდი ნაწილის შესყიდვით ხელში ჩაიგდო სწორედ ამ ხუთმა მედიამაგნატმა — „აოლ თაიმ უორნერმა“, „ვაიეკომმა“, „ენ-ბი-სი უნივერსალმა“, „ბერტელსმანმა“ და „მერდოკ ნიუს კორპმა“. მთავარი აქციონერები ან ადამიანები, რომლებიც ამ ხუთ მედიაგიგანტში გადაწყვეტილებებს იღებენ, ერთსა და იმავე მიზანსა და იდეოლოგიას ემსახურებიან, ერთსა და იმავე პატრონებს ემსახურებიან.**





თუ ვინმეს ჰგონია, რომ მედიაგიგანტი „ბერტელსმან გმბხ“ ტიპური გერმანული ფირმაა, მას ავიწყდება, რომ მასში 25%-ის მფლობელი საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია „გრუპ ბრიუსელ ლამბერია“, რომელიც ფულს საკუთარი ან საიდუმლო კლიენტის სახელით აბანდებს. მოკლედ, **თუ ვინმეს სურს, ანონიმურად დარჩეს, თავიდან ერთ ან რამდენიმე პატარა ბანკს იყიდის, შემდეგ კი ისინი, როგორც ნეიტრალური მესამე პირები, აბანდებს ფულს მედიაგიგანტში, თავად კი ჩრდილში რჩება. ამის შესახებ ბებერმა როტშილდმა ჯერ კიდევ 150 წლის წინათ იცოდა. ის აშშ-ში ინვესტიციებს არა საკუთარი სახელით, არამედ საიდუმლო პარტნიორების როკფელერისა და მორგანის დახმარებით ახორციელებდა.** დღესაც სერ ეველინ დე როტშილდი (ბრიტანეთში), მისი ძმა დევიდ დე როტშილდი (საფრანგეთში) და ოჯახის სხვა წევრები ინვესტიციებს ახორციელებენ არა საკუთარი სახელით, არამედ საიდუმლო ჰოლდინგ „კონკორდიას“ გავლით. „კონკორდიას“ აკონტროლებს ჰოლდინგი „როტშილდ კონტინუეიშენ ჰოლდინგი“, რომელიც ცნობილი ბანკის — „HM როტშილდის“ მთავარი აქციონერია. აქციათა პაკეტები, რომლებიც ნდობით აღჭურვილ პირებს ან სხვა საიდუმლო ჰოლდინგებს ეკუთვნით, უცნობი რჩება.

**ყველა დაჯგუფება, რომელსაც სურს, ანონიმურობა შეინარჩუნოს, რათა საკუთარი მონოპოლიური ინტერესები დაფაროს და რისკები გამორიცხოს, ნდობით აღჭურვილი პირების, იგივე მარიონეტების მომსახურებით სარგებლობს.** **აუცილებელი კაპიტალით აღჭურვილი ეს პირები ოფიციალურად საკუთარი, სინამდვილეში კი პატრონების ინტერესების დასაცავად აქტიურდებიან. ის, ვინც ნებადართულს გადააჭარბებს, შეიძლება სასიკვდილოდ დაავადდეს ან ისეთი დეპრესია შეეყაროს, რომ ერთადერთ ხსნად თვითმკვლელობა დარჩეს.**

აშშ-ის კერძო ფედერალური ბანკის ოფიციალური დამფუძნებლები და მთავარი აქციონერები 1913 წელს იყო: „როტშილდის ბანკი“ (ლონდონი, პარიზი), „ძმები ლაზარების ბანკი“ (პარიზი), „იზრაელ მოზესას სეიფ-ბანკი“ (იტალია), „ვარბურგის ბანკი“ (ამსტერდამი, ჰამბურგი), „ლამანის ბანკი“ (ნიუ იორკი), „კუნის, ლიობისა და კოს ბანკი“ (ნიუ იორკი), „როკფელერის ჩეიზ მანჰეტენ ბანკი“ (ნიუ იორკი) და „გოლდმან საქსის ბანკი“ (ნიუ იორკი). სხვა წყაროები მხოლოდ შვიდ ბანკირს ასახელებენ: როტშილდს, ბარბურგს, როკფელერს, შიფს, ჰარიმანს, ვანდერლიპსა და მორგანს. **ბანკები ერთმანეთს ერწყმიან, სახელებს იცვლიან, მათ უკან კულისებში მდგომი უხილავი ნამდვილი მფლობელები კი უცვლელნი რჩებიან.**

**აშშ-ის ფედერალური ბანკი აშშ-ის ხელისუფლებას ან მთავრობას კი არა, ზემოხსენებულ ბანკებს, რამდენიმე კერძო მესაკუთრესა და მათ უკან მდგომ პირებს ეკუთვნის. ასეა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკი და ინგლისის ბანკი კერძო საკუთრებაა. თუ სახელმწიფოს ვალი აქვს, მას საკუთარი თავის კი არა, ამ ფედერალური ბანკების, ანუ მისი მფლობელებისა მართებს. სწორედ მათ უხდის გადასახადების გადახდით მოკრებილი მილიარდებიდან ყოველწლიურად პროცენტს.**

## უკლებლივ ყველა მედიამაგნატი უკიდურესად მეგობრულადაა განწყობილი ისრაელის მიმართ. ეს აერთიანებს ყველა ნამდვილად წარმატებულ ადამიანს

ყველა მარიონეტი, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება უპრობლემოდ შეიცვალოს. ზემოხსენებული მედიამაგნატები, რომლებიც მუდამ ფლობენ მილიარდობით ლიკვიდურ სახსრებს (რომელთა წარმომავლობის საკითხი, საეჭვოა, მასმედიაში როდესმე დაისვას და ამიტომაც მუდმივად უცნობი დარჩება), თითქოსდა საკუთარი სახელით ყიდულობენ მედიაჰოლდინგებსა და მასმედიის აქციებს. **ცალსახად თვალშისაცემია, რომ უკლებლივ ყველა მედიამაგნატი უკიდურესად მეგობრულადაა განწყობილი ისრაელის მიმართ. ეს აერთიანებს უკლებლივ ყველა ნამდვილად წარმატებულ ადამიანს.**





შედარებით დამოუკიდებელი მედიაკონცერნები, რომელთაც არ სურთ, გაიყიდონ, ფინანსირების შეზღუდული პოლიტიკით აბსოლუტურად მიზანმიმართულად შეიძლება მიიყვანონ ლიკვიდურობის კრიზისამდე, რათა აქციების ბირჟაზე გატანა, გაყიდვა ან გაკოტრება აიძულონ.

პრაქტიკულად დაინტერესებული პირი კრედიტორი ბანკისგან მედიაკონცერნის სავალე ვალდებულებებს ყიდულობს და დროის მოკლე მონაკვეთში მათ ასანაზღაურებლად წარადგენს. თუ ანაზღაურებისთვის ფული არ არის, მედიაკონცერნი გაკოტრების წინაშე დგას. ხშირად ერთადერთ ალტერნატივად ასეთ მდგომარეობაში დაინტერესებული პირი სავალე ვალდებულებების სანაცვლოდ ხმის უფლების ან კონტროლის მფლობელ კომპანიონად იქცევა. ასეთი, გარეგნულად დამოუკიდებელი, მედიაკონცერნი სინამდვილეში საიდუმლოდ ხდება მონოპოლიის ნაწილი.

კეთილსაიმედო დაფინანსების გარეშე დღეს არანაირი მილიარდიანი ექსპანსია არ გამოდის. საიდან მოდის ეს ფინანსები? კიდევ რა პირობები უნდა შესრულდეს, გარდა კრედიტებისა და პროცენტების ჩაქრობისა? ვის ჰქონდა ფული მუდმივად და ვინ გასცემდა მას მაღალი პროცენტით? სად კონცენტრირდება დღეისათვის ყველაზე დიდი კაპიტალი? რა აქვს საერთო ამ ყველაფერს უოლ-სტრიტსა და ამერიკულ პოლიტიკასთან?

ამავე დროს, **ათი ათასი პატარა, ოდესღაც დამოუკიდებელი რადიოსადგურის მფლობელობა აშშ-ში რამდენიმე მსხვილ მედიაჯგუფს აქვს გადანაწილებული.**

**შედარებით წარმატებული კინემატოგრაფისტების სტრატეგია ერთ მედიაკომპანიაზე კონცენტრირება და მისი ფინანსური კონტროლირებაა. თავისი მილიონებით არავინ გარისკავს და არ აწარმოებს კინოპროდუქციას, რომელიც საკუთარი თავისთვის რისკის გარეშე ვერ შეძლებს კაპიტალის სესხებას.**

**სავსებით საკმარისია, აკონტროლებდე ფილმების გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით და კინოთეატრებში, ვიდეოთეკებსა თუ ტელევიზიებში დაუშვა მხოლოდ ის ფილმები, რომლებიც სასურველი მიმართულებით მანიპულირებს.**

მას, ვისაც ფული აქვს, შეუძლია სავსებით კანონიერი და დემოკრატიულად კორექტული გზით იყიდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ანუ მანიპულაციის შესაძლებლობები და საბოლოო ჯამში — ძალაუფლებაც, რომელსაც საიდუმლოდ მოუყრის თავს პატარა გავლენიანი დაჯგუფების ხელში.

არავის შეუძლია, დაჟინებით ამტკიცოს, რომ იცის, ვინ აკონტროლებს ამერიკის აქციონერთა საზოგადოებას და მილიარდიანი კაპიტალის მქონე მედიაგიგანტებს სინამდვილეში. მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია მკვეთრი ტენდენციის იგნორირებაც. **მართალია, არის სახელები, მაგალითად მერდოკი, რედსტოუნი, საბანი, გოლდენზონი, პეილი, სარნოვი, სულცბერგერი, მაიერ-გრეჰემი და ასე შემდეგ, მაგრამ არავის შეუძლია, დანამდვილებით ამტკიცოს, რომ ეს ადამიანები საქმეში სიტყვის თქმის ოფიციალური უფლებით სარგებლობენ და მხოლოდ ჭკვიანი მარიონეტები არ არიან.**

დღეს მასმედიის აქციათა პაკეტების დიდი ნაწილი ტრანსნაციონალურ მედიაკომპანიებსა და ჰოლდინგებს შორისაა გადანაწილებული, მათი გაკონტროლება კი იურიდიულად ძალზე რთულია. გარდა ამისა, აშშ-ში ბირჟაზე დარეგისტრირებულ ფირმებში საკუთრების წილთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსნა მანამდე არ შეიძლება, ვიდრე ერთი პირის ხელში აქციათა 5% არ მოიყრის თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 11 ადამიანს, მაგალითად ოჯახს, შეუძლია ფარულად აკონტროლოს 11 სააქციო საზოგადოება, თუ თითოეულში ყველა მათგანი ინდივიდუალურად აქციების მაქსიმუმ 4,99%-იანი პაკეტით შემოიფარგლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი მათგანი ოფიციალურად ფლობს აქციათა 4,99%-ს 11 მედიაკონცერნში. ეს აქციები ან „ოჯახში“ რჩება, ან აბსოლუტურად ლეგალურად კონტროლდება პატარა ანონიმური ჯგუფის მიერ. ასე რომ, ერთი პატარა დაჯგუფების მიერ მასმედიის კონტროლი შესაძლებელია და ამის შენიღბვას დიდი მცდელობა არ სჭირდება.

**სააგენტო „როიტერის“ ოფიციალური მსხვილი აქციონერების გარდა, კიდევ 28 100 აქციონერის სტრუქტურა უპრობლემოდ ფარავს საინვესტიციო და საქველმოქმედო ფონდების (34%), საპენსიო ფონდების (24%), ბანკების (4%), სადაზღვევო კომპანიების (4%), კერძო აქციონერების (2%), არაკომერციული საზოგადოებებისა (1%) და ხელისუფლების (1%) მონაწილეობას.**

**„ასოშეითედ პრესი“ ოფიციალურად დარეგისტრირებულია როგორც არაკომერციული საზოგადოება, რომელიც 1500 ყოველდღიურ ამერიკულ გაზეთს აერთიანებს. ის, ვინც ამ გაზეთებს აკონტროლებს, აკონტროლებს სააგენტოსაც. ამერიკის ყოველდღიური გაზეთების უმეტესობას, შესაბამისად, „ასოშეითედ პრესსაც“, მედიაგიგანტების მსხვილი გამოცემები აკონტროლებს. ეს სააგენტო მსოფლიოს მასშტაბით 121 ქვეყნის 8500 გაზეთს, რადიოსადგურსა და ტელეკომპანიას აწვდის იმ ინფორმაციას, რაც მათმა მკითხველმა, მსმენელმა და მაყურებელმა უნდა იცოდეს.**

KM.RU







ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ძალის საფუძველს ამერიკელები შეადგენენ. სხვა ყველა ამცირებს სამხედრო ხარჯებს და ამერიკული ქოლგის ქვეშ დამალვას ცდილობს. ზოგიერთებმა, შესწირეს რა თავდაცვის ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებს, შეიარაღებულ ძალებზე ყველა საჭიროებისთვის გამოყოფილი ფულის 1,5%-ს ხარჯავენ. და რაკი ასეა, გამოდის, რომ მათ საკუთარი თავდაცვის საკითხებიც კი აშშ-ს გადააბარეს.

დაიჯესტი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ნატოს კრიზისი: ვინ შეასრულებს შავ საქმეს

**რამდენად ერთიანია ნატო და შეიძლება, რომ ის უშუალოდ აშშ-ის იარაღად ჩავთვალოთ? ეს კითხვები ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციის შექმნის მორიგ წლისთავზე შემთხვევით არ წამოჭრილა. ამ სამხედრო ბლოკში შემავალი მთელი რიგი ქვეყნები ლიბიის წინააღმდეგ აგრესიას მხარს არ უჭერდნენ. განსაკუთრებით სამაგალითო სამხედრო ოპერაციისადმი გერმანიის დამოკიდებულება გახდა, გერმანიისა, რომელიც ნატოში აშშ-ის შემდეგ უმსხვილესი სამხედრო ძალაა.**

**გერმანიამ დასაწყისშივე უარი განაცხადა ლიბიის დაბომბვაში მონაწილეობაზე. შეიძლებოდა ამ ოპერაციისადმი გერმანელების დამოკიდებულება იმისთვის მიგვეწერა, რომ გერმანია ლიბიის დიდი ხნის პარტნიორია. კადაფსა და დასავლეთს შორის უდიდესი დაპირისპირების დროსაც კი გერმანელები ტრიპოლთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას განაგრძობდნენ.** ისინი ლიბიის ნავთობის დაახლოებით ათი პროცენტის მომხმარებლები იყვნენ. გარდა ამისა, გერმანია ლიბიასთან ურთიერთსასარგებლო სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას ახორციელებდა. მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკურმა მოტივებმა, განაპირობოს ესა თუ ის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

უფრო მეტიც, **ნატოს ახლადნაზიარები აღმოსავლეთევროპელებიც კი, რომელთაც აშშ-ის ყველაზე ერთგულ მომხრეებად მიიჩნევდნენ, ლიბიის კრიზისთან დაკავშირებით განზე გადგნენ.** ვიღაცას, ისევე, როგორც პოლონეთს, ამ ქვეყანაში „დემოკრატიის“ დამყარება სურს; სხვებს, მაგალითად, ბულგარეთს, „ენერგეტიკული კომპანიების ინტერესებით ნაკარნახევი“ ეს ოპერაცია არ მოსწონს და ამის გამო ალიანსელ უფროს მეგობრებს აკრიტიკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბლოკის შიგნით რყევები, კარგა ხანია, შეინიშნება. **ყველაზე მეტ უსიამოვნებებს ალიანსის ხელმძღვანელობას ორი ქვეყანა — საფრანგეთი და საბერძნეთი უქმნიდა.** პირველი 1966 წლის ივლისიდან ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გავიდა და პოლიტიკურში დარჩა. მართალია, ამით განსაკუთრებული ტრაგედია არავის შეუქმნია, მაგრამ ფრანგებმა იგივე ამერიკელებს არაერთხელ შეუქმნეს სერიოზული უსიამოვნებები.

მაგალითად, 1986 წლის აპრილში საფრანგეთმა დემონსტრაციულად დახურა თავისი საჰაერო სივრცე აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის, რომლებიც ბრიტანული ბაზებიდან იმავე ლიბიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მან კონსტრუქციული როლი შეასრულა წარმოქმნილ კრიზისში და გერმანიასა და იტალიასთან ერთად საერთო ანტირუსული პოზიციის შემუშავება არ დაუშვა.

რაც შეეხება საბერძნეთს, 1974-დან 1980 წლამდე ის ასევე არ შედიოდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში, რაც მეზობელ თურქეთთან მისი რთული ურთიერთობებით იყო განპირობებული. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს აგრესიისას, უწევდა რა ბელგრადს საკმაოდ სერიოზულ დახმარებას, ერთობ გამომწვევად იქცეოდა. ზოგიერთებმა მაშინ ის იმაშიც კი დაადანაშაულეს, რომ სერბებს სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას აწვდიდა.

**კიდევ უფრო საინტერესო იყო ალიანსის ევროპელი წევრების დამოკიდებულება ერაყში აშშ-ის სამხედრო ავანტიურისადმი. ამ ოპერაციას მხარი დაუჭირა ნატოს ქვეყნების რეკორდულად მცირე რაოდენობამ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ამ ქვეყნებმა ერაყში თავიანთი სიმბოლური კონტინგენტები გაგზავნეს, რეალური დახმარება აშშ-ს მხოლოდ ბრიტანეთმა გაუწია.**

შეიძლება, რომ ამ მდგომარეობაში ნატო კვლავაც აშშ-ის პოლიტიკის ინსტრუმენტად განვიხილოთ? დიახ. **როგორი განხეთქილებაც უნდა იყოს ალიანსის შიგნით, ნატო კვლავ აშშ-ის ინსტრუმენტად დარჩება.** თუნდაც ეგრეთ წოდებული ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა წმინდა ამერიკული პროექტია, რადგან დანარჩენი ქვეყნებიდან არც ერთს არ შეუძლია, რაიმეთი შეავსოს ის. **სავარაუდოდ, რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ საუბრები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და აშშ-ის ნატოელ-ევროპელი მოკავშირეები იძულებული იქნებიან, ბევრი რამ ამერიკული წესებით გააკეთონ.**

სხვა თუ არაფერი, ბლოკის სამხედრო ძალის საფუძველს ამერიკელები შეადგენენ. სხვა ყველა ამცირებს სამხედრო ხარჯებს და ამერიკული ქოლგის ქვეშ დამალვას ცდილობს. ზოგიერთებმა, შესწირეს რა თავდაცვის ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებს, შეიარაღებულ ძალებზე ყველა საჭიროებისთვის გამოყოფილი ფულის 1,5%-ს ხარჯავენ. და რაკი ასეა, გამოდის, რომ მათ საკუთარი თავდაცვის საკითხებიც კი აშშ-ს გადააბარეს.

მაგრამ შეასრულებენ კი ამერიკელები შავ საქმეს აფრიკულ კონტინენტზე, ვთქვათ, ფრანგებისთვის? როგორც ცნობილია, მშვენიერ საფრანგეთს არც თუ პატარა ინტერესები აქვს თავისი ყოფილი კოლონიების ტერიტორიებთან დაკავშირებით შავ კონტინენტზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, საიდანაც ტრადიციულად ურანს იღებს.

**ნებისმიერ შემთხვევაში, თავდაცვის მხრივ, აშშ-ის იმედად ყოფნით, ალიანსის სხვა წევრები სერიოზული რისკის წინაშე დგანან, ევროპის მიღმა საკუთარი ინტერესები დარტყმის ობიექტებად აქციონ.**

*pravda.ru*

# როგორ დამალა ამერიკამ საკუთარი რევოლუცია არაბულის მიღმა



**ცხადია, აშშ-ს აფრიკული რევოლუცია აწყობდა. მისი წყალობით, ვაშინგტონმა მსოფლიოსგან დამალა ის კოშმარი, რაც, უკვე ორი თვეა, აშშ-ში ხდება. შტატების თითქმის ნახევარი უზარმაზარი კალიფორნიიდან პატარა მასაჩუსეტსამდე მასობრივი აქციების ქარ-ცეცხლშია გახვეული. ზოგან ამ აქციებში ასიათასობით ადამიანი მონაწილეობს. პროტესტანტები ადმინისტრაციულ შენობებს უტევენ და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოთა მუშაობას ბლოკავენ. სასამართლოები გადავსებულია სარჩელებით, შტატების პარლამენტებში კენჭისყრა შეძახილ „სირცხვილის“ ფონზე მიმდინარეობს, დემოკრატები და რესპუბლიკელები კი ხელმოწერებს აგროვებენ, რომ ერთმანეთის რეკორდული რაოდენობის დეპუტატები გაიწვიონ.**



ყველაფერი ეს რესპუბლიკური პარტიის ერთგვარი შურისძიებაა პრეზიდენტ ობამაზე. უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ორი წელია, ამიტომ ობამასგან გათავისუფლება რესპუბლიკელებს არ შეუძლიათ. სამაგიეროდ, 2010 წლის ნოემბერში ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგად მრავალ შტატში ხელმძღვანელობა შეიცვალა — ძირითადად, დემოკრატიული რესპუბლიკურით. ახლა საუკეთესო დროა, თუნდაც ადგილობრივ დონეზე, ქვეყანა სოციალიზმისგან გადაარჩინონ და პარალელურად დემოკრატებს ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ჩამოაშორონ.

**50 შტატიდან 18-ის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ბიუჯეტის დეფიციტის დასაძლევად პროფკავშირების უფლებების შეკვეცას აპირებს. ამ განზრახვის მთავარი მიზანი ყველგან ერთი და იგივეა: წაართვან საბიუჯეტო პროფკავშირებს დამსაქმებელთან, ანუ სახელმწიფოსთან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების საშუალება. ეს ერთადერთ რამეს ნიშნავს: ექიმების, მასწავლებლების და სხვა სახელმწიფო მოხელეთათვის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება.** არანაირი საბიუჯეტო დეფიციტი ამად არ ღირს. სწორედ ამ აზრისაა აშშ-ის მრავალი მოქალაქე, მათ შორის — თავად პრეზიდენტი ობამაც, რომელმაც შტატების ინიციატივას „პროფკავშირებზე შეტევა“ უწოდა.

განსაკუთრებით მწვავედ პროტესტი ვისკონსინის შტატმა გამოხატა. შტატის დედაქალაქის ქუჩებში ასი ათასი ადამიანი გამოვიდა, თანაც — რამდენიმეჯერ. კვირების მანძილზე პროტესტანტებს ეკავათ შტატის პარლამენტი და დეპუტატებს დანაშაულებრივი შესწორებებისთვის კენჭისყრის საშუალებას არ აძლევდნენ. **ვისკონსინის ანტიპროფკავშირული შესწორებებისგან გადასარჩენად ოპოზიციონერი დემოკრატი პარლამენტარები მეზობელ ილინოისში გაიქცნენ და რესპუბლიკელებს კვორუმი ჩაუშალეს. მაგრამ ეშმაკმა რესპუბლიკელებმა კანონპროექტიდან კვორუმის აუცილებლობასთან დაკავშირებული ყველაფერი ამოშალეს და ანტიპროფკავშირული შეზღუდვები უბრალო ხმათა უმრავლესობით მიიღეს.** ამრიგად, ვისკონსინის პროფკავშირს ჩამოერთვა შესაძლებლობა, კოლექტიური შეთანხმებები გააფორმოს რაიმე პარამეტრით, გარდა ხელფასისა, რომლის მაქსიმალურ ზრდასაც რესპუბლიკელები ინფლაციის ტემპით განსაზღვრავენ.

ამრიგად, დაპირისპირებამ ქუჩებიდან და პარლამენტიდან სასამართლოებში გადაინაცვლა. 29 მარტს სასამართლომ დროებით შეაჩერა ახალი კანონის ძალაში შესვლა, მაგრამ ყველაფრის უკან დაბრუნება, სავარაუდოდ, ველარ მოხერხდება. ვისკონსინში სიტუაციას რესპუბლიკელები აკონტროლებენ და მათ მტკიცედ სწამთ, რომ ამგვარი ზომებით ამომრჩეველთა შორის კეთილგანწყობას მოიპოვებენ.

სინამდვილეშიც ასეა. **ათასობით ამერიკელი ქუჩაში გამოდის, მილიონობით კი — სახლში ზის და ითვლის, რამდენის გადახდა უწევს ამ საბიუჯეტო შტატებისა და მათი პროფკავშირების შესანახად. ამერიკელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მთავრობამ ბიუჯეტის პრობლემები არა ახალი გადასახადებითა და ვალებით, არამედ ხარჯების შემცირებით უნდა მოაგვაროს. ამერიკელებს ესმით, რომ ჯანდაცვასა და განათლებაზე დახარჯული დიდი ფული ამ მომსახურებათა მაღალი ხარისხის გარანტია არ არის.** ამის დასამტკიცებლად ახალგაზრდა მასწავლებლის მეგან სემპსონის მაგალითიც კმარა. 2010 წელს მან მოიღო „შტატის საუკეთესო ახალგაზრდა მასწავლებელის“ ტიტული, ამის შემდეგ კი შემცირებაში მოჰყვა და ვერაფერმა უშველა, რადგან, პროფკავშირის კოლექტიური შეთანხმების პირობების თანახმად, შემცირება ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომლების ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო.

საბიუჯეტო ორგანიზაციების პროფკავშირების კონცეფცია არც თუ ისე ეფექტურია. კერძო დაწესებულებათა თანამშრომლებს ხელფასის გაზრდა კი უნდათ, მაგრამ იმაზეც ფიქრობენ, რომ თავიანთი დამსაქმებელი არ გააკოტრონ და შუალედს იცავენ. საბიუჯეტოების შემთხვევაში ეს შუალედიც არ არსებობს. უფრო მეტიც, პოლიტიკოსები ცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად გაუზარდონ მათ ხელფასი, რომ მათი კეთილგანწყობა და ხმები მოიპოვონ. ყველაფერი კი გადასახადების გადამხდელთა ზურგზე გადადის. ისინი პოლიტიკოსებსა და საბიუჯეტო შტატებს შორის ამ გარიგებაში სულაც არ მონაწილეობენ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც საკუთარი ჯიბიდან აფინანსებენ.

**მალე საბიუჯეტო მშრომელთა პროფკავშირები, რომელშიც ამ სექტორში დასაქმებულთა 36%-ია გაერთიანებული, აშშ-ის ეკონომიკიდან საერთოდ გაქრება. არც დამსაქმებლებს და არც დასაქმებულებს არანაირი სურვილი არ აქვთ, პროფკავშირებში ვიღაც უსაქმურები არჩინონ.**

ROSBALT.RU

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ეს არის რადარი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არსენალი



რადიოგადამცემი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არსენალიდან.

# გასული საუკუნის ჯაშუშური ტექნიკა



ამ იარაღის კალიბრია 4,5 მმ, ეს იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იარაღი პომადის სახით.



**მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბი, რომელსაც ასაფეთქებელი მათარაში ჰქონდა დამალული.**



**მინიატურული ფოტოაპარატი აიაქსი,** იყენებდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტები 70-იან წლებში.



**მტრედზე მიმაგრებული მინიატურული ფოტოაპარატი.**



**ხელთათმანში დამალული მინიატურული იარაღი.**



**სიგარეტის კოლოფში დამალული პისტოლეტი.**



**ბომბი დამალულია ნახშირის შიგნით,** ნაკრები კი გამოიყენებოდა ასეთი კამუფლაჟის შესაქმნელად. მას გასულ საუკუნეში ცსს იყენებდა.



**პისტოლეტი ისვრის ციანიდის ტყვიებს.**



**სათვალე შიგნით ჩამონტაჟებული ციანიდით** აგენტის თვითლიკვიდაციისთვის. სამოცდაათიანი წლების ცსს-ს არსენალიდან.



**კაფსულაში მოთავსებული იარაღების კრებული ცეერუს არსენალიდან.**



**ღილის სახის კომპასი.** ამ კომპასით ორიენტაცია რომ აღიდგინოთ, მისი ორი ნაწილი ერთმანეთთან უნდა მიაერთოთ, რის შემდეგაც ის ჩვეულებრივ კომპასად იქცევა.



**ავტოკალამში ჩამონტაჟებული ფოტოაპარატი.**



**საათში ჩამონტაჟებული მინიატურული კამერა,** რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი აგენტები იყენებდნენ.



**ქოლგა, რომელიც ღილაკზე დაჭერით ციანიდის ტყვიას ისვრის.**



**ფეხსაცმელში ჩამონტაჟებული რადიო გადამცემი.**



**ჩიბუხში დამონტაჟებული პისტოლეტი.**

# 3 წლის გიგანტი

**3 წლის ჩინელი ჩჟაო სიაო 60 კილოგრამს იწონის. „პატარას" საყვარელი საკვებია ქათმის შემწვარი ფრთები, კარტოფილი ფრი და ღორის ხორცი.** მას საბავშვო ბაღში არ იღებენ. აღმზრდელებს, ისევე როგორც თავად ჩჟაოს მშობლებს, ეშინიათ, თამაშისას შემთხვევით თანატოლები არ გაჭყლიტოს. ჩინეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ გუანჩჟოუს მკვიდრი სიაოს წონა მისი ნორმალური თანატოლებისას ხუთჯერ აღემატება.

ბიჭის პირველი გამოკვლევისას მედიკებმა დაადგინეს, რომ მას ზრდის ჰორმონთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, იგი არა მხოლოდ არანორმალურად სუქდება, არამედ არანორმალურადაც იზრდება — სიმაღლით უკვე 108 სანტიმეტრია.









# 7-კილოიანი ბავშვი



**ბულგარეთის ქალაქ ბურგასში გიგანტი ბავშვი გაჩნდა. მისი წონა 7 კილოგრამი და 100 გრამია.**

ბავშვის დედა დიაბეტით არის დაავადებული და, ექიმების თქმით, ასეთ ქალებში მძიმეწონიანი ბავშვის გაჩენის ალბათობა საკმაოდ დიდია. ბიჭი, რომელსაც მიგლენი დაარქვეს, ქვეყანას საკეისრო კვეთის შედეგად მოევლინა. მიგლენმა მძიმეწონიან ახალშობილთა რეკორდი ვერ მოხსნა, ბრაზილიაში რამდენიმე ხნის წინათ დაიბადა გოგონა, რომელიც 7,5 კილოგრამს იწონიდა. ექიმებს კი 1955 წელს იტალიაში დაბადებული 10-კილოგრამიანი ბიჭის შემდეგ ამ მხრივ იოლად ველარავინ გააკვირვებს.

# ჩინეთში ცხვარს ძაღლის ლეკვი ეყოლა

**უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ჩინელი გლეხი ლიუ ნაინაგი ამტკიცებს, რომ მისმა ერთ-ერთმა ცხვარმა ძაღლის ლეკვი გააჩინა.** ლეკვს ცხვრის ბეწვი აქვს, სახე და ბრჭყალები კი — ჩვეულებრივი ძაღლის. ქალაქ სიანის ზოოლოგიური ცენტრის მკვლევარის, გუოჩანგის განცხადებით, ძაღლისა და ცხვრის შეჯვარება არ ხდება, ვინაიდან ისინი სხვადასხვა პოპულაციას ეკუთვნიან, ამიტომ ეს შემთხვევა უნიკალურად ჩაითვალა.



## უძვირფასესი ავტოგრაფები



2003 წელს **ჯონ ლენონის** ხელმოწერილი უკანასკნელი ფირფიტა 525 ათას დოლარად გაიყიდა. ბოლო ალბომი მან მეუღლესთან — იოკო ონოსთან ერთად ჩაწერა.



აშშ-ის მე-16 პრეზიდენტის — **აბრამ ლინკოლნის** ხელმოწერა მონათა გათავისუფლების პროკლამაციაზე 1991 წელს აუქციონზე 748 ათას დოლარად გაიყიდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ყველაზე მაღალი შენობები



**ბურჯ დუბაი (არაბეთის გაერთიანებული ემირატები)**
მისი სიმაღლე არც მეტი, არც ნაკლები, 880 მეტრია. მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის სტატუსი მან 2009 წლის 17 იანვარს მიიღო და ამ დრომდეც ინარჩუნებს. ამ უზარმაზარ შენობაში განთავსებულია სასტუმროები, ოფისები და საცხოვრებელი ბინებიც კი.



**CN TOWER (კანადა, ტორონტო)**
1975 წელს აშენებული ეს შენობა სხვადასხვა ობსერვატორიულ გამოკვლევებს ემსახურებოდა და ასევე UHF/VHF სიხშირეების გადამცემის მოვალეობებს ასრულებდა. მისი სიმაღლე 553 მეტრია და ის 1975-2007 წლებში მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა იყო.



**OSTANKINO TOWERS (რუსეთი, მოსკოვი)**
აშენდა 1967 წელს და აშენების წლიდან 1975 წლამდე, სანამ Cn Tower-ი აშენდებოდა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა იყო. მისი სიმაღლე 510,1 მეტრია. როგორც ცნობილია, 2000 წელს ტელეანძას ცეცხლი გაუჩნდა და მისი რეკონსტრუქცია გახდა საჭირო.



**WILLIS TOWERS OR SEAR TOWERS (ჩიკაგო)**
ეს ორი სახელი აქვს ცათამბრჯენს რომლის სიმაღლეც 523 მეტრს უტოლდება. შენობაში განლაგებულია ოფისები, საცხოვრებელი ბინები და ასრულებს ობსერვატორიის დანიშნულებასაც და UHF/VHF სიხშირეების გადამცემის ფუნქციასაც.



**TAIPEI (ტაივანი)**
აშენდა 2004 წელს, 509,2 მეტრია სიმაღლეში, ბურჯ დიბაის აშენებამდე (2004-2009) სტრუქტურულ ნაგებობებში ყველაზე მაღალ შენობად ითვლებოდა. შენობაში მხოლოდ ოფისებია განლაგებული.



**მსოფლიო ფინანსური ცენტრი (შანხაი)**
შანხაის მსოფლიო ფინანსური ცენტრის მშენებლობა 2008 წელს დასრულდა. მისი სიმაღლე 492 მეტრია. შენობა ძირითადად საოფისე ფართებადაა დანაწილებული, თუმცა მასში განლაგებულია სასტუმროებიც, რამდენიმე სართული კი საცხოვრებელ ბინებს ეთმობა.



**ORIENTAL PEARL TOWER (შანხაი, ჩინეთი)**
აშენდა 1994 წელს, სიმაღლე 467,9 მეტრია. მისი დანიშნულება სატელევიზიო სიხშირეების გადაცემაა, თუმცა ამ უზარმაზარ ნაგებობაში საოფისე ფართებისთვისაც მოიძებნა ადგილი.



**ჯონ ჰენკოკის ცენტრი (ჩიკაგო, ამერიკა)**
აშენდა 1969 წელს, სიმაღლე 457,2 მეტრია, შენობა სხვადასხვა დანიშნულებისაა — თავზე სატელევიზიო ანძა აქვს, ხოლო სართულებზე სასტუმროები, საცხოვრებელი ბინები და ოფისებია განლაგებული.



**პეტრონას ტყუპი ცათამბჯენები (კუალა ლუმპური, მალაიზია)**
ამ ცათამბჯენების სიმაღლე 452 მეტრია და, ძირითადად, ობსერვატორიული გამოკვლევებისა და ოფისებისთვის გამოიყენება. მშენებლობა 1998 წელს დასრულდა.



**GREENLAND SQUARE ZIFENG TOWER (ჩინეთი)**
აშენდა 2008 წელს, სიმაღლე 450 მეტრს აღწევს. შენობის ფართი სრულად ჯერ არ გამოიყენება, მაგრამ საბოლოოდ ის სხვადასხვა დანიშნულებისთვის გადანაწილდება.

## კოსოვოს ახალი პრეზიდენტი პოლიციელი ქალი იქნება



კოსოვოს ახალი პრეზიდენტი რესპუბლიკის პოლიციის გენერალური დირექტორის მოადგილე ქალბატონი ატიფეტა იახიაგა გახდება. ამის შესახებ პრიშტინაში პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ განაცხადა. მისი თქმით, რესპუბლიკის მომდევნო მმართველი სწორედ ატიფეტა იახიაგა გახდება, რადგან მას დეპუტატების უმრავლესობა მხარს დაუჭერს. კოსოვოში მალე საკონსტიტუციო რეფორმა ჩატარდება და პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით აირჩევენ.

## მერკელს უნდობლობა გამოუცხადეს



გერმანიის კანცლერის პოპულარობა მოსახლეობაში კლებას განაგრძობს. გამოკითხვის შედეგად მიღებული ახალი რეიტინგის თანახმად, ანგელა მერკელმა მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. გამოკითხვის მიხედვით, გერმანელებისთვის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი ყოფილი ვიცე-კანცლერი, ფრაქცია „სოციალ-დემოკრატების" მოქმედი თავმჯდომარე ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი აღმოჩნდა. ექსპერტების აზრით, მერკელის წარუმატებლობა გერმანიის ატომურ სადგურებთან დაკავშირებულმა მისმა გადაწყვეტილებამ განაპირობა.

## ერთმოქმედებიანი ბალეტები «თბილისი არტ ჰოლში»

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი (სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი) მაყურებლებს „თბილისი არტ ჰოლში" (ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. №26) იწვევს.

9-10 აპრილს წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტები: ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის „ შეჰერეზადა", ჟორჟ ბიზეს „ვარიაციები", ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „ექვსი ცეკვა".

ერთმოქმედებიანი ბალეტები შესრულდება 16 და 17 აპრილსაც: პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა", „მოცარტიანია", პა დე დეები ბალეტებიდან „მაკნატუნა" და ადოლფ ადანის „ჟიზელი"; ლუი მორო გოშტალკის „ტარანტელა" და ფრაგმენტი ქართულ ხალხურ მუსიკაზე შექმნილი ერთმოქმედებიანი ბალეტიდან „საგალობელი".

სპექტაკლების დასაწყისი: 16 აპრილს — 18 საათზე, 17 აპრილს — 14 საათზე.








## უნივერსალური წყალი „ისიდა"

### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

## საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი
www.saqinform.ge

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

პირველი
pirweli.com.ge
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net